

გაბრიელ ხუნდაძე

ქართული  
ბიბლიოთეკა

ანბარიში რუსეთში  
საქართველოს  
დიპლომატიური მისიის  
მოღვაწეობის შესახებ  
1918–1919 წლებში

გაბრიელ ხუნდაძე



**ანბარიში რუსეთში  
საქართველოს  
დიკლომატიური მისიის  
მოღვაწეობის შესახებ  
1918–1919 წლებში**

თბილისი  
1999




ГАБРИЕЛ ХУНДАДЗЕ



**ОТЧЕТ О  
ДЕЯТЕЛЬНОСТИ  
ГРУЗИНСКОЙ  
ДИПЛОМАТИЧЕСКОЙ  
МИССИИ В РОССИИ  
ЗА 1918-1919гг.**

Тбилиси  
1999





საქართველოს  
ბიბლიოთეკა

საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
გაცემის განყოფილება

## ენისტიკა

კომუნისტური რეჟიმის ბატონობის პერიოდში ისტორიული მეცნიერება, მათ შორის ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია, ცალკეული გამონაკლისების გარდა, კარის „მეცნიერების“ დონემდე დავიდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ცალმხრივობა და ტენდენციურობა, მოვლენებისადმი ე.წ. კლასობრივი მიდგომა, ფაქტების დამახინჯება ან ძალზე ხშირად მათი საერთოდ მიჩქმალვა.

განსაკუთრებით არ „გაუმართლა“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდს – 1918—1921 წლებს. საგანგებო ყურადღების და შესაბამისად უხეში ფალსიფიკაციის საგანი გახდა რუსეთ—საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორია. სამწუხაროდ, იგი აღსავსეა ჩრდილოელი მეზობლის მიერ საქართველოს მრავალგზის მოტყუების, ზურგში მახვილის ჩაცემის ამაზრზენი მაგალითებით. რუსეთი ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან ვერ ეგუებოდა მის მიმართ უალრესად კეთილად განწყობილი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, რომელსაც თანდათანობით ძირს უთხრიდა და, ბოლოს, ვერაგულად გააუქმა კიდევაც XIX ს. დასაწყისში.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საბჭოთა რუსეთი მტრულად შეხვდა ამ გადანწყვეტილებას, თუმცა იმპერიაში შემავალი ხალხების მოსატიყუებლად ბოლშევიკები 1917 წლის აპრილიდან აფრიალებდნენ ერთა თვითგამორკვევის (გამოყოფამდე) მომხიბლავ ლოზუნგს.



გაბრიელ ხუნდაძის ნაშრომი ასახავს სწორედ საბჭოთა რუსეთის, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი.

საინტერესოა ამ უნიკალური ხელნაწერის ბედი, მისი შემთხვევით აღმოჩენის ისტორია. 1979 წელს, როგორც ასპირანტი, სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი მოსკოვში, ვმუშაობდი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ არქივებში, ასევე საოლქო არქივში, სადაც მოსკოვის საბჭოს ფონდში 1919 წლის მიმოწერის მასალებში სრულიად მოულოდნელად წავაწყდი დოკუმენტს — „Отчет о деятельности Грузинской дипломатической миссии в России за 1918-1919гг.“ (ფ. 66, აღნ. 12, ს. 693). უნდა ვაღიარო, რომ ადრე არაფერი ვიცოდი ასეთი მისიის საერთოდ არსებობის შესახებაც კი. „ანგარიშს“ ყურადღებით გავეცანი, მან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. გაუგებარი იყო, რანაირად მოხვდა ასეთი შინაარსის დიპლომატიური დოკუმენტი მოსკოვის საბჭოში, როგორ გადარჩა იგი. „მტრული ბანაკიდან“ გამოსული უკლებლივ ყველა მსგავსი დოკუმენტი საბჭოთა ეპოქაში გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, არქივის თანამშრომელთა არც ერთ თაობას ის არ უნახავს და ამიტომაც გადაურჩა ცხრაკლიტულს. არც მე გამიმხელია ვინმესთვის რუსეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ანგარიშის აღმოჩენის შესახებ, რათა არ მოეთავსებინათ იგი სპეცფონდებში. აზრი არ ჰქონდა „ანგარიშის“ არქივიდან გატანის, ასლის გადაღების მცდელობას. ვიცოდი, რომ ამის უფლებას არავინ დამრთავდა. არც ამონაწერები გამიკეთებია, თუმცა კარგად მქონდა გაცნობიერებული აღმოჩენილი დოკუმენტის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისათვის. ცხადია, იმ პერიოდში მას ვერავინ გამოაქვეყნებდა, ვერ გამოიყენებდა. ამიტომ ერთადერთი, რაც მაშინ გავაკეთე — რვეულში და უბის წიგნაკში ჩავიწერე დოკუმენტის მისამართი (ფონდის, აღწერილობის და საქმის ნომრები), რომელსაც სათუთად ვინახავდი. ზუსტად ათი წლის შემდეგ (ამ ხნის მანძილზე დოკუმენტის მისამართი რამდენიმე უბის წიგნაკში გადავიწერე), 1989 წლის ივნისში — ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, სოხუმიდან წერილით მივმართე მოსკოვის საოლქო სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელობას და ვთხოვე გამოეგზავნათ რუსეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ანგარიშის ასლი. წერილში, რა თქმა უნდა, დოკუმენტის მისამართიც იყო მითითებული-

ლი. პასუხმაც არ დააყოვნა და 1989 წ. აგვისტოში მივიღე არქივის დირექტორის მოადგილის მ.ნ. კონონოვას მიერ დამონმებული 32 გვერდიანი „ანგარიშის“ ქსეროასლი. როგორც საპასუხო წერილიდან ირკვევა, დოკუმენტის ასლი მოუმზადებია არქივის ქართველ თანამშრომელს ინეზა მშველიძეს. ეს სათნო და ახალგაზრდა ქალბატონი მახსოვდა ჯერ კიდევ 1979 წლიდან, როდესაც იმ არქივში ვმუშაობდი და ვსწავლობდი ჩემთვის საინტერესო მასალებს. ი.მშველიძე შემდგომშიაც დამეხმარა ტექსტის ზოგიერთი ნაწილის ნაკითხვაში (ტელეფონის მეშვეობით).


„ანგარიშის“ ავტორი გახლავთ გაბრიელ ხუნდაძე — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ელჩი, პირველი დიპლომატიური წარმომადგენელი რუსეთში, სოციალ—დემოკრატიული მუშათა პარტიის თვალსაჩინო წევრი. ბიოგრაფიული მონაცემები ამ ტრაგიკული პიროვნების შესახებ ძალზე მწირია.

მოკლე ცნობას გაბრიელ ხუნდაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შეიცავენ ვ.ი.ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მე-20 (გვ. 557) და 47—ე (გვ. 456) ტომები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა ელჩმა რუსეთში, რომელიც მოგვიანებით სიცოცხლეს გამოასალმეს სწორედ ამ საპატიო მისიის შესრულებით, ასევე ხუნდაძეთა დიდმა ოჯახმა სავსებით დაიმსახურეს, რომ მათზე დაიწეროს წიგნები, მეცნიერული გამოკვლევები. ეს მომავლის საქმეა. ამჯერად კი შევეცდებით მკითხველს მივანოდოთ ჩვენს ხელთ არსებული მოკლე ინფორმაცია, რომლის მოპოვებაში ძალიან დაგვეხმარნენ გაბრიელ ხუნდაძის ძმისშვილები — ბატონი მურმან ვალერიანის ძე ხუნდაძე, რაისა ევტიხის ასული ხუნდაძე და ნუნუ არკადის ასული ხუნდაძე. ისინი სათუთად ინახავენ სახელოვანი მშობლების, ბიძების, განსაკუთრებით გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს.

ხუნდაძეთა ოჯახის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ვალერიან ხუნდაძის ავტობიოგრაფია, რომელიც დაწერილია 1968 წელს და რომელსაც სხვა მასალებთან ერთად ვეყრდნობით.

გაბრიელ ხუნდაძე დაიბადა 1877 წელს თანამედროვე ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში. იმ პერიოდში იგი ოზურგეთის მაზრაში შედიოდა. მამა — ივანე ხუნდაძე (ისევე როგორც ბაბუა, რომელიც გასული საუკუნის 60—იან წლებში გარდაიცვალა), სასულიერო





### იესე და ესმა ხუნდაკევი

პირი იყო, სხვადასხვა დროს მსახურობდა აფხაზეთში, წყალტუბოში და სხვაგან; გარდაიცვალა დაახლოებით 1897 წელს. დედა, გეგეჭკორის ქალი (ბოლშევიკი საშა გეგეჭკორის და ლ.ბერიას მეუღლის ნინო გეგეჭკორის ნათესავი), ადრე გარდაიცვალა. ობლად დარჩენილი გაბრიელი, მისი უფროსი ძმა — ნიკოლოზი, და მარიკა გაზარდეს ბიძამ — იესე ხუნდაკემ და ბიცოლამ — ესმამ. იესეც სასულიერო პირი იყო (გარდაიცვალა 1915 წელს). მას ოთხი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა: პახომი, ევტიხი, რახილი, ვალერიანი და არკადი. ერთად გაზრდილმა ბიძაშვილებმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს ოჯახის მიერ ჩანერგილი საოცარი სიყვარული და პატივისცემა ერთმანეთისადმი. აღმზრდელი დედა ესმა ასე იფიცებდა თურმე: „ჩემი ექვსი ბიჭი ნუ მომიკვდება“.

უფროსმა ძმამ ნიკოლოზმა დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, მუშაობდა ბელორუსიაში. პირველი მსოფლიო ომის წლებში სათავეში ედგა დასავლეთის ფრონტის სამხედრო სამედიცინო სამმართველოს, მინიჭებული ჰქონდა გენერლის ჩინი; როგორც გაბრიელის ერთ ერთი წერილიდან ირკვევა, გარდაიცვალა 1931 წელს, დასაფლავებულია მინსკში.

პახომმა დაამთავრა იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედი-





**პარცხნიდან პარაჰენი:  
რაჟდენე კახაკი (სიქი),  
პალერიანი და პეტისი  
ხუნდაკეები**

ცინო ფაკულტეტი, მსახურობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იგი ავად გახდა და სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1913 წელს, რის შესახებაც მშობლებს შეატყობინა ნიკოლოზმა. „მოხდა დიდი უსამართლობა – გარდაიცვალა ძმა პახომი“, – წერდა იგი (რუსულ ენაზე) ბიძას – იესეს.

ევტიხი პროფესიით მექანიკოსი გახლდათ. ის ბავშვი იყო (14 15 წლის), როდესაც ბაქოში ჩავიდა სამუშაოდ. სულ მალე ევტიხი გამომგონებელი გახდა. ბაქოში მუშაობის წლებში მან გამოიგონა ცეცხლის მოსაკიდებელი აპარატი, ნავთობის ამოღების საკონტროლო მანქანა, პაპიროსის ავტომატური სატენი და ა.შ. უსახსრობის

გამო ეს გამოგონებები ძახ ბაქოელ ძრეწველებს მიჰყიდა, რძათ კი თავისად გაასაღეს. 20 – 30 – იან წლებში ევტიხი თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მუშაობს. მას ეკუთვნის 40 ზე მეტი ძალზე მხიშველოვანი გამოგონება და ტექნიკური გაუმჯობესება, რომელიც მთელ სსრ კავშირში დაინერგა. ერთხელ იგი დააპატიმრა საბჭოთა ხელისუფლებამ ფულის საჭრელი მანქანის გამოგონების ყალბი ბრალდებით. გაბრიელ ხუნდაძე თავის ძმას – არკადის წერდა: „ევტიხის დღემდის არაფერი ეშველა. მე მივწერე გეგეჭკორს – ჩეკის თავმჯდომარეს და მეგონა რამე გამოვა.“ ევტიხი ხუნდაძე (იხ. მხიშველა ხ1 – ჯ.გ.) 1938 წელს პოლიტიკური რეპრესიების ძსხვერ-პლი გახდა.

ვალერიან ხუნდაძე (დაიბადა 1895 წ.) 1918 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საჭამიასერის სკოლაში. 1919 წელს ის ძიმითის (მამათის) უმაღლესი დანყებითი სკოლის გამგეა. 1921 წლი-დან ვალერიანი თბილისში მოღვაწეობს; დაუსწრებლად სწავლობდა ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა – მათემატიკის ფაკულტეტზე; 1967 წლიდან საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი და რესპუბლიკური მხიშველობის პეხსიოხერია. გარდაიცვალა 1975 წელს.

არკადი ხუნდაძე დაიბადა 1897 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1920 წლიდან) გახლდათ ხაშურის ქალაქის თავი. 1924 წლის 17 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“



პარიხნიდან  
პარაჯნივი  
ღვანან თაქარი  
(ევტიხის  
მეუღლე),  
ვალერიანი და  
არკადი: სხედან  
მსა და ევტიხი



გამოქვეყნებულია საქართველოს საგახგებო კომისიის გახცხადება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა მძევლებად აყვანის შესახებ (სულ 33 კაცი), რომელთა ძორის იყო არკადი ხუხდაძეც (ასევე სოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე, შალვა კარგარეთელი, ანდრო ანჯაფარიძე და სხვები). კომისიის განცხადებით, მძევლებს დახვრეტა ემუქრებოდათ დამხობილი კანონიერი მთავრობის მხრიდან შეიარაღებული გამოსვლის შემთხვევაში. ა.ხუხდაძე გადაურჩა რეპრესიებს და შემდგომში გახდა ცხობილი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე; 1925 1947 წწ. უდემამო ბავშვთა ვაკის საბავშვო სახლის ხელმძღვანელი და ერთდროულად საქართველოს „ბავშვთა მეგობრის საზოგადოების“ მდივანია. 1958 წელს გავიდა პერსონალურ პენსიაზე. გარდაიცვალა 1969 წელს (იხ. „სკოლა და ცხოვრება“, 1969, №9).

მარია ხუნდაძე ცხოვრობდა სამტრედიამში. მისი ვაჟიშვილი (გაბრიელ ხუნდაძის დისშვილი) გრიგოლ რაჟდენის ძე კახაძე დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წელს; ძეორე ვაჟიშვილი ივახე კახაძე გახდა ცხობილი მეცნიერი (გეოლოგი) — აკადემიკოსი.

რახილი თავის მეუღლესთან — პედაგოგ დომენტი რამიშვილთან



მარია ხუნდაძე  
და რაჟდენ  
კახაძე  
უწილვითან  
ერთად.  
მარჯვნიდან  
დვას გრიგოლ  
კახაძე.  
სურათი  
ბადაღვპულია  
1917 წელს



ერთად ცხოვრობდა ჩოხატაურში.

და—ძმებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს გაბრიელ ხუნდაძეს — რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ცნობილ რევოლუციონერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგულ მსახურს, ნიჭიერ პოლიტიკოსს, დიპლომატს, განათლებულ პიროვნებას, რომელიც სამშობლოს დამოუკიდებლობის აქტიური მხარდაჭერისათვის ჯვარს აცვა კომუნისტურმა რეჟიმმა.

ოჯახური ტრადიციისამებრ, გაბრიელი თავდაპირველად იღებს სასულიერო განათლებას. მურმან ხუნდაძის მიერ მოწოდებულ ერთ—



ერთ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1897 წლის 23 ოქტომბრით, აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის გ.ხუნდაძე სწავლობდა ხარკოვის სასულიერო სემინარიაში. 1898 წლიდან — სოციალ—დემოკრატიულ მოძრაობაშია, მეორე ყრილობის (1903 წ.) შემდეგ ემხრობოდა მენშევიკურ მიმართულებას; ამ პერიოდიდან რუსეთის სოციალ—დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ბაქოს ორგანიზაციის ერთ—ერთი ხელმძღვანელია, რისთვისაც მას აპატიმრებენ. ციხიდან გამოსული (ციხიდან გაქცევის მცდელობა უშედეგოდ

დამთავრდა) გაბრიელ ხუნდაძე აგრძელებს სწავლას ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1906 წელს ამ ქალაქს ესტუმრა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც ჩამოიტანა ლ.ანდრეევის პიესა „ადამიანის ცხოვრება“. მისი დადგმის წინააღმდეგი წავიდა ადგილობრივი მღვდელმთავარი, რომელსაც „ადამიანის ცხოვრება“ ღვთისმგმობელ ნაწარმოებად მიუჩნევია და თხოვნით მიუმართავს გენერალ—გუბერნატორისათვის პიესის დადგმის აკრძალვის შესახებ. პიესა, მიუხედავად მოწყობილი პროვოკაციისა, მაინც დაიდგა და ამაში გარკვეული წვლილი სტუდენტ გაბრიელ ხუნდაძესაც მიუძღვის. აი, რას წერს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ოთარ კასრაძე:

„იმ დღეს გენერალ—გუბერნატორისაგან პიესის დადგმის აკრძალვა არ მოსულა. კოტეს იმედი მიეცა და, რადგან სპექტაკლის მსვლელობის დროს რაიმე პროვოკაციის მოწყობისა ეშინოდა, ოდესის უმაღლესი სასწავლებლის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მიაშურა. იქ მან ინახულა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები, აუხსნა, რისიც ეშინოდა, ბილეთები მისცა და სთხოვა, მოსულიყვნენ თეატრში, რათა საჭირო შემთხვევაში დახმარებოდნენ.

პრემიერის დღეს დარბაზი ხალხით გაიჭედა. სპექტაკლი ყოველგვარი ინციდენტის გარეშე დაიწყო, მაგრამ როგორც კი ადამიანმა შავტანსაცმლიან „უცნობს“ პირველი სიტყვებით მიმართა, ჩაბნელებულ პარტიერში აქეთ—იქით გაისმა:

—ეს ღვთისმგმობელობაა!

—უმსგავსოებას თავი დაანებეთ!

—დახურეთ ფარდა!

ხალხი ახმაურდა.

—ხელს ნუ გვიშლით!

—თავს ეცით პატივი!

—მოიქეცით ადამიანურად!

დადგა ყველაზე სახიფათო მომენტი. კოტე ფარდასთან დადგა და მზად იყო, თუკი დარბაზში აურზაური ატყდებოდა, სცენაზე გასულიყო ხალხის დასამშვიდებლად. ის—ის იყო ადამიანის როლის შემსრულებელმა მსახიობმა მ.ბაგროვმა შავტანსაცმლიან „უცნობს“ შესძახა: „შენ შეურაცხყავი დედაკაცი! შენ მოუსწრაფე სიცოცხლე უდანაშაულო ბავშვს“, რომ დარბაზი ისევ ახმაურდა:

—რად ლანძღავთ ღმერთს!

—ჩამოეთრიეთ სცენიდან!

—ფარდა!

—დავცხოთ ამ ტინგიცებს!

ყველაზე მეტად წინა რიგში მჯდარი რომელიღაც აქციის მოხელე, მელოტი, დაბალი, მსუქანი კაცი ცხარობდა. წამდაუნუმ წამოხტიბოდა ხოლმე სკამიდან, ყვიროდა და მუშტებს იქნევდა.

კოტე სცენაზე გამოვარდა. ის იყო ხალხისათვის უნდა მიემართა, რომ იმ მოხელემ კალოში ესროლა. შეშინებული მსახიობები კულისებში გაცვივდნენ. სტუდენტების მოწოდების მიუხედავად, დარბაზი არ წყნარდებოდა. ფოიეში ფანჯრების მსხვრევის ხმა გაისმა. ამან



კიდევ უფრო შეაშფოთა ხალხი, ატყდა ქალების ნივილ—კივილი, ყველა ქუჩაში გასასვლელი კარს მიანყდა.

—შეჩერდით!—იყვირა მეორე სართულის მოაჯირზე გადმომდგარმა ვილაც ახალგაზრდამ მკვეთრი ქართული აქცენტით: ხალხი გაყურდა.

—ახლავე მოვალ!—გაისმა იგივე ხმა.

ახალგაზრდა ახლა უკვე პარტერში შემოვიდა. ხალხი შუა გაიყო და გზა დაუთმო. ჯიბეებში ხელებჩანყობილმა აქეთ—იქით ჩამწკრივებულ მაყურებლებს დინჯი ნაბიჯით ჩაუარა. სცენას რომ მიუახლოვდა, წინა რიგებში მჯდარი მოხელისაკენ დაიხარა, მხარი წაჰკრა და კბილების ღრჭიალით წასჩურჩულა:

—კალოში შენ ისროლე?

სახეჭარხალებული მოხელე გააფთრებული ფეხზე წამოვარდა და სიბრაზისაგან დორბლმომდგარმა დაიღრიალა:

—დიახ, მე ვისროლე!

—თუ შეიძლება ერთი ეგ კალოში აქ გადმოაგდე, — მშვიდად მიმართა ახალგაზრდამ სცენაზე მყოფთ.

მ.ბაგროვმა მისი თხოვნა შეასრულა.

—ჩაიცვი!—უბრძანა ახალგაზრდამ.

მოხელეს შეეშინდა და აცახცახებულმა სიჩქარეში ფეხი ძლივს ჩაყო კალოში.

—ახლავე გაეთრიე აქედან!

ხალხმა სიცილი ატეხა.

მოხელემ წინააღმდეგობის განწევა დააპირა, მაგრამ სტუდენტებმა ხელის კვრით გაიყვანეს დარბაზიდან.

მაყურებლებმა თავიანთი ადგილები მონახეს. ახალგაზრდა კვლავ მეორე სართულზე გაჩნდა და კოტეს გადმოსძახა იქიდან:

—გთხოვთ განაგრძოთ, ბატონო რეჟისორო, ხელს აღარავინ შეგიშლით!

დარბაზში ტაშმა იგრიალა.

ეს ახალგაზრდა ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი გაბრიელ ხუნდაძე იყო“ (ოთარ კასრაძე. კოტე მარჯანიშვილი. თბ., 1978, გვ. 90—92.).

1907 წელს რსდმპ—ს მოსკოვის კომიტეტის წევრი გაბრიელ ხუნდაძე, როგორც დელეგატი, მონაწილეობს პარტიის V (ლონდონის)



ყრილობის მუშაობაში. 1909—1913 წლებში მენშევიკ—პარტიელთა, თანამშრომლობდა რსდმპ—ს ცენტრალურ ორგანოში — „სოციალ—დემოკრატი“, ებრძოდა ე.წ. ლიკვიდატორებს.

გაბრიელ ხუნდაძის პიროვნებას ყურადღება მიაქცია ვიორჯი პლესანოვმა, როდესაც წაიკითხა გაზეთ „სოციალ—დემოკრატი“ (№10) გამოქვეყნებული მისი წერილი ლიკვიდატორების წინააღმდეგ. გ.პლესანოვი გამოეხმაურა მას „Дневник социал-демократа“—ში (№10, 1910 წლის თებერვალი) გამოქვეყნებული სპეციალური წერილით — „Шила в мешке не утаишь!“ („შუბი ხალთაში არ დაიმალება“) და მისცა უმაღლესი შეფასება „როგორც ერთ—ერთ, ყველაზე ჭკუის სასწავლებელ“ ნაშრომს ლიკვიდატორებზე. „მე არა მარტო მსმენია ამხ. ა.მოსკოვსკის (ალექსეი მოსკოვსკი—გაბრიელ ხუნდაძის ფსევდონიმი — ფ.გ.) შესახებ, არამედ მქონდა სიამოვნება პირადად გამეცნო იგი ჩვენს ბოლო, ლონდონის ყრილობაზე,—წერდა გ.პლესანოვი... — ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ამხ. ალექსეი მოსკოვსკი ემხრობოდა იმ ტაქტიკას, რომელიც მე განვაცხადე ჩემს დღიურში“ (Г.В.Плеханов. Сочинения, том XIX. М.-Л., 1927, გვ.32). გ.პლესანოვს მხედველობაში აქვს „Дневник социал-демократа“, №9—ში გამოქვეყნებული თავისი წერილები, (იხ. Сочинения т. XIX). გაბრიელ ხუნდაძის წერილის ცალკეული დებულებებს ასეთ შეფასებებს აძლევს გ.პლესანოვი:

“Это поистине классическое место” (იქვე, გვ. 35).

“Т. Алексей как нельзя более прав!

Наконец, прав, - к величайшему сожалению, опять прав!-тов. Алексей и в том месте своего письма, где речь идет о “хищнической эксплуатации сил природы” ленинцами...”

“Духом указанных мной прекрасных мест пропитано все письмо Т. Алексея. И потому, что все это письмо проникнуто этим духом, оно принадлежит к немногочисленным отрадным знаменьям нашего печального времени...” (იქვე, გვ. 36).

“Т. Алексей и тут говорит неоспоримую истину”. (იქვე, გვ. 37),— ასე მთავრდება გ.პლესანოვის წერილი „შუბი ხალთაში არ დაიმალება“, რომელიც მთლიანად ეძღვნება გ.ხუნდაძის წერილის

განხილვას. გაბრიელ ხუნდაძის დასაცავად გ.პლეხანოვმა სპეციალურად დაწერა კიდევ ერთი წერილი — „Запутанное объяснение“ („უთავბოლო განმარტება“ — იხ. Сочинения, т. XIX, გვ. 123—126).

1910—1911 წლებში ვ.ლენინი ორჯერ ახსენებს ალექსეი მოსკოვსკის, რომელიც გ.პლეხანოვთან ერთად ებრძოდა ლიკვიდატორებს (В.И. Ленин, Полн. собр. соч., т. 20, გვ. 183; т. 47, გვ. 294), თუმცა გაბრიელ ხუნდაძე არაერთხელ „გადაწვდა“ თავად ბოლშევიკ—ლენინელებსაც.

გ.ხუნდაძე, როგორც ჩანს, პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამას ადასტურებდნენ დოკუმენტები, რომლებიც ჩვენი თხოვნით 1990 წელს გამოგზავნეს მოსკოვიდან—სსრ კავშირის ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო არქივიდან (ЦГАОР СССР). ეს დოკუმენტები ოკუპირებულ სოხუმში დაიკარგა...

1920 წელს თბილისში გამოცემული კედლის კალენდარი (24 თებერვლის ფურცელი; 24 თებერვალი, ალბათ, გაბრიელის დაბადების დღეა) მკითხველებს აწვდიდა საინტერესო ინფორმაციას გაბრიელ ხუნდაძის წარსული ცხოვრების ერთი ეპიზოდის შესახებ. „ამ ათიორდე წლის წინათ, — ნათქვამია კალენდარში, — მოსკოვში პეტროგრადიდან ნიკოლოზ მეფეს ელოდნენ, ქალაქში დიდი მზადება იყო, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, „საეჭვო კაცებისაგან“ უნდა გაენმინდათ მოსკოვი და, ამისდაგვარად, ყველა შემჩნეულ პირს იჭერდნენ და გზავნიდნენ ქალაქიდან. ამ დროს იქ, მოსკოვში ცხოვრობდა ცნობილი რევოლუციონერი, სოციალ—დემოკრატი გაბო ხუნდაძე, რომელიც დღე—დღეზე ელოდა პოლიციას, რადგან იცოდა, რომ სხვა ამხანაგების ბედს ვერ ასცდებოდა. მართლაც ორი დღის წინ მეფის ჩამოსვლამდე გაბო საპოლიციო ნაწილში დაიბარეს.

გ.ხუნდაძე! — უთხრა ბოქაულმა, თქვენს დაჭერას ჩვენ არ ვაპირებთ, მაგრამ ერთი პირობა კი აუცილებელია უნდა შესრულებულ იქმნას თქვენგან: „იმ უბანში, სადაც მეფე იცხოვრებს და ივლის, ვიდრე აქ იქნება, თქვენ არამც და არამც არ უნდა გაიჭაჭანოთ“.

კარგიო, — უპასუხა გ.ხუნდაძემ, მაგრამ ეს კი იცოდეთ, რომ მეც მოვითხოვ თქვენგან ერთი პირობის შესრულებასო.

თქვენ რაღა პირობა გაქვთო? — ჰკითხა ბოქაულმა.

მეფის უბანში მე არ გამოვჩნდები იმ პირობით, რომ არც მეფე



გადმოადგამს ფეხს ჩემს უბანშიო.

ეს ოხუნჯობა გაბო ხუნდაძეს ორი კვირის ციხედ დაუჯდა.  
1913 წლის 10 დეკემბერს ძმებისადმი (ვალერიანისადმი და არკადისადმი) გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ გ.ხუნდაძე მუშაობდა მოსკოვის ოკრუგის სასამართლო პალატის ნაფიცი ვეჭილის თანაშემწედ.

პირველი მსოფლიო ომის წლებში გ.ხუნდაძე — მენშევიკ — ინტერნაციონალისტია. 1917 წელს ემხრობოდა ჯგუფს „ნოვაია ჟიზნ“ („ახალი ცხოვრება“). იმავე წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში, იყო ქართული სათვისტომოს ერთ — ერთი თავკაცი. 1918 წლის ივნისიდან 1920 წლის გაზაფხულამდე მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლად მოსკოვში. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოსათვის რუსეთისაგან აღიარების მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გაბრიელ ხუნდაძე თავისი განათლებით, გამოცდილებით, პატრიოტული მრწამსით, ფართო კავშირებით, ახლო ნაცნობობით და დიდი ავტორიტეტით (ბოლშევიკ ხელისუფალთა შორისაც) იყო ის პიროვნება, რომელსაც ყველაზე მეტად ხელენიფებოდა ჯერ კიდევ აუღიარებელი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის უმძიმესი მისიის შესრულება რუსეთში, თანაც ბოლშევიკური ბაკქანალიის პირობებში.

1918 წლის აგვისტო-სექტემბერში გ.ხუნდაძე ჩამობრძანდა თბილისში და თხოვა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას მოსკოვში დიპლომატიური წარმომადგენლის რწმუნების გაფორმება, სადაც ზუსტად იქნებოდა განსაზღვრული წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. ასეთი რწმუნება გაფორმდა 1918 წლის 30 სექტემბერს. მას ხელს აწერენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, მთავრობის საქმეთა მმართველი ს. ჯაფარიძე და მთავრობის კანცელარიის მდივანი გრიგოლ რობაქიძე (რწმუნების ტექსტი ქვეყნდება, გვ.28,87).

გაბრიელ ხუნდაძისათვის მიცემული რწმუნების ასლი, რომელიც 1918 წლის 17 ოქტომბერს გაეგზავნა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ.ჩიჩერინს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში აღმოაჩინა ფრიდონ სიხარულიძემ და 1990



წელს გამოაქვეყნა ქართულ (ჩვენი თარგმანი ოდნავ განსხვავებულია) და რუსულ ენებზე (პარტიული სიტყვა, 1990, № 10, გვ. 9—11; Партийное слово, 1990, N10, გვ. 9—11). ფ. სიხარულიძე აღნიშნავს, რომ რწმუნების ტექსტის შედგენაში მონაწილეობა მიუღია გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ რობაქიძეს. მას წერილობით გაუფორმებია ეს ისტორიული, პოლიტიკურად და იურიდიულად უნაკლო დოკუმენტი, რომელიც ფართო უფლებებს ანიჭებდა დიპლომატიურ წარმომადგენელს.

1920 წლის გაზაფხულზე რუსეთში დიპლომატიური წარმომადგენლის თანამდებობაზე გაბრიელ ხუნდაძე შეცვალა გ. მახარაძემ. მიუხედავად ამისა, გაბრიელი აგრძელებდა მუშაობას წარმომადგენლობაში. 1920 წლის ნოემბერში იგი სხვა ქართველ დიპლომატებთან ერთად დააპატიმრა საბჭოთა ხელისუფლებამ (ჩასვეს ბუტირკის ციხეში) საქართველოში ბოლშევიკების, მათ შორის მ. ცხაკაიას დაპატიმრების საპასუხოდ, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს (ლ. თოიძე. ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია. თბ., 1991, გვ. 243).

გ. ხუნდაძე იშვიათად ჩამოდიოდა საქართველოში, ერთხელ გურიასაც ეწვია. ნოე ჟორდანიას თავის მოგონებებში წერს, რომ „მოსკოვიდან ჩამოსული გაბო ხუნდაძე“ ლანჩხუთის ერთ—ერთი სკოლის ეზოში ლექციას უკითხავდა ადგილობრივ გლეხებს ბოლშევიკების აღვირახსნილობის შესახებ, რომელსაც იქ მყოფი ნოეც დასწრებია (ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსული“. თბ., 1990, გვ. 107).

1920 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ გაბრიელ ხუნდაძე დანიშნა სრულუფლებიან წარმომადგენლად აზერბაიჯანში, სადაც მან შეცვალა გრიგოლ ალშიბაია (რუსუდან ცანავა. საქართველოს დემოკრატიული რუსპუბლიკის საელჩოები და საკონსულოები საზღვარგარეთ 1918—1921 წწ. — ახალგაზრდა ივერიელი, 1991, 16 აპრილი).

გაბრიელ ხუნდაძის დანიშვნა წარმომადგენლად განითლებულ აზერბაიჯანში შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ახალგაზრდობაში იგი რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ბაქოში, იცნობდა იქაურ ბოლშევიკებს. ქვეყნისათვის რეალური სამხედრო საფრთხეც იქიდან მომდინარეობდა. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანში მაშინ თავმოყრილი იყო წითელი არმიის ნაწილები, რომელთა ამოცანას

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა წარმოდგენდა. სახელოვანი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იგონებს, რომ უკვე „1921 წლის იანვრის დასაწყისში ბაქოდან ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი გაბო ხუნდაძე, რომელმაც მთავრობას მოხსენება წარუდგინა და დაადასტურა, რომ ბაქოში დამთავრდა მე—11 არმიის შედგენა, რომლის მიზანია საქართველოს მიმართ ოპერაციების დაწყება.

მაგრამ არც ამ განცხადებამ იქონია გავლენა მთავრობაზე“ (გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათუმი, 1990, გვ. 154).

საქართველოს ძალით გასაბჭოებისა და ანექსიის შემდეგ გაბრიელ ხუნდაძე ცხოვრობდა მოსკოვში, მუშაობდა ქალაქის ადვოკატთა კოლეგიის წევრად. ერთ—ერთ წერილში ვალერიანისადმი (ძმისადმი), რომელიც დათარიღებული არ არის, იგი წერს: „მე ვარ გვარიანათ, ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ ვერ მოვახერხე, მაგრამ ჯერ კიდევ ვეწყობი“. არკადისადმი გაგზავნილ ასევე უთარილო წერილში აღნიშნავს, რომ გაშორდა მეუღლეს — რუსის ქალს; „როგორც ჩამოვედი მოსკოვში დამპატიყეს შენ რომ იცი იქ (ანუ საგანგებო კომისიაში — ჯ.გ.). მიპირებდნენ გამოგზავნას (ე.ი. გადასახლებას — ჯ.გ.), მაგრამ დამეხმარნენ ნაცნობებმა და დავრჩი“. იქვე უთითებს მისამართს: Москва, Б.Дмитровка, Салтыковский пер., д.5, к.1.

იმავე წერილში გაბრიელი თხოვს ძმას „მომწერე თუ კაცი ხარ მართლა გადადიან ამდენი მენშევიკები კომუნისტების მხარეზე თუ ტყუიან, ე.ი. თვითონ ვინც გადადის“.

გაბრიელ ხუნდაძის რამდენიმე წერილი ვალერიანისადმი (ზოგიერთი დაუთარიღებელია) გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას 20—30 წლებში მისი ცხოვრების შესახებ. როგორც ჩანს, 1931 წელს იგი დაუპატიმრებიათ და გადასახლებაში გაუგზავნიათ. ერთ—ერთ წერილში გ.ხუნდაძე წერს (აქაც და ქვემოთაც ავტორისეული სტილი დაცულია):

„არსებითად მე დამიჭირეს და გამომავგზავნეს მარტო იმისათვის, რომ 13 წლის წინათ ვიყავი საქართველოს წარმომადგენელი რუსეთში. მაგრამ для оформления дела (საქმის გასაფორმებლად — ჯ.გ.) წარმიდგინეს ასეთი ბრალდება, ვითომც მე მაქვს კავშირი და ვეხმარები პოლიტიკურად გაგზავნილ სხვადასხვა ქალაქებში (в разных городах СССР) მენშევიკებს. მე არც მენშევიკი ვარ და არც ვიცი



სად არიან გაგ ზავნილი მენშევიკები. ერთი სიტყვით, როგორც ნერდი ჩემს განცხადებაში, „обвинение не только заведомо ложное, но юридически и политически неграмотное“ („ბრალდება არამართო აშკარა სიცრუეა, არამედ იურიდიული და პოლიტიკური უვიცობაა“ — ჯ.გ.). დამკითხავდა ორი კაცი გ.პ.უ.—ში (Государственное политическое управление—სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო; სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წინამორბედი—ჯ.გ.). ერთი ქართველი იყო. როდესაც ვკითხე საიდან მიიღეს ამნაირი ცნობა, მიპასუხა ქართველმა, რომ ეს ცნობა მოგვცა 1) აგენტებმა, რომელიც ვითომც ჩემთან გამოგზავნილი იყვნენ (ტყვილი. ჩემთან არავინ არ მოსულა აგენტამანი და კიდევაც რომ მოსულიყო, რატომ იტყოდა იმას, რასაც ადგილი არ აქვს. 2) იუსტინე ჩიქვანი“, რომელიც თურმე ცხოვრობდა თბილისში, იყო მენშევიკი. გაბრიელს აინტრესებდა გაეგო, ვინ იყო ეს ჩიქვანი, ვინაიდან დაკითხვაზე მას ასახელებდნენ ერთ—ერთ „მონმედ“. იგი თხოვს არკადის აცნობოს ამ პიროვნების ვინაობის შესახებ.

შემდეგ წერილში, რომელიც 1931 წლის 28 ნოემბრით არის დათარიღებული, გაბრიელი წერს, რომ ცხოვრობს პატარა ქალაქში, სადაც სამსახურს ვერ შოულობს „უხმობის გამო“ (ე.ი. სამოქალაქო უფლებები ჰქონდა ჩამორთმეული); ძალიან მანუხებსო რევმატიზმი. „თუ კაცი ხარ, დააჩქარე ჩიქვანის ამბავი. პირდაპირ დაასახელეს დაკითხვის დროს“, — წერს გ.ხუნდაძე.

არკადისადმი გაგ ზავნილ წერილში გ.ხუნდაძე წერს, რომ იგი დააპატიმრეს 1931 წლის 16 თებერვალს, გადასახლებულია ქ.უსმანში, სადაც ცხოვრობს კომუნარების ქუჩაზე ძალიან მძიმე პირობებში: „ან შიმშილი ან რევმატიზმი მომიღებს ბოლოს“-ო.

ჩვენს ხელთ არის ვალერიანისადმი გადასახლებიდან გამოგზავნილი დაუთარიღებელი წერილი, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ავტორის შესახებაც. მოგვყავს ვრცელი ამონარიდი წერილიდან:

„რუსეთში არ ყოფილა მთავრობა, რომელსაც მე არ დავეჭირე. ხელმწიფის დროს ვიჯექი შვიდი წელიწადი 27 ციხეში (1919 წელს დაწერილ წინამდებარე „ანგარიშში“ კი აღნიშნავს, რომ ოცწლიანი რევოლუციური მოღვაწეობისათვის მეფის რუსეთის 22 ციხეშია ნაჯდომი, ე.ი. კიდევ ხუთ ციხეში იჯდა შემდგომ წლებში—ჯ.გ.).



დროებითი მთავრობის დროს ვიჯექი ერთი თვე საბჭოთა მთავრობის სასარგებლო აგიტაციისათვის. ეხლა კი დამიჭირეს მარტო იმისათვის, რომ 13 წლის წინათ, როგორც გწერდით, ვიყავი საქართველოს წარმომადგენელი საბჭოთა მთავრობის წინაშე.

ვერ წარმომიდგენია, რას მერჩიან, როდესაც მოსკოვში ვიყავი, ჩამაბარეს ერთი ზავოდი (ქარხანა—ჯ.გ.), რომლის მუშებს ვემსახურებოდი იურიდიული კონსულტაციით.

იმ რაიონის კავშირი (ალბათ, პროფესიულ კავშირზეა საუბარი — ჯ.გ.), სადაც ჩვენი კოლექტივი იყო, მაგზავნიდა სხვადასხვა ფაბრიკა—ზავოდებში მოხსენების წასაკითხავათ. კავშირმა და რაიონულმა კომუნისტურმა კომიტეტმა გადაწყვიტა შექმნას, ე.ი. მოამზადოს კადრი სახალხო მოსამართლეების (народ. судей). დიდის სიფრთხილით აირჩიეს ლექტორები და მე მომიწვიეს ლექტორად по уголовно-процессуальному праву (სისხლის პროცესუალურ სამართალში—ჯ.გ.). უნდა დამეწყო ლექციები ამ საგანზე 20 თებერვალს და 16-ში დამიჭირეს. როდესაც იყო ვექილების განმენდა (ЧИСТКА), კომისიამ დაადგინა, რომ ხუნდაძე არ იყოს გამოწვეული, რადგანაც იმას განმენდა (ЧИСТКА) არ სჭირდებაო. კომისიაში იყო წარმომადგენლები Г. П. У.—ს, პარტიის, კავშირისა და რაიონის საბჭოსი. ამის გარდა მოსკოვში რევოლუციონურ მუზეუმში ჩემი სურათი მოთავსებულია და მე კი ციხეში უნდა ვიჯდე (ეხლა შემატყობინეს, რომ, ვგონებ, ჩამოხსნილია)".

1935 წლის 8 ივლისს გაბრიელ ხუნდაძემ მორიგი წერილი გამოუგზავნა თავის ძმას გადასახლებიდან, რომლის ტექსტი მოგვყავს მთლიანად:

„ძვირფასო ძმაო, ვალიკო!

ძმური სალამი დომინიკას (ვალერიანის მეუღლეს—ჯ.გ.) და ყველა ჩვენს ძმებს, მათ ოჯახობას.

ალბათ ჩემს წერილს მიიღებდი (დაზღვეული იყო, გამოვგზავნე 3 ივანობისთვის).

თუ შეატყობინეთ ბიცოლა ჩემს ნიკოს (გარდაცვალების) ამბავი.

ერთი განცხადება მივეცი გ.პ.უ.—ს პროკურორს, რომელიც 13 წლის წინათ, როდესაც მე საბჭოთა მთავრობას ვიცავდი, ის ძალიან წინააღმდეგი იყო. უკვე უარი მომივიდა. მეორე განცხადება გავუგზავნე რუსპუბლიკის პროკურორს, რომელიც ათი წლის წინათ უკიდუ-

რესი მენშევიკი იყო (ალბათ, მხედველობაში ჰყავს ყოფილი მენშევიკი ა.ვიშინსკი, რომელიც სწორედ 1935 წელს დაინიშნა სსრ კავშირის პროკურორად — ჯ.გ.), ეხლა კი—ბოლშევიკი უკიდურესი ძალიან განათლებულია და პატიოსანი. ამ განცხადებაზე პასუხი არ მომსგ-ლია, მაგრამ ვინაიდან გ.პ.უ.—ს საქმეს ის ვერ გააარჩევს ამ უკანას-კნელის პროკურორის დაუთანხმებლად, უნდა ველოდეთ იმნაირივე პასუხს. დრო არის ამნაირი. ივანე (Николаевич) ხუნდაძე თუ არის თბილისში (მასწავლებელი), ხომ არ მოხუცებულია ძალიან. თუ თბილისშია, მოიკითხე მეუღლით და მთელი ოჯახით.

ეგვიხმა მითხრა, როდესაც მოსკოვში იყო, რომ სილიბისტრო ხუცესი გაკომუნისტდაო. იმის ფერისცვლა არავის გაუკვირდება.

ჯანმრთელობის მხრით ძალიან ნაკლებად ვარ. რევმატიზმ(მ)ა არ დამაყენა. ხელი მუდამ მტკივა, ეხლა მარჯვენა მიემატა. მერმე ალბათ მიემატება მარცხენა ფეხი, მერე—ხელები და გათავდება ისტორია.

პოლიტიკური კატორღელების საზოგადოება ცდილობდა, რომ პერსონალური პენსია დაენიშნათ ჩემთვის, მაგრამ ვერ მოახერხა. როდესაც აგ ზავნიან კაცს (გადასახლებაში — ჯ.გ.), იმას არჩევნების უფლებას ართმევენ და ამისთანა მდგომარეობაში არამც თუ დანიშ-ვნა, ვისაც აქვს, იმას ხსნიან პენსიას. ჩემი ახალი ადრესი: Усмань (Ц.Ч.П.), улица Ленина, д. В.В.Попова. შენი ერთგული ძმა გაბ-რიელი”.

ქალაქი უსმანი, სადაც გ.ხუნდაძე იმყოფებოდა გადასახლებაში, იმ პერიოდში შედიოდა ვორონეჟის ოლქში, ამჟამად — ლიპეცკის ოლქშია. მურმან ხუნდაძე ინახავს გაბრიელის ბოლო წერილსაც, რომელიც გამოგზავნილია ვალერიანის სახელზე 1936 წლის 22 იან-ვარს მოსკოვიდან. როგორც ჩანს, გ.ხუნდაძე უკვე განთავისუფ-ლებულია და მუშაობს კიდევაც. ბოლო ოთხი თვე მივლინებით ორეხოვო—ზუევოში ვიმყოფებოდი და დღეს დაებრუნდი მოსკოვშიო, — წერს გაბრიელი და აგრძელებს, — „ბიცოლაჩემი ალბათ სოფელშია. ვაპირებდი წამოსვლას. ერთმა გარემოებამ შემიშალა ხელი. შემწამეს მენშევიკობა, გამანთავისუფლეს, მაგარამ მაინც მზდევნიან. თუ მოვაგვარე საქმე, წამოვალ უსათუოდ.

შენი ერთგული ძმა გაბრიელი”.

გაბრიელ ხუნდაძე ვერ ჩამოვიდა სამშობლოში; 1937 წელს 60 წლის ასაკში, უკვე მორალურად განადუგრებული და ფიზიკურად



დაუძლურებული (როგორც ეს ჩანს მისი წერილებიდან) კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს... 1989 წელს წერილით მივმართე სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, რათა გამოეგზავნათ გაბრიელ ხუნდაძის დაპატიმრების, გასამართლების და დახვრეტის გარემოებათა ამსახველი მასალები, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი მასალები არსებობს და მომავალი მკვლევარი მათ აუცილებლად მოიძიებს, მათ შორის გ.ხუნდაძის მიერ დაწერილ განცხადებებს, რომელთა შესახებ საუბარია ერთ—ერთ წერილში.

გაბრიელ ხუნდაძის პიროვნება უაღრესად საინიტერესოა ჩვენთვის, მაგრამ არა როგორც სოციალ—დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, არამედ როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩამდგარი პიროვნება. სოციალ—დემოკრატიულ წარსულს მისთვის ხელი არ შეუშლია და მან, ქართველი ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, არჩევანი დამოუკიდებელი საქართველოს სასარგებლოდ გააკეთა.

შთამომავლობა ვალდებულია, გაურჩევლად პარტიული კუთვნილებისა პატივი მიაგოს და უკვდავყოს ყველა იმ მამულიშვილის სახელი, ვინც იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, მით უმეტეს ვინც შეენირა ამ წმინდა საქმეს. წინამდებარე წიგნის გამოცემის მიზანიც ეს არის—საზოგადოებამ გაიცნოს და ჯეროვნად დააფასოს გაბრიელ ხუნდაძე, მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივად ასახული „ანგარიშიში რუსეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის მოღვაწეობის შესახებ 1918—1919 წლებში“.

1989 წლის სექტემბერში „ანგარიში“ გავაცანი ბ—ნ გერმანე ფაცაცციას. მან საქართველოს კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის სპეცფონდში პროფესორ ლევან თოიძის დახმარებით მიაკვლია გაბრიელ ხუნდაძის მიერ 1920 წელს თბილისში გამოცემულ ბროშურას „Советская власть и Грузинское посольство в России. 23 июня 1918г. - 8 марта 1920г.“ („საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს საელჩო რუსეთში. 1918 წ. 23 ივნისი - 1920 წ. 8 მარტი“). მისი სრული ტექსტი ერთობლივად გამოვაქვეყნეთ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (1989 წ. ოქტომბერი).

თბილისში გერმანე ფაცაცციას მიერ მიკვლეული გ.ხუნდაძის ბრო-

შურის ავტორისეული წინასიტყვაობა ნათელს ჰფენს მოსკოვში აღმოჩენილი დოკუმენტის ისტორიასაც. „ამ წიგნის გამოცემა „თავისუფალ“ რუსეთში ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა, — წერს გ.ხუნდაძე. ფიასკო პირველად პეტროგრადში განვიცადეთ. სტამბაში დააპატიმრეს ანაწყობი. შემდეგ, მოსკოვში სახელმწიფო გამომცემლობამ არ გაიღო ჩვენთვის საჭირო ქალაქი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანხმობის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი დაწესებულება უღალატებდა თავის თავს, ამგვარ დათმობაზე რომ წასულიყო. ბოლოს, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ კამენევი, რომელსაც გადავეცით ეს წიგნი გასაცნობად, დაკარგა იგი და შავად ნაწერის მიხედვით წიგნის აღდგენისას მოგვიხდა მისი მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება“. სწორედ ლ.კამენევის მიერ მოსკოვის საბჭოში „დაკარგული“ წიგნი, რომელიც გამოსაქვეყნებლად ჰქონდა ავტორს მომზადებული, გახლავთ მოსკოვის საოლქო არქივში იმავე საბჭოს ფონდში ჩვენს მიერ აღმოჩენილი გაბრიელ ხუნდაძის „ანგარიში“, ხოლო შემცირებული ვარიანტი — თბილისში 1920 წელს გამოცემული ბროშურა.

„ანგარიშის“ სატიტულო გვერდზე მართლაც რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის და მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის (აღმასკომის) შტამპებია დასმული. 1919 წლის 16 ოქტომბერს ავტორს იგი სახელმწიფო გამომცემლობისათვის ჩაუბარებია (№4339), ხოლო იმავე წლის 21 ოქტომბერს გაუტანია ამ დაწესებულებიდან (№5361). 1919 წლის 3 დეკემბერს „ანგარიში“ მიტანილია მოსკოვის საბჭოს აღმასკომში (№14817), სადაც მას, ავტორის სურვილით, უნდა გასცნობოდა ლ.კამენევი. ეს უკანასკნელი, უეჭველია, გაეცნო დოკუმენტს და გადაწყვიტა, რომ მისი გამოქვეყნება საზიანო იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამიტომაც გამოაცხადა ნაშრომი „დაკარგულად“ — უბრალოდ ავტორი მოატყუეს. სინამდვილეში კი ლ.კამენევის რეზოლუციით — „в архив“ („არქივში“), გ.ხუნდაძის ერთადერთი ეგზემპლიარად შედგენილმა ნაშრომმა მოსკოვის საბჭოს არქივში დაიდო სამუდამო ბინა. მისი აღმოჩენა ბედნიერ შემთხვევითობას უნდა მივანეროთ.

„ანგარიში“ წარმოადგენს მანქანაზე დაბეჭდილ 32 გვერდიან მასალას ავტორის ხელით გაკეთებული ჩანართებით და ჩასწორებებით. გ.ხუნდაძის მიზანს წარმოადგენდა, როგორც თბილისში გამოქვეყ-



ნებული ვარიანტის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, გაეცნო რუსული საზოგადოებისათვის, ასევე ქართველი ხალხისათვის „არა იმდენად ქართული საელჩოს საქმიანობა, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობისადმი და მისი დიპლომატიური წარმომადგენლობისადმი“. ძალზე სანყენია, რომ ნაშრომის დაწერიდან მხოლოდ 80 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ავტორის სურვილის აღსრულება და მისი ცალკე წიგნად გამოცემა. გ.ხუნდაძის ნაშრომი ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე. იგი ბევრ რამეში ემთხვევა გ.ხუნდაძის 1920 წელს ხელახლა დაწერილ, გადაკეთებულ და თბილისში გამოცემულ შემოკლებულ ვარიანტს, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არის. ამიტომ „ანგარიშის“ გამოქვეყნება გამართლებულია ყველა ბვალსაზრისით – ზნეობრივი, პოლიტიკური, მეცნიერული, პრაქტიკული და ა.შ. რვა ათეული წლის წინ დაწერილი და დაკარგული საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდის ამსახველი წიგნი გადარჩა...

გაბრიელ ხუნდაძის ნაშრომი საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის რუსეთში საქართველოს წარმომადგენლობის იმ ურთულეს პერიოდში მოღვაწეობის შესახებ, როდესაც წითელი მოსკოვი ჯერ კიდევ არ ცნობდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში დიპლომატიური წარმომადგენლობის ფონდი (ფ.1866), რომელიც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში ინახება, ნაკლებია და არ შეიცავს გ.ხუნდაძის ნაშრომში მოტანილ ცნობებს. ავტორი დაწვრილებით აღწერს იმ რთულ და წინააღმდეგობრივ პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა აულიარებელ დიპლომატიურ წარმომადგენლობას.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა მასალას მოსკოვში ინგლისის გენერალურ კონსულთან, გერმანიის (გრაფ მირბახთან) და თურქეთის ელჩებთან საუბრების, პოლონეთისა და უკრაინის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან კეთილი ურთიერთობების შესახებ, ავტორის მსჯელობას საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის დღემდე აქტუალურ საკითხებზე. დიდი ყურადღება ეთმობა მოლაპარაკებებს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებთან – გ.ვ.ჩიჩრინთან, კ.ბ.რადეკთან, ლ.მ.კარახანთან.

ავტორი შეხვდა ასევე გ.ე. ზინოვიევს, ა.ი. რიკოვს, ლ.ბ. კამენევს. ეს უკანასკნელი გ. ხუნდაძის თხოვნით ესაუბრა ვ. ლენინს საქართველოს საკითხებზე, და ა.შ.

საინტერესოა ეპიზოდები მოსკოვის ქართული კოლონიის ცხოვრებიდან, მისადმი ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატის „განსაკუთრებული“ დამოკიდებულების შესახებ, ავტორის შენიშვნა, რომ აღნიშნული უწყების ხელმძღვანელი ი. სტალინი დიდ როლს თამაშობდა საქართველო—რუსეთის ურთიერთობათა გამწვავებაში.

1918 წლის შემოდგომიდან, როდესაც მოსკოვმა განწყვიტა დიპლომატიური კავშირი უკრაინასთან, ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა რუსეთში დაევალა საქართველოს წარმომადგენლობას. გ. ხუნდაძე შედარებით ვრცლად აშუქებს ამ მიმართულებით განუღებ მუშაობას, რომელიც ძალზე საინტერესო იქნება უკრაინელებისთვისაც.

ავტორის დიდ დამსახურებად მიგვაჩნია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი საბჭოთა რუსეთის აშკარად მტრული დამოკიდებულების მკაფიოდ, საინტერესო ფაქტებზე დაყრდნობით წარმოჩენა, ჩვენი წარმომადგენლობის ირგვლივ საბჭოეთში შექმნილი აუტანელი პოლიტიკური ატმოსფეროს (იგი იყო მიზეზი ლ. კამენევის მიერ გ. ხუნდაძის ხელნაწერის „დაკარგვისა“) გადმოცემა, ეროვნულ საკითხში ბოლშევიკების ორმაგი სტანდარტების (სიტყვით—ერთა თვითგამორკვევა სრულ გამოყოფამდე, საქმით — „თვითგამორკვევა“ რუსეთის ფარგლებში და ა.შ.) პოლიტიკის მხილება. „სადაა მიზეზი ამგვარი აშკარა წინააღმდეგობისა საბჭოთა ხელისუფლების სიტყვასა და საქმეს შორის“? — კითხულობს გ. ხუნდაძე და დამაჯერებელ პასუხს იძლევა საკუთარ კითხვაზე.

„ანგარიშში“ ნათქვამია, რომ ბოლშევიკთა ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, მაგრამ არა პრინციპული, არამედ ტაქტიკური მოსაზრებების გამო. მათი მიზანი, — ვკითხულობთ დოკუმენტში, — იყო თბილისში საელჩოს გახსნა, რომელიც უხელმძღვანელებდა კომუნისტურ მოძრაობას, შეასრულებდა საქართველოს მთავრობის დამხობის, წითელი არმიის შემოყვანის, იმპერიის წიაღში ჩვენი ქვეყნის დაბრუნების ამოცანას (სინამდვილეშიც ასე მოხდა). „მეგობრების“ განზრახვას მიუხვდა გ. ხუნდაძე, რომელმაც გამოიჩინა პოლიტიკური გამჭრიახობა. მან



წინასწარ გააფრთხილა საკუთარი მთავრობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

ავტორი ღრმად ერკვევა საქართველოს გარშემო შექმნილ სიტუაციაში. იგი სიფხიზლისაკენ მოუწოდებს ყველას, „ვინაიდან გარდუვალია უკეთილშობილესი და მალალიდუური დროშებით ჩვენი შეიარაღებული განადგურების მცდელობა“. სამწუხაროდ, ეს სიტყვებიც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

ქართულმა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ მოსკოვში დიდი როლი ითამაშა რუსეთ—საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებისათვის წინაპირობების შემზადებაში.

გაბრიელ ხუნდაძის „ანგარიში“, ერთი მხრივ, ანალიტიკური ხასიათის ნაშრომია, მეორე მხრივ, ეს არის მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული დიპლომატიის, რუსეთ—საქართველოს ურთიერთობათა ადრე გაყალბებული ისტორიის ობიექტურ შესწავლას, ზოგიერთი თანამედროვე პრობლემის უკეთესად გაცნობიერებას. მას დიდი ინტერესით წაიკითხავენ მეცნიერები, პედაგოგები, სტუდენტები, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, დიპლომატები, ფართო საზოგადოების წარმომადგენლები.

„ანგარიში“ ქართულ ენაზე თარგმნეს ფილოლოგმა რუსუდან ხარებავამ და სტუდენტმა ნინო ხარებავამ.

წინასიტყვაობა და შენიშვნები ეკუთვნის ჯემალ გამახარიას.

საქართველოს რუსპუბლიკა  
მთავრობის თავმჯდომარე  
1918 წ. 30 სექტემბერი  
№ 10150  
ქ. თბილისი

საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის  
წარმომადგენლობა რუს.სოც.  
ფედ. საბჭ. რუსპუბლიკაში.  
1918 წ. 17 თქტომბერი  
ბ. დმიტროვკა, სახ. 23, ბ. 10  
ტელ. 2—73—70

## უფლებამოსილება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამით ადასტურებს, რომ ნაფიცი ვეჩილი გაბრიელ ივანეს ძე ხუნდაძე არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი რუსი ხალხისა და მისი მთავრობის წინაშე იმისათვის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მისი მეშვეობით იქონიოს ყველა ურთიერთობა როგორც რუსეთის ოფიციალურ და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, ისე რუსეთის მთავრობასთან აკრედიტებულ უცხოეთის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ყველა ზოგადსახელმწიფოებრივ, ეროვნულ და ფინანსურ—ეკონომიკურ საკითხებზე.

გარდა ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ადასტურებს, რომ რუსეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს გ.ი.ხუნდაძეს უფლება აქვს: პირველ რიგში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით დადოს ყოველგვარი ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია რუსეთის ოფიციალურ და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, აგრეთვე კერძო პირებთან ამ უფლებამოსილებით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე; მეორეც, თავისი ნება—სურვილით დანიშნოს კონსულები რუსეთის სხვადასხვა ქალაქში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის  
თავმჯდომარე: ნ. ყორღანია

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი,  
შინაგან საქმეთა მინისტრი: ნ. რამიშვილი

მთავრობის საქმეთა მმართველი: ს. ჯაფარიძე  
მდივანი: გრ. რობაქიძე



# ანბარიში რუსეთში საქართველოს დიალოგატიური მიზნის მოღვაწეობის შესახებ 1918—1919 წლებში

1918 წლის 11 ივნისს ჩვენმა სპეციალურმა კურიერმა თბილისიდან ჩამომიტანა ქალაქი, რომელშიც მატყობინებდნენ, რომ ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დამაკისრა მაღალი და საპატიო მისია — ვიყო საქართველოს წარმომადგენელი რუსეთში. შემდგომში ამ უფლებამოსილების სანქცირება მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.<sup>1</sup>

ცნობას საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისა და რუსეთში დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ დიდი ენთუზიაზმით შეხვდა რუსეთში მცხოვრები ქართველების უდიდესი ნაწილი; ასევე საყვედურს ვერ ვიტყვით რუსულ დემოკრატიაზე, რუსულ საზოგადოებაზე. მართალია, არც ერთი რუსული პარტია, თვით უკიდურესი მემარჯვენეებით დაწყებული, კომუნისტებით დამთავრებული, არ აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგრამ მოსახლეობის ის ფენები, რომლებზეც დაყრდნობას ისინი ცდილობენ, შეგხვდა ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულიად საპირისპირო მოსაზრებებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ კეთილგანწყობილად, არამედ ზოგჯერ ძალიან თბილად.

ბეჭდვითი სიტყვის ყველა ორგანომ, — თუმცა ხელისუფლება მაშინ ჯერ კიდევ არ ბრწყინავდა დიდსულოვნებით, მაგრამ ერიდებოდა პლიუშკინისეულ<sup>2</sup> სიძუნწეს — ბოლშევიკურის<sup>3</sup> ჩათვლით, გამოიჩინა ჩვენს მიმართ გარკვეული ყურადღება და ინტერესი იმ განსხვავებით, რომ „ბურჟუაზიული ცრურწმენების“<sup>4</sup> იდეოლოგიები ხალისით, სიამოვნებითაც აქვეყნებდნენ ჩვენს ინტერვიუებს და ინფორმაციებს. ბოლშევიკებმა კი უფრო მეტი სიამოვნებით მომანიჭეს „სოციალ—მოლალატის“ წოდება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ განსაკუთრებული სითბო ვიგრძენით სოციალისტ—რევოლუციონერებისაგან და სოციალ—დემოკრატებისაგან; „მემარცხენე“ ესერული

ბალღების მოსაზრებით არ დავინტერესებულვართ.

უფლებამოსილების მიღებისა და ამასთან დაკავშირებით ქართული კოლონიების საზეიმო კრებების მოწყობისთანავე, მოსკოვსა და პეტროგრადში შევუდევით წარმომადგენლობის აპარატის ჩამოყალიბებას. შალვა სპირიდონის ძე ლორთქიფანიძის განსაკუთრებული ენერჯის წყალობით, რომელიც ამჟამად ჩვენი წარმომადგენლობის საქმეთა მმართველია, აპარატი მალე აენყო და 1918 წლის 22 ივნისს პირველად ისტორიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა რუსეთში გახდა ფაქტი, თუმცა იურიდიული ტიტულის გარეშე, შესაბამისად იმ უფლებებისა და პრივილეგიების გარეშე, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი და დამკვიდრებული საერთაშორისო ურთიერთობები ანიჭებენ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

თავისთავად ცხადია, რომ პირველ რიგში, საჭირო იყო წარდგენა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე საგარეო საქმეთა ხელმძღვანელი პირის სახით, შემდეგ კი საზღვარგარეთის მისიებთან გარკვეული ურთიერთობების დამყარება.

იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა ჩვენს წარმომადგენლობას საბჭოთა ხელისუფლება, დანვრილებით ქვემოთ გიამბობთ. აქ კი მოკლედ შევჩერდებით ჩვენს შეხვედრებზე საზღვარგარეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან.

როცა ჩვენმა წარმომადგენლობამ დაიწყო ფუნქციონირება, შეთანხმების სახელმწიფოები<sup>5</sup> უკვე იმყოფებოდნენ საბჭოთა რუსეთთან, უკიდურეს შემთხვევაში, დე—ფაქტო საომარ მდგომარეობაში. ამიტომაც მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების ნაწილი უკან გაემგზავრა, ნაწილი კი მიუწვდომელ ადგილებში დარჩა კერძო პირების სახით. ამის გამო მხოლოდ ინგლისის გენერალურ კონსულთან მოვახერხე შეხვედრა. როდესაც საფრანგეთის გენერალურ საკონსულოში დავაპირე მისვლა, იგი თითქოს შინაურ ტყვეობაში იმყოფებოდა.

ინგლისის საკონსულოში საკონსულოს მდივანმა მაცნობა, რომ გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი მზადაა სიამოვნებით მიმიღოს, მაგრამ მხოლოდ კერძო პირის სახით. საერთაშორისო დიპლომატიური ეტიკეტის ყველა წესის თანახმად, გულნატკენი უნდა გავცლოდი იქაურობას, მაგრამ გადავწყვიტე არ გავნაწყე



ნებულიყავი და კაბინეტში მიმინვიეს. გენერალური კონსული საგანგებოდ თავაზიანი იყო, სულ ხოტბას ასხამდა საქართველოს, მაგრამ ძალიან უკმაყოფილო იყო საქართველოს მთავრობით, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრით ნოე რამიშვილით. თქვენმა მთავრობამ კეთილშობილური ფორმით თბილისიდან გააძევა ჩვენი კონსული, — განმიცხადა მან. ჩემი ცნობების თანახმად, ეს განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. რუსეთის არმიის მიერ კავკასიის ფრონტის დატოვების<sup>7</sup> შემდეგ, თურქები დაუყოვნებლივ დაიძრნენ თბილისის მიმართულებით. თბილისში ინგლისის კონსულს, როგორც მტრული (თურქეთისათვის — ჯ.გ.) სახელმწიფოს წარმომადგენელს, წინადადება მიეცა, უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, დაეტოვებინა თბილისი, თანაც მას მისცეს გადაადგილების ყველა აუცილებელი საშუალება. აღმოჩნდა, რომ თბილისის კონსული გვერდით ოთახში იმყოფებოდა. გენერალურ კონსულს ვთხოვე მისი მოწვევა და იგი მოიწვიეს. კეთილმა და სასიამოვნო ბერიკაცმა, თუმცა იგი რჩებოდა გულნატკენი, მთლიანობაში დაადასტურა ჩემი ვერსია თბილისიდან მისი გამომგზავრების შესახებ. ინგლისის ყოფილ და ამჟამინდელ კონსულებთან შემდგომმა საუბარმა სრულიად განმიმტკიცა აზრი, რომ ინგლისელთა ნაწყენობის მიზეზი იყო არა რამიშვილის საქციელი, არამედ სულ სხვა რამ.

საქართველოს არ შეეძლო ბრესტის ხელშეკრულებაზე<sup>8</sup> თანხმობის მიცემა, ვინაიდან მას კარგად ახსოვდა საკუთარი საუკეთესო ოლქების დაკარგვა. ქვეყანას თავი უნდა გადაერჩინა განადგურებისაგან თურქეთის მხრივ. თურქეთმა გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა საკუთარი მადა არა ხელშეკრულების პუნქტებითა და პარაგრაფებით, არამედ ყირიმისა და ამიერკავკასიის სოფლებითა და ქალაქებით. ანტანტის წარმომადგენლები საქართველოს დახმარებას შეპირდნენ თურქეთთან წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში, მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ ინგლისის დახმარება — ნეროა ცაში, ხოლო ნივნივა გერმანიის ხელშია,<sup>9</sup> მაშინ ინგლისელთა უკმაყოფილება გადაიზარდა წყენაში საქართველოს მთავრობის მისამართით. შემდგომში ჩვენი საუბარი მიმდინარეობდა ჩემს მიერ წამოყენებული ორი საკითხის ირგვლივ: იძლევა თუ არა ინგლისი მისი სამხედრო გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიას და ხომ არ შეუდგება იგი სომხეთის გაძლიერებას ამიერკავკასიის ყველა

ეროვნების საზიანოდ. ეს უკანასკნელი საშიშროება სავსებით მართლდება ჩვენს თვალწინ.

პირველ შეკითხვას გენერალურმა კონსულმა არ უპასუხა იმ მიზეზით, რომ მისთვის უცნობია საკუთარი მთავრობის გეგმები; მეორე შეკითხვაზე მან დარწმუნებით უპასუხა, რომ ინგლისმა მშვენივრად იცის საქართველოს საზღვრები. არ ვიცი, როგორ უყურებს ჩემი გულკეთილი თანამოსაუბრე თავისი მთავრობის თანამედროვე პოლიტიკას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინგლისმა, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად იცის საქართველოს საზღვრები.<sup>10</sup>

ცენტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებიდან და მათი მოკავშირეებიდან ჩვენ მხოლოდ გერმანიისა და თურქეთის ელჩები გავიცანით. გერმანიის საელჩოს, შემდგომში გერმანიის გენერალური საკონსულოს წყალობით, შევძელით საკმაოდ რეგულარული კავშირის დამყარება ჩვენს დელეგაციასთან ბერლინში და მის ხელმძღვანელთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ა.ი.ჩხენკელთან.<sup>11</sup> გერმანიის საელჩო თავაზიანად დაეთანხმა თავისი კურიერების მეშვეობით ჩვენი კორესპონდენციის ბერლინში გადაგზავნას, თანაც გერმანიის საელჩოს თავაზიანობა კონკურენციას უწევდა გერმანულ აკურატულობას.

გერმანიის ელჩი მირბახი<sup>12</sup> ვნახე ორჯერ: პირველად, როცა მივედი მასთან სპეციალური ვიზიტით, ხოლო მეორედ — შემთხვევით, როცა ის, გამოდიოდა საგარეო საქმეთა კომისარიატიდან.<sup>13</sup>

პირველი შეკითხვა, რომელიც დამისვა გრაფმა მირბახმა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს, იყო: რა ურთიერთობაშია რესპუბლიკა, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, გეორგიის რესპუბლიკასთან? ყველაზე საუკეთესოში, — ვუპასუხე მე.

— დიდი ხანია?

— ყოველთვის, ვინაიდან გეორგია და საქართველო ერთი და იგივეა.

ჩემი პასუხით გერმანიის ელჩი რამდენადმე შეცბა. მან ალბათ იცოდა გეორგია, მაგრამ არ სმენია საქართველოს შესახებ. რათა უფრო მეტად დარწმუნებულიყო იმაში, რომ გეორგია და საქართველო ერთი და იგივეა, გრაფმა მირბახმა დაასახელა რამდენიმე ქართული გვარი და მკითხა: თქვენ მათი სამშობლოს წარმომადგენელი ბრძანდებით? მე ვუპასუხე დადებითად. იგი დამშვიდდა, როდესაც საუბარ-



ში ბევრი საკმაოდ ზუსტი ცნობა მიიღო ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეების ცხოვრებიდან.

— კი მაგრამ, რით შემოიძლია გემსახუროთ?

— გვინდოდა გვცოდნოდა, აღიარებს თუ არა გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობას<sup>14</sup> და თუ აღიარებს, მაშინ, პირველ რიგში, არის თუ არა მზად დაუჭიროს მას მხარი ყველა სხვა სახელმწიფოს წინაშე და, მეორეც, თანახმაა თუ არა გერმანიის ელჩი დაიწყოს ოფიციალური ერთიერთობა რუსეთში გერმანიისა და საქართველოს საელჩოებს შორის.

კერძო წყაროებიდან ჩემთვის ცნობილია, მიპასუხა გრაფმა მირბახმა, რომ გერმანიის მთავრობა ცნობს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, მაგრამ ოფიციალური ცნობები არა აქვს. დამპირდა, რომ დაუყოვნებლივ შეეკითხება თავის მთავრობას და თუ არის უკვე მიღებული გერმანიის მთავრობის ოფიციალური გადამწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ, მაშინ თავისთავად იგულისხმება, — დაუმატა მან, — რომ გერმანია დაიცავს თავის გადამწყვეტილებას ყველა სხვა სახელმწიფოს წინაშე. საკუთარი მთავრობის პასუხითვე მის შეკითხვაზე გადამწყვეტა ჩვენსა და გერმანიის საელჩოებს შორის ურთიერთობის დაწყების საკითხი.

მეორე შეხვედრა გრაფ მირბახთან იყო შემთხვევითი. ის გამოდიოდა საგარეო საქმეთა კომისარიატიდან. იმ დროს საბჭოთა პრესა გამუდმებით ამტკიცებდა, რომ გეგეჭკორის, ჩხენკელის, წერეთლის,<sup>15</sup> და სხვათა წყალობით, გერმანელებმა დაიპყრეს საქართველო და როგორც უნდათ ისე უწევენ მას ექსპლოატაციასო. ჩვენს შორის გაიმართა ასეთი დიალოგი: ბრძანეთ, გრაფო, აქვს თუ არა განზრახული გერმანიის მთავრობას იგივე აკეთოს საქართველოში, რასაც პოლონეთში აკეთებს.<sup>16</sup>

— კი მაგრამ ცუდს რას აკეთებენ ჩვენები პოლონეთში?

— მინდა ვიცოდე, ის „კარგი“, რასაც აკეთებთ პოლონეთში, ხომ არ გინდათ საქართველოში გადაიტანოთ?

— რატომ, განა ჩვენი კულტურა პოლონურზე, მით უმეტეს ქართულზე მაღლა არ დგას?

— თქვენი კულტურის ძალაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ეს თქვენთვის ცოტათი ძნელი იქნება.

—თქვენ ასე ფიქრობთ?

—დიახ, ვფიქრობ იმიტომ, რომ პოლონეთის ჩასაყლაპად გერმანიისათვის საქმარისია ხახა დაალოს, ხოლო იმისათვის, რომ ჩაყლაპოს საქართველო, გარდა ამისა საჭიროა კიდევ შავი ზღვის დალევა, ის კი ძალიან მლაშეა.

—მართალი ბრძანდებით, მაგრამ ნუთუ თქვენ არ გილიმით ლაზის-ტანი?

შეკითხვა ვერ გავიგე და გაოცება გამოვხატე.

—საქართველოს ეთნოგრაფიული და ისტორიული დამრგვალება შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით: თუ ის დაეთანხმება გერმანელი უფლისწულის მიღებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მისწრაფება უცხო არ იყო გერმანიის ბიუროკრატიული სფეროებისათვის.<sup>17</sup>

თურქეთის ელჩიც როჯერ ვნახე და ორივეჯერ დახვეწილად თავაზიანი იყო. მიმიღო როგორც ძველი ნაცნობი, რომელთანაც შეიძლება გულახდილად საუბარი. საქართველოს დამოუკიდებლობას ის ღებულა როგორც ფაქტს, რომლისთვისაც ყველას მოუწევდა ანგარიშის გაწევა. როდესაც საუბარში რაღაცნაირად თურქებს მეზობლები ვუწოდე, ის ოდნავ განანწყენდა; განაცხადა, რომ თურქები ქართველების მეზობლები კი არა, ძმებია. მეორეჯერ შევიარე მასთან საქართველოში გამგზავრების წინ. მისურვა რა ბედნიერი მგზავრობა, თურქეთის ელჩმა მთხოვა გადამეცა საქართველოს ხალხისათვის მილოცვა, რომ მან, როგორც იქნა, თავი დააღწია რუსეთის უღელს.

პოლონეთის საელჩოსთან და უკრაინის გენერალურ საკონსულოსთან ჩამოგვიყალიბდა საუკეთესო ურთიერთობები. პოლონელი ელჩი ალექსანდრე რობერტის ძე ლედნიციკი იყო ჩვენთან და მუდამ ცხოველ დაინტერესებას იჩენდა საქართველოს მდგომარეობისადმი და ჩვენი წარმომადგენლობის საქმიანობისადმი.

რაც შეეხება უკრაინის გენერალურ კონსულს ალექსანდრე კლიმენტის ძე კრივცოვს, მასთან პირადი მეგობრობის გარდა მაკავშირებდა საქმიანი ურთიერთობები. ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია უკრაინის გენერალურმა კონსულმა ჩვენი ლტოლვილებისა და ტყვეების<sup>18</sup> სამშობლოში გამგზავრების საქმეში.

ახლა გადავიდეთ საბჭოთა რუსეთში ჩვენი მდგომარეობის გამორკვევაზე. ძნელია უფრო მძიმე ატმოსფეროს წარმოდგენა, ვიდრე ის,



როგორშიაც საქართველოს წარმომადგენლობამ დაიწყო თავისი არსებობა. ამ სფეროში ჩვენთვის კონკურენციის განევა იქნებ შექმნოთ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში. თუმცა ერთ რამეში მათთან თანასწორ პირობებში ვიყავით. მსგავსად იმისა, როგორც ბურჟუაზიული პრესა იყომზად ბოლშევიკების მისამართით დაებეჭდა ნებისმიერი ცილისწამება, ასევე საბჭოთა პრესა სრულიად არ ერიდებოდა საშუალებებს, ოღონდ როგორმე სამარცხვინო ბოძზე გაეკრა „კონტრრევოლუციური“ საქართველო.<sup>1</sup>

საეჭვოა, მსოფლიოში მოიძებნოს სახელმწიფო, რომელშიც ყველა მოქალაქე კმაყოფილი იქნებოდა ხელისუფლებით. უზარმაზარი გლეხთა გამოსვლები და მუშათა გაფიცვები აგერ უკვე მეორე წელია აქეთ—იქით არყევენ საბჭოთა ხომალდს და ითრგუნებიან დაუნდობელი სისასტიკით. მაგრამ, როდესაც ყოველგვარი მოძრაობა საბჭოთა მმართველების წინააღმდეგ განიხილება როგორც 'რეაქციული ამბოხება, საქართველოში გლეხთა ოდნავ აფეთქებას საბჭოთა პრესა მიესალმება როგორც გადამრჩენ რევოლუციას „საქართველოს კონტრრევოლუციური მთავრობის“ წინააღმდეგ. უბედურება არ არის იმაში, რომ მთელი რიგი გლეხთა აჯანყებები საქართველოში ატარებდნენ აშკარად კონტრრევოლუციურ ხასიათს და ხელმძღვანელობდნენ მათ დაპატენტებული ავაზაკები.<sup>19</sup>

ძევვის ხიდის აფეთქება,<sup>20</sup> რომელიც მოაწყვეს დაშნაკებმა, რათა შეექმნათ დაბრკოლება ქართული ჯარის გადაადგილებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მოინდომებდნენ თავიანთი სავაზნო ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენას თბილისში, საბჭოური პრესის მიერ აღინიშნა როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქართველი მუშებისა და გლეხების გმირული ბრძოლის ერთ—ერთი ეპიზოდი. ამგვარად გააშუქეს მოძრაობა აფხაზეთში მაშინ, როდესაც ადგილობრივმა მემამულეებმა მოინვიეს თურქეთის ასკერები რევოლუციის მიერ შერყეული თავიანთი ფეოდალური უფლებებისა და პრივილეგიების დასაცავად.<sup>21</sup> საბჭოთა ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენლები დღემდე დარწმუნებული არიან იმაში, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედებდა ქართული რაზმი, რომ საქართველოს მთავრობა ხელს უწყობდა თურქებს ბაქოს დაკავებაში და მიესალმა მათ, როცა იგი დაიკავეს.<sup>22</sup> ეს მაშინ, როდესაც თბილისში

ორი ოფიციალური სოციალ — დემოკრატიული ორგანოს „ბორბას“ — ს („ბრძოლა“ — ჯ.გ.) და „ერთობის“ გამოსვლა თურქების წინააღმდეგ, რომლებმაც ბაქო დაიკავეს,<sup>23</sup> გახდა საბაბი დიპლომატიური კონფლიქტისა თურქეთსა და საქართველოს შორის. ჩვენ უკვე არ ვსაუბრობთ იმის თაობაზე, რომ თურქებსა და ბაქოელთა შორის სავარაუდო საშუამავლო კომისიის თავმჯდომარე, პირველი სახელმწიფო დუმელი ისიდორე რამიშვილი<sup>24</sup> გარკვევით ემხრობოდა რუსულ ორიენტაციას. ცილისწამებამ ისეთი საზიზლარი ხასიათი მიიღო, რომ ჩვენს ელჩს ბერლინში ა.ი.ჩხენკელს ვთხოვე გაეგზავნა საქართველოში მარტოოდენ სპარტაკელებისა და დამოუკიდებელთაგან<sup>25</sup> შემდგარი კომისია, რომელიც თავის ინფორმაციას საქართველოში საქმის ვითარების შესახებ მისცემდა რუსულ საბჭოთა ხელისუფლებას; მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანიაში რევოლუციის შემდეგ<sup>26</sup> განყდა ყოველგვარი კავშირი ჩვენს წარმომადგენლობასა და ა.ი.ჩხენკელს შორის და ჩემთვის უცნობია კიდევ, მივიდა თუ არა ჩემი წინადადება დანიშნულების ადგილამდე.

საბჭოთა პრესა, რომელიც გარკვეული კუთხით ეწევა რუსეთის პროლეტარიატის დამუშავებას, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, დღემდე იგი ნებისმიერ შემთხვევას იყენებს, რათა ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ქართულმა სოციალ — დემოკრატიამ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თითქოს დაშალა და დახვრიტა რევოლუციური რუსული არმია და ამგვარად გაიკაფა გზა იქითკენ, რომ ჩახუტებულიყო ჯერ გერმანიას, ხოლო შემდეგ — ინგლისს.

რა თქმა უნდა, ადამიანები, რომლებსაც არ დაუკარგავთ პასუხისმგებლობის გრძნობა, მეტი მზრუნველობით და მეტი სიფრთხილით გამოიყენებდნენ ცნებებს „არმია“ და „რევოლუციურობა“.

ფრონტზე, სადაც მოიშალა ყოველგვარი დისციპლინა, სადაც არა მარტო მეთაურთა შემადგენლობის, არამედ რევოლუციის მიერ მოვლენილი კომიტეტების ავტორიტეტიც ნულს უტოლდებოდა, სადაც ადამიანთა უზარმაზარი მასა მოძრაობაში მოდის არა რომელიმე ხელმძღვანელი საწყისისადმი დაქვემდებარების გამო, არამედ მისი შემადგენელი ნაწილების განწყობილებისა და ნებელობითი იმპულსების შესაბამისად, გვყავს არა არმია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ ადამიანთა არაორგანიზებული ბრბო.

კიდევ უფრო ნაკლები საფუძვლიანობით შეიძლება რევოლუცი-



ური არმია ვუნოდოთ ადამიანთა ბრბოს, რომელიც თვითდემო-  
ბილიზდება და გარბის შინ. ეს „რევოლუციური არმია“ სტიქიური მოძ-  
რაობისას ქვას ქვაზე არ ტოვებდა იმ ადგილებში, სადაც გამოიარა.  
არა ასობით, არამედ ათასობით სომხური და მუსულმანური ოჯახი  
შეძრწუნებით იგონებს ფრონტიდან აწყვეტილი რუსული „არმიის  
რევოლუციურ გმირობებს“.

ყველაფერი ეს ცნობილია მაშინ კავკასიაში მყოფი ბრალმდებ-  
ლებისათვის, მაგრამ შესანიშნავად მესმის მათი: მართლმორწმუნე  
კომუნისტებს ეუხერხულებათ ერთდროულად გაჯორონ სოციალ—  
დემოკრატებიც და ის ძალაც, რომლის მეშვეობით მათ უნდათ კისერი  
მოუგრიხონ სოციალ—დემოკრატიას.

თუმცა, საქართველოს მტრებმა მოახერხეს კავკასიის არმიის  
ნაწილის დაუფლება, რომელმაც დაიკავა პოზიცია თბილისის მახ-  
ლობლად. ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ 1918 წ.  
26 მაისის აქტის გამოქვეყნებამდე დიდი ხნით ადრე, და, შესაბამისად,  
ჯერ არ არსებობდა ცალკე საქართველოს მთავრობა.

ეს იყო ის დრო, როდესაც თბილისში იჯდა ამიერკავკასიის კომისა-  
რიატი,<sup>26</sup> მაგრამ ფაქტობრივად ყველაფერს თბილისის მუშათა და  
ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო<sup>27</sup> მეთაურობდა. აღნიშნული საბ-  
ჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თბილისთან გაჩერებული რუსული  
არმიის სახელით წარედგინა კატეგორიული მოთხოვნა დაუყოფ-  
ნებლივ ჩააბაროს თბილისი და მთელი ძალაუფლება გადასცეს მას.  
თბილისის საბჭოსათვის კარგად იყო ცნობილი, როგორი ხასიათის  
აგიტაცია წარმოებდა მის წინააღმდეგ ჯარში: თითქოს მისი ბელადები  
ცდილობენ შემოიღონ ბატონყმობა, აღადგინონ მონარქია, ბურჟუა-  
ზიისა და მემამულეთა ინტერესებისათვის გაანადგურონ მუშათა და  
გლეხთა ორგანიზაციები და ა.შ. და ა.შ. მან წინადადება მისცა შეტე-  
ვაზე გადმოსულ რუსეთის არმიას გამოაგზავნოს თბილისში დეპუ-  
ტაცია, რომელიც ადგილზე და უშუალოდ შეისწავლიდა საქმის ვითა-  
რებას და საბჭოს მუშაობას.

მიუხედავად თავისი ხელმძღვანელების მცდელობისა, ჯარმა  
მიიღო თბილისის საბჭოს წინადადება და გაგზავნა დეპუტატები.  
თბილისში ჩამოსული დეპუტატები განცვიფრებული იყვნენ; მებატო-  
ნეთა ნაცვლად მათ ნახეს რევოლუციურ პარტიათა წევრი მუშები და  
ჯარისკაცები, მონარქისტების ნაცვლად—თავგამოდებული რესპუბ-

ლიკელები, მემამულეთა დამცველების ნაცვლად — კომისიები და ქვეკომისიები, რომლებიც ამუშავებდნენ საკითხს ხალხისათვის მთელი მიწის გადაცემის შესახებ. აუცილებელია ამას დავუმატოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ბოლშევიკების ყველაზე იდეური ნაწილი გადაჭრით წინააღმდეგი იყო რუსეთის არმიის თბილისზე შემოტევის ხელმძღვანელთა პოლიტიკისა, მით უმეტეს, რომ ერთდროულად რუსეთის არმიის თბილისზე შემოტევასთან ერთად იმავე ბედუკულ-მართ თბილისს უტევდა თურქული არმია. ერთ — ერთმა უკიდურესმა ბოლშევიკმა ტოროშელიძემ<sup>30</sup> ერთ შეკრებაზე ან განსვენებულ სტიფანე შაუმიანს<sup>31</sup> პირში მიახალა ბრალდება, რომ იგი და მისი თანამოაზრეები, რომლებსაც თბილისისაკენ მოყავდათ რუსული არ-მია, ასრულებენ სომხური კონტრევოლუციური ბურჟუაზიის აგენ-ტურის როლს, რომელიც ცდილობს გაანადგუროს თავისი დაუძინე-ბელი მტერი — ქართული მუშათა დემოკრატია, ვისი ხელებითაც ეს არ უნდა მომხდარიყო. არ დავიწყებ გარჩევას, სამართლიანია თუ არა ეს ბრალდება, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი გამოკვე-თილად ჯიუტი გარემოება. რუსულმა არმიამ ხომ გამოიარა ყარსი, არდაგანი, ოლთისი, იყო ერევანში, ერზიზში, ალექსანდროპოლში და არსად უფიქრია ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე, ბურჟუაზი-ასთან შებრძოლებაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თბილისს მოადგა, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ნანგრევებზე საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის სურვილმა შეიპყრო!

ბანაკში დეპუტატების დაბრუნების შემდეგ გაკეთებულმა მოხსენებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არმიაზე. არმიის დიდმა ნაწილმა უარი თქვა თბილისზე შეტევისაგან და მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც, მართალია, რამდენჯერმე აღემატე-ბოდა თბილისის საბჭოს ძალებს, დარჩა შეტევის ხელმძღვანელებს. მაშინ თბილისის საბჭომ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა ჭეშმა-რიტ რევოლუციონერს და ყოველ პატიოსან მოქალაქეს. როდესაც სიტყვისა და კრებების შეუზღუდავი თავისუფლების, ხალხის მასების ორგანიზაციის შეუზღუდავი თავისუფლების პირობებში სურთ ამ მასების ნების წინააღმდეგ ხიშტებით თავს მოახვიონ მათთვის უცხო მართვის სისტემა, მაშინ ხიშტზე ხიშტით უნდა უპასუხო. ასეც მოიქცა იმ დროის გმირი — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.



დაატერორა რა ყველა კონტრრევოლუციური ძალა, აღმასრულებელმა კომიტეტმა სანიმუშოდ გაამაგრა თბილისი, წესრიგში მოიყვანა მთელი თავისი ცოცხალი ძალა, ყველა ბორცვზე (რომელიც გარს აკრავს ქალაქს) განალაგა ქვემეხები და ტყვიამფრქვევები. როდესაც ყველაფერი მზად იყო, სამხრეთული შუალამობით დაინწყეს ამ გრანდიოზული სამხედრო—რევოლუციური სანახაობის პროექტორის თვალისმომჭრელი სხივებით განათება. ეს საკმარისი აღმოჩნდა, კამპანია ჩაიშალა ერთი გასროლის გარეშე. დაიწყო „რუსეთის არმიის“ ახალი უკანდახევა, მაგრამ უკვე საქართველოს ფრონტიდან. არა თუ არ ყოფილა რაიმე სისხლისღვრა, ან დახვრეტები, როგორც ამის შესახებ ყვებიან ბოლშევიკური მემატიანეები, პირიქით, რუსი ჯარისკაცები, დარწმუნდნენ რა თბილისის საბჭოს ძლიერებაში და რევოლუციურობაში, მასობრივად შუამდგომლობდნენ მის წინაშე სასწრაფოდ სამშობლოში გამგზავრების შესახებ. როგორც გვიჩვენებს გროვა სამადლობლო წერილებისა, რომლებიც ინახება საბჭოს არქივში, ამ უკანასკნელმა ყველაფერი იღონა აღნიშნულ სფეროში, რაც მის შესაძლებლობებში იყო.

სისხლისღვრას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ გაცილებით უფრო გვიან. თბილისის მისადგომებთან განვითარებული მოვლენების შემდეგ დაიწყეს დიდი ძალების თავმოყრა შამქორში. მენშევიკები ადანაშაულებდნენ ბოლშევიკებს იმაში, რომ ისინი ამზადებდნენ ახალ შეტევას თბილისზე, ბოლშევიკები ამას უარყოფდნენ. არ შეეუდგები განხილვას საკითხისა, ვინაა მართალი მათ შორის. მხოლოდ იმას გადმოვცემ, რაც დოკუმენტურად დადგენილია. ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი ყოველთვის ითვლებოდა ავაზაკთა ბუდედ, მაგრამ რევოლუციურ პერიოდში ავაზაკობა განსაკუთრებით გაძლიერდა. და, აი, ერთ დღეს ბოროტგანმზრახველებისაგან გზის გასანმენდად გაგზავნილ სამხედრო მატარებელს თავს დაესხა ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც შამქორში იდგა. მოკლეს მატარებლის უფროსი, მოსამსახურეთა ნაწილი გაანადგურეს, ნაწილი ტყვედ აიყვანეს, ტელეგრაფის გაფუჭების გამო განყდა კავშირი თბილისთან. ასეთ პირობებში დაიწყო სამხედრო შეტაკება თბილისის საბჭოს დამცველებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. დანაკარგები ორივე მხარეს ჰქონდა, მაგრამ უფრო მეტად საბჭოს მოწინააღმდეგენი დაზარალდნენ. როგორც კი შამქორის მოვლენები<sup>32</sup> ცნობილი გახდა თბილისში, მუშათა

და ჯარისკაცთა საბჭომ ადგილზე საქმის გამოსაძიებლად კომისია გაგზავნა. შამქორის მოვლენების ვერსია, რომელსაც აქვადმოვცემ, აღნიშნული კომისიის დასკვნიდანაა გადმოტანილი. არ შემიძლია გავჩუმდე იმაზე, რომ, როდესაც კავკასიელი კომუნისტები ინფორმაციას აწვდიან თავის რუს ამხანაგებს შამქორის მოვლენების შესახებ, მაშინ მუდმივად ავინყდებათ აცნობონ მათ ის გარემოება, რომ შამქორის მოვლენების გამომძიებელი კომისიის დასკვნა დამონმებული და ხელმოწერილია არა მარტო მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების მიერ, არამედ — ბოლშევიკების მიერაც.

შემდგომში, გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ყოველი პარტია, ცდილობდა ძველი არმიის საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას ისე, რომ სულაც არ უწევდა ანგარიშს არც ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებს, არც თავად არმიის სურვილებს, გამოიცა დეკრეტი რუსეთის არმიის დაშლის, განიარაღების და სასწრაფო ევაკუაციის შესახებ. არსებითად, უკვე არავინ იყო განსაიარაღებელი. დეკრეტის გამოცემის დროისათვის „რუსულმა არმიამ“ თითქმის მოასწრო განიარაღება, გაყიდა რა მთელი თავისი ამუნიცია. ამ დეკრეტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბოლშევიკებში. მათი პროტესტი ძველი არმიის დაშლისა და განიარაღების წინააღმდეგ ძალიან ნიშანდობლივია. აღმოჩნდა, რომ რუსი კომუნისტები, რომლებიც ახალციხეს სომხურ ქალაქად თვლიან, ხოლო ბაქოს — რუსულად, მილიუკოვებს<sup>35</sup> თუ ჩამორჩებიან იმპერიალისტურ ვიოლინოზე დაკვრაში, სამაგიეროდ მტკიცე კონკურენციას უწევენ მათ იმპერიული გზით მოპოვებულის შენარჩუნების საქმეში. ასეთი დახასიათება კომუნისტებს, რა თქმა უნდა, არ მოეწონებათ, ვინაიდან თავიანთი კავკასიელი ინფორმატორებისაგან ზუსტად იციან, რომ ქართველ „სოციალ—მოღალატეებს“ — ჩხენკელს, წერეთელს, გეგეჭკორს... რომ არ განიარაღებინათ და არ დაეშალათ რუსული არმია, მაშინ კავკასიაში იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლება, თავად საქართველოც არ მოხვდებოდა იმპერიალიზმის ხაფანგში. მაგრამ ნება მიბოძეთ გკითხოთ, თუ ძველი რუსული არმია მართლა იყო ასეთი რევოლუციური და შეეძლო ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი, მაშინ სახალხო კომისართა საბჭომ მზის სინათლეზე გამოჩენის თითქმის მეორე დღესვე რატომ განიარაღა და დაშალა ძველი არმია და დაიწყო ახალის ჩამოყალიბება? ამ ღონისძიებას საბჭოთა მოღვაწე-



ები ძალიან ჭკვიანურ, წინდახედულ მოქმედებად მიიჩნევენ და მე მათ სავსებით ვეთანხმები. არც ერთ რევოლუციურ ხელისუფლებას საკუთარი არსებობისათვის რისკის განვივის გარეშე არ შეეძლო დაყრდნობა ძველ არმიასზე, განსაკუთრებით ომის დამთავრების შემდეგ. მაგრამ ის, რაც საბჭოთა რუსეთში ჭკვიანური და წინდახედული მოქმედებაა, კონტრრევოლუციურია დემოკრატიულ საქართველოში.

ასეთია მოკლე ისტორია ჩვენი მოჩვენებითი მტრობისა რუსული არმიის მიმართ. ახლა რამდენიმე სიტყვას ვიტყვით ჩვენი ორიენტაციის თაობაზე.

ორიენტაცია აუცილებლად გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას. იქ, სადაც ხალხი მოკლებულია მდგომარეობისა და მოკავშირეების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას, ჩვენ გვაქვს არა ორიენტაცია, არამედ – გადაულახავ გარემოებათა შიშველი ძალისადმი დამორჩილება. საბჭოთა პუბლიცისტიკას, რომელიც თანამედროვე საქართველოს ხელმძღვანელებს იმპერიალისტებისადმი ფარულ და აშკარა სიმპათიებში ადანაშაულებს, არც ერთხელ არ დაუსვამს კითხვა: ჰქონდა თუ არა საქართველოს არჩევანის თავისუფლება, როდესაც მას უხდებოდა ფიზიკური არსებობის გადარჩენა. აკი საქართველო შეუერთდა რუსეთს<sup>34</sup> არა რუსეთის გვირგვინოსნების ლამაზი თვალების გამო, არამედ იმიტომ, რომ მან, განუწყვეტელ და უთანასწორო ომებში დაღლილმა და სისხლისაგან დაცლილმა, საკუთარი ძალებით ვერ გაუძლო აღმოსავლეთის ხალხების, განსაკუთრებით თურქეთის შემოტევას და დახმარების შესახებ რუს ხალხს გაუწოდა ხელი. ეს იყო ასზე მეტი წლის წინ. ამდენი ხნის შემდეგ ისტორია ზედმინვენითი სიზუსტით განმეორდა. რუსული არმიის მიერ ყურთამდე გაღებულ ჭიშკარს თურქები მიაწყდნენ. საქართველოს თავისი ჯარი არ ჰყავდა. საქართველომ მარტო ცოცხალი ძალის სახით რუსეთს მისცა დაახლოებით 300000 კაცი, მაგრამ რუსი და სომეხი შავრაზმელების<sup>35</sup> წყალობით, რომლებიც პორაჟენელობაში ადანაშაულებდნენ საქართველოს, მთელი ეს ჯარი, რომლითაც მას წარმატებით შეეძლო წინააღმდეგობა გაენია თურქეთისათვის, გადაისროლეს დასავლეთის ფრონტზე. და ბოლოს, რუსეთის ჯარმა იმისათვის კი არ დატოვა კავკასიის ფრონტი, რომ საქართველო თურქებისაგან დაეცვა, არამედ იმისათვის, რომ შინ დაბრუნებულიყო. გასაგებიცაა, უცნაურობა იქნებოდა მოგვეთხოვა რუსეთის ჯარისაგან,

რომელმაც უარი თქვა დაეცვა თავისი უკვე რევოლუციური და ალორძინებადი სამშობლო გერმანული, ავსტრიული და თურქული რეაქციისაგან, რომ მას დაეცვა რომელიღაც მისთვის უცნობი, თანაც სხვა ტომის საქართველო! ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელმძღვანელებმა გააკეთეს ის, რასაც აგერ უკვე ორი წელიწადია საკუთარ ხელისუფლებას ურჩევს „იზვესტია ვციკ“ — ის<sup>36</sup> მენიწავე წერილები: გამოვიყენოთ უთანხმოებანი მოკავშირეებში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

რუსეთის არმიის თვითგანადგურების შემდეგ თურქეთმა გადანყვიტა რეალიზაცია თავისი ისტორიული ოცნებისა — ნახევარმთვარის სხივებით გაანათოს ყირიმი და ამიერკავკასია. თურქეთის გულისთქმამ შეაძრწუნა არა მარტო საქართველო და ამიერკავკასიის ხალხები, არამედ გერმანიაც კი, და ქართულმა დიპლომატიამ გამოიყენა უთანხმოებანი თურქეთსა და გერმანიას შორის საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისათვის.

აი, ჩვენი ორიენტაცია — და იგი არის არა გერმანული, არამედ — ქართული; ბოლშევიკები კი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბრესტ — ლიტოვსკის ზავს უმძიმეს პირობებში, არ უნდა გვსაყვედურობდნენ გერმანელებით. ჩვენი მდგომარეობა ასჯერ უფრო მძიმე იყო, ვიდრე რუსეთისა: გერმანიას რომ მიეცა თურქეთისათვის მოქმედების თავისუფლება საქართველოში, მაშინ რისკის ქვეშ დავაყენებდით არა მარტო ტერიტორიას, არამედ — საკუთარ ფიზიკურ არსებობასაც. მიუხედავად ამისა, მხოლოდ მიამიტ ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ გერმანია, რომელიც ოცნებობდა დარტყმა მიეყენებინა ინგლისისათვის ყველაზე მგრძობიარე ადგილას — ინდოეთში და რომელიც მოკლებული იყო ხმელთაშუა ზღვაში თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას, უარს იტყოდა ისეთ შესანიშნავ გზაზე, როგორცაა საქართველო. მაგრამ ვინ გაუხსნა გერმანელებს გზა საქართველოსაკენ? რა თქმა უნდა, გეგეჭკორმა, ჩხენკელმა, წერეთელმა და „კონტრრევოლუციური“ საქართველოს სხვა მეთაურებმა!

სამხედრო და რევოლუციური ცხოვრებიდან ამა თუ იმ მოვლენის ახსნა — განმარტებისას ბოლშევიკური პუბლიცისტიკა არსებითად იმავე მეთოდს იყენებს, რასაც ბურჟუაზიული, რომელიც ყველა უბედურებას ფრონტზე ხსნის № 1 ბრძანებით<sup>37</sup> და რომელიც საზოგადოდ ეძებდა დამნაშავეებს და არა მოვლენათა მიზეზებს. კავკასიაში



განვითარებულ ყველა მოვლენას საბჭოთა ხელისუფლება ხსნიდა ქართული სოციალ—დემოკრატიის მოღვაწეობით. კი მაგრამ, ნება მიბოძეთ ვიკითხო, როდესაც რეაქციისა და რევოლუციის პერიოდში ნაქები შავი ზღვის ფლოტი ერთი გასროლის გარეშე ჩაბარდა მტერს, როგორ უნდა დაეცვა თავი იმპერიალისტებისაგან „ყოვლისშემძლე სახელმწიფოს“ — საქართველოს? ყოვლისშემძლე მეზადურის ნავე-ბით ხომ არა! საბჭოთა პუბლიცისტები კი, ალბათ, დამეთანხმებიან, რომ შავი ზღვის ფლოტის ჩაბარება არ მომხდარა ჩხენკელის განკარ-გულებით.<sup>38</sup>

იგივე უნდა ითქვას ინგლისის შესახებაც, იგი არავის მოუწვევია რუსი პატრიოტების გარდა. ვინც ფლობს შავ ზღვას, ის სურვილის შემთხვევაში, ფლობს საქართველოსაც. ეს უკანასკნელი ვერსად დაემალება მტრის ფლოტს, ვინაიდან მისი დასავლეთის საზღვრის ყოველი წერტილი მთელი 24 საათის განმავლობაში ცურავს შავ ზღვა-ში.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოთა პრესის ხელმძღვანელები ვერ იტანენ საქართველოს მთავრობას, მაგრამ გაგიჟებამდე არიან შეყვარებული საქართველოზე, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მას ეჭვიანობენ პირდაპირ ყველაზე. არა მარტო დელეგა-ციის გაგზავნა სამშვიდობო კონფერენციაზე,<sup>39</sup> არა მარტო დიპლომა-ტიურ წარმომადგენლობათა დანიშვნა ამა თუ იმ ქვეყანაში, არამედ ქართველი მოღვაწეების უბრალო და შემთხვევითი შეხვედრებიც საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან ისტერიკაში აგდებდა მათ. ასეთ შემთხვევებში გვესმის მხოლოდ: ლალატი, გამცემ-ლობა, საქართველოს გაყიდვა. მოსკოვში იყო ასეთი შემთხვევაც, როცა უნდობელ პუბლიკას ეკრანზე უჩვენებდნენ, თუ როგორ მიყი-დეს საქართველო ინგლისს „ქართველმა მედუქნეებმა“<sup>40</sup> ჩხეიძემ,<sup>41</sup> გეგეჭკორმა, რამიშვილმა და სხვ. იდეურ ბოლშევიზმთან, რომელიც სულაც არ არის უსულგულო, მე, როგორც ადამიანს, რომელმაც 20 წელიწადზე მეტი ვიბრძოლე ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლისათვის, მაქვს დიდი უთანხმოება მხოლოდ ერთ, ერთა თვითგამორკვევის საკითხში — სწორედ სიტყვიერად რომ აღიარე-ბენ, ხოლო საქმით კი უარყოფენ.<sup>42</sup> მაგრამ აშკარაა, რომ ან ბოლშე-ვიკებს აქვთ ძალიან მოკლე მეხსიერება, ან ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავებმა, ყველაფერი დავივიწყეთ. საბჭოთა ხელისუფ-

ლებამ ვერც მოასწრო მსოფლიოსათვის საკუთარი სახე ეჩვენებინა, რომ საკუთარი ელჩები გაგზავნა ბერლინში და ვენაში ჯერ კიდევ მაშინ, როცა იქ მოოქროვილ ტახტზე წამოჭიმულები იყვნენ მეფეები.<sup>43</sup> აგერ უკვე ორი წელიწადია, ითხოვს რამშვიდობას მთელი მსოფლიოსათვის, იგი უკაკუნებს კარზე იმავე ანტანტისა, რომელმაც ის მოაქცია თავისი და უცხო კონტრრევოლუციონერების რკინის რკალში, და სულ ბოლოს, დათანხმდა წასულიყო არა მარტო პარიზში, არამედ — ეშმაკის კუნძულზეც,<sup>44</sup> თანაც როგორ! დიდი ბარგით: კონცესიებით, ანექსიებით და მზადყოფნით გადაეხადა ყველა ვალი, რისგანაც იმავე ხელისუფლებამ საზეიმოდ გაანთავისუფლა რუსი ხალხი. ყველაფერს ამას არ ვსაყვედურობ საბჭოთა ხელისუფლებას, პირიქით, მიმაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ არის; მაგრამ რატომ შეუძლია დიდ, რევოლუციურ რუსეთს დადოს შეთანხმებები ყველა ქვეყანასთან საკუთარი პრინციპების ლალატის ფასად, ხოლო პატარა სამინათმოქმედო საქართველომ კი უნდა გამოუცხადოს ბოიკოტი და საბოტაჟი მთელ მსოფლიოს და თოხით ხელში გაითამაშოს მრისხანე ძალა ყველა მტრისა და მოძულეს დასაშინებლად? ბოლშევიკებს მიაჩნიათ, რომ მათ მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება დროებითია; სოციალური რევოლუციის წყალობით, მათაც ბრესტის ხელშეკრულების ბედი ეწევათ (იხ. შენიშვნა მ — ჯ.გ.). ჩინებულია, სავსებით ვეთანხმები, მაგრამ თავს ნებას მივცემ ჭკუისათვის ძალის დაუტანებლად ვიფიქრო, რომ სოციალური რევოლუცია არ ჩაიდენს ისეთ უსამართლობას, რათა რუსეთი იმპერიალიზმის შედეგებისაგან გაანთავისუფლოს, საქართველო კი კაპიტალის სამსხვერპლოზე მიიტანოს.

თავისთავად ცხადია, რომ ბოლშევიკთა წერილობითი, სიტყვიერი და კინემატოგრაფიული გამოსვლები საქართველოს მისამართით არ შეიძლებოდა რალაცნაირად არ ასახულიყო საბჭოთა მოსამსახურეების გონებაში.

მოსკოვში დიდი ხანია, რაც არსებობდა ქართველთა ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა ბინა, ბიბლიოთეკა, სამკითხველო და თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ემსახურებოდა ადგილობრივი კოლონიის მორალური და მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებას. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ორგანიზაცია გარდაიქმნა დემოკრატიულ სანყისებზე და აირჩიეს მოსკოვის ქართული კოლონი-



ის ეროვნული საბჭო. მგონი, ადგილობრივ ქართველთა ეროვნული საბჭო თავისი საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობით არ არყევდა თანამედროვე საფუძვლებს, მაგრამ ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება მისი დახურვის შესახებ.

აქედან გარკვეული დროის შემდეგ რამდენიმე პირის, უპირატესად მუშების, ინიციატივით შეიქმნა „ქართული კლუბი“. კლუბთან ჩამოყალიბდა პატარა თეატრი, სადაც ანყობდნენ სპექტაკლებს, კითხულობდნენ ლექციებს ხელოვნებაზე, ეროვნულ საკითხზე, მიმდინარე მოვლენებზე და ა.შ. მომხსენებელთა შორის მონვეული იყვნენ ბოლშევიკებიც. როცა კლუბმა მიიღო კეთილმოწყობილი სახე და დაიწყო უფრო ფართო პროგრამის განხორციელება, ვიღაც არამზადის ბოროტი დაბეზლების გამო დახურეს მიზეზის განმარტების გარეშე. და ეს ყველაფერი ხდებოდა და ხდება მაშინ, როდესაც არსებობენ სხვა ეროვნებათა ორგანიზაციები — მუსულმანების, სომხების და სხვების. თუ ისინი გაფურჩქნილი არ არიან, ეს, ყოველ შემთხვევაში, ბოლშევიკების ბრალი არ არის.

1918 წლის დეკემბერში, ზუსტად წინააღმდეგობით და იმ დღეს, როცა გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა კომისარიატის ცირკულიარი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას,<sup>45</sup> მოსკოვში მცხოვრები ქართველების დაპატიმრებამ მიიღო ისეთი მასობრივი ხასიათი, რომ იძულებული გავხდით გაგვეგზავნა თბილისში ცნობა გაფრთხილებით, რათა ქართული ეროვნების ჩვენს მოქალაქეებს თავი შეეკავებინათ მოსკოვში ჩამოსვლისაგან. ამან უმსხვერპლოდ არ ჩაიარა. მართალია, გაცილებით ადრე ამ სტრიქონების ავტორიც დაზარალდა, მაგრამ შემთხვევამ ჩემთან მიმართებაში მიიღო კურიოზული ხასიათი. ზუსტად იმ დღეს, 1918 წლის 3 სექტემბერს, როდესაც მე თბილისში მყოფმა, ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას<sup>46</sup> ვთხოვე ნებართვა საქართველოს მთავრობის სახელით გამომეხატა ღრმა თანაგრძნობა ლენინზე თავდასხმასთან დაკავშირებით<sup>47</sup> და იმავდროულად აღეძარი შუამდგომლობა საქართველოში დაპატიმრებული ყველა ბოლშევიკის ამნისტიის გამოცხადების თაობაზე, აღმოჩნდა, რომ მოსკოვში საქალაქო რაიონის საგანგებო კომისიამ ლენინზე თავდასხმასთან დაკავშირებით ჩემს ბინაზე ჩაატარა განსაკუთრებული ჩხრეკა. ჩხრე-

კისას ნაილეს და ჯერ არ არის დაბრუნებული: ბრაუნინგის სისტემის რევოლუციური მუშათა, გლეხთა, კაზაკთა და ნითელარმიელთა საბჭოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო განყოფილების მიერ ყოველგვარი იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ გაცემულ ნებართვასთან ერთად და თამასუქები რამდენიმე ათას მანეთზე, რომლებიც ჯერ კიდევ ძველი სასამართლოს დროს დამიტოვა ჩემმა მრწამსებელმა.

რაღონის განვითარებას მიაღწია რუსეთში ჭეშმარიტად რუსულმა „ინტერნაციონალიზმმა“, შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი პატარა, მაგრამ მკაფიოდ დამახასიათებელი ფაქტის მიხედვით. მოსკოვის საბჭოს „ვეჩერნიე იზვესტიიაში“ გამოქვეყნდა დეპეშა იმის შესახებ, რომ თითქოს სომხეთის ჯარებმა „უკუქცეული ქართველების ფეხდაფეხ“ დაიკავეს თბილისი (იხ. შენიშვნა 10 — ჯ.გ.). ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ სომხური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ გულისთქმას განხორციელება არ ენერა, მაგრამ ჩვენი უარყოფა ამ ცნობისა გაზეთ „ვპერიოდში“ ცენზურამ ამოიღო.

ასეთია მოკლედ ის პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიაც უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ დიპლომატიურ წარმომადგენლობას რუსეთში. ახლა ვნახოთ, როგორ შეხვდნენ ჩვენს წარმომადგენლობას საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები.

დიპლომატიური უფლებამოსილების მიღებისთანავე, თავისთავად ცხადია, პირველ რიგში წავედი საგარეო საქმეთა კომისარიატში, რათა შევხვედროდი ამ დანებსებულების ხელმძღვანელს — ჩიჩერინს.<sup>48</sup> კომისარიატში მითხრეს, რომ ჩიჩერინი ჯერ არ იყო და მე გავეცანი მის მოადგილეს რადეკს<sup>49</sup> — ძალიან ჭკვიან ადამიანს და, რაც მთავარია, არ იყო გაჟღენთილი იმ ბიუროკრატიზმით, რომელიც ჭირს რუსეთის ახლადმოვლენილ მბრძანებელთა უმრავლესობას. რადეკმა მითხრა, რომ სანამ ჩიჩერინთან შევიდოდე, მასთან შევსულიყავი.

ეს იყო ამხანაგური გაფრთხილების ტონით ნათქვამი, და ვალიარებ, ამან რამდენადმე გამაოცა, მაგრამ შემდგომში ყველაფერს მივხვდი. რადეკს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო არ ცოდნოდა მისი უწყების ზნე — ჩვეულებები. სოციალისტური რუსეთის კომისარებთან შეხვედრა გაცილებით უფრო ძნელი მისაღწევია, ვიდრე ნიკოლოზის<sup>50</sup> დროინდელ მინისტრებთან. დანიშნულ დროს რადეკი იმდენად თავაზიანი იყო, რომ თვითონ თხოვა ჩიჩერინს ჩემი დაუყოვნებლივ მიღება, და



მე დამპირდნენ მიღებას პირველ რიგში. ველოდე ერთი საათი, მეორეც; როცა მოთმინება ამომენურა, გამოვიძახე მდივანი და ვთხოვე, რათა მას შეეხსენებინა ჩიჩერინისათვის, რომ უკვე მთელი ორი საათია, რაც ველოდები. მდივანმა გაოცებით შემომხვდა, რომ მე არ ვიცი ის დიდი საიდუმლო, რომელიც ხდება ჩიჩერინის კაბინეტში. ტონით საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქისა, რომელსაც ეს ეს არის ესტუმრა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია,<sup>51</sup> განაცხადა: „მასთან ხომ გრაფი მირბახია“. მაგრამ, ვერ შენიშნა რა ჩემს სახეზე ვერც მოკრძალება, ვერც შეცბუნება, მან დაიწყო თავის მართლება, რომ მირბახი ჯერ კიდევ გუშინ შეუთანხმდა შეხვედრის თაობაზე და ამის შესახებ დაავიწყდათ ეთქვათ ჩემთვის, როცა დამპირდნენ მიღებას პირველ რიგში. დაიწყო ახალი მოლოდინი; კიდევ საათნახევარი გავიდა — გადავწყვიტე, რომ არ სურთ ჩემი მიღება, მაგრამ ნასვლამდე რადეკთან შევიარე. რადეკი, რომელმაც შეიტყო, რომ ამდენ ხანს არ მიმიღეს, უკმაყოფილო გამომეტყველებით გაემართა ჩიჩერინის კაბინეტისაკენ. რამდენიმე წუთში მიმიწვიეს ჩიჩერინთან. როცა შევედი, ჩიჩერინი — ტანმორჩილი კაცი, წვრილი ხმით, რომელიღაც რუკას ათვალიერებდა. დამინახა თუ არა, დაფაცურდა და კარგი ამხანაგური ტონით მკითხა: „თქვენ წარმოადგენთ საქართველოს რესპუბლიკას?“ შე გადავეცი მას ჩემი უფლება-მოსილება. ნაიკითხა რა იგი, თქვა: „თქვენ ეროვნებათა საქმის კომისართან (ე.ი. ი.სტალინთან — ჯ.გ.) უნდა მისულიყავით“. მივეცი ნასაკითხად საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. გაეცნო რა ამ დოკუმენტს, განაცხადა: ჩვენ არ შეგვიძლია ვალიართ ეს აქტი, ვინაიდან ქართველი ხალხის უმრავლესობა მას არ იწონებს. კერძო ინფორმაციის წესით განვუმარტე ჩიჩერინს თუ რა პირობებში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და როგორ მიიღო ქართველი ხალხის უმრავლესობამ თავისი ეროვნული საბჭოს ეს ნაბიჯი. ამასთან, რა თქმა უნდა, მე არ შემეძლო, პირველ რიგში, არ მეგრძნობინებინა, რომ განსახილველი საკითხის არსას შემომნება არ შედის უცხო ქვეყნის მთავრობის კომპეტენციაში; მეორეც, რომ უაღრესად მაღლიერი ვიქნებოდი თუ ჩემი პატივცემული თანამოსაუბრე გამაცნობდა რუსული საბჭოთა ხელისუფლების იმ ნაბიჯებს, რომლებიც მოინონა რუსი ხალხის უმრავლესობამ. შემდგომში ჩიჩერინმა მომცა სიტყვიერი გარანტია, რომ ის მიიღებს ყველა ზომას,

რათა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის, ან არცნობის საკითხი გადაწყდეს რაც შეიძლება მალე. გარდა ამისა, იგი დამირდა აგრეთვე, რომ, როცა სახალხო კომისართა საბჭო განიხილავს მისადმი რწმუნებული კომისარიატის დასკვნას აღნიშნულ საკითხზე, ის შესთავაზებს მიმინვიონ მე საბჭოს სხდომაზე მომხსენებლად. ისლა დამრჩა მადლობა მეთქვა მოქალაქე ჩიჩერინისათვის. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ საგარეო საქმეთა კომისარი ჯერ კიდევ არ იყო საჭირო დონემდე აგიტირებული ეროვნებათა საქმის კომისარიატის მხრიდან, რომლის ხელმძღვანელს (ი.სტალინს—ჯ.გ.) მიუძღვის დიდი როლი ქართულ—რუსულ ურთიერთობათა გამწვავების საქმეში.

ჩვენი საელჩო იცდიდა, უკეთებდა რა ორგანიზაციას რუსეთში მცხოვრები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების დაცვას და ეცნობოდა რა უცხოეთის მისიებს.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მე შევეციოთხე ჩიჩერინს ტელეფონით ჩვენი საქმის მდგომარეობის შესახებ. ჩიჩერინმა მითხრა, რომ საქმე მან გადასცა მოქალაქე კარახანს,<sup>52</sup> რომლისთვისაც უნდა მიგვემართა მომავალში ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. მაგრამ საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილე იმდენად დაჯავშნული აღმოჩნდა, რომ მიუწვდომლობის თვალსაზრისით მისი შემუშრდებოდა თვით ტიბეტის დალაი—ლამას.<sup>53</sup>

ერთხელ ჩემს პირად მდივანს, სამსონ რაჟდენის ძე წუნუნავას, მოქალაქე კარახანის ნათქვამის მიხედვით, პირდაპირ უთხრეს კომისარიატში, რომ „საქართველოს წარმომადგენლობისათვის არაფერი გაკეთდება“.

ვინაიდან ჩვენი ეროვნული საბჭოსაგან მიღებულ უფლებამოსილებას ჰქონდა არსებითი დეფექტი, ასევე საქართველოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით მალე თბილისში გავემგზავრე. გზაში თბილისიდან მოსკოვისაკენ ჩემთვის ცნობილი გახდა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის ა.ი.ჩხენკელის დეპუტის შინაარსი, რომელიც აცნობებდა მთავრობას, რომ გერმანიამ და რუსეთმა აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. მართალია, რუსეთის მხრიდან ცნობა გამოიხატა ძალიან ორაზროვან ფორმაში — „საბჭოთა რუსეთი არ არის გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის წინააღმდეგი“.<sup>54</sup> მართალია ასევე, რომ შემდგომში, როდესაც იმპერიალიზმის მოციქულმა ვილჰელმ გოგე-



ნცოლერნმა<sup>55</sup> დაუთმო ტახტი თავის ფარულ მონაფეს ნიკოდიმ შეი-  
დემანს,<sup>56</sup> ასეთმა რედაქციამ მისცა უფლება მოქალაქე ჩიჩერინს  
ერთ—ერთ თავის გამოსვლაში ეთქვა: „ჩვენ არაფერი გვითქვამს  
გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ თავად არ ვიღებდით ვალდებულებას  
გვეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა“. მაგრამ ფაქტი რჩება  
ფაქტად: ბრესტის ხელშეკრულების დამატებითი პუნქტების თაობაზე  
გერმანიასთან საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკებების დროს ორივე  
მხარემ ფორმალურად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.  
არსებითად კი, რათქმა უნდა, საკითხი იდგა სხვანაირად. ყოველგვარი  
ექვების გარეშე, საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაუთმო გერმანიას  
ისევე, როგორც მზად იყო დაეთმო იგი, როგორც გამოქვეყნებული  
პირობებიდან ჩანს, შეთანხმების სახელმწიფოებისათვის (თანხმობა  
ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ნაწილების ანექსიაზე, რომლებიც  
დაკავებული აქვთ შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარებს) პრინციპის  
კუნძულზე სავარაუდო კონფერენციის (იხ. შენიშვნა 12 — ჯ.გ.) წინ  
და არსებითად განაცხადა: „**საბჭოთა რუსეთი არ არის გერმანიის  
მიერ საქართველოს ტერიტორიის დაკავების წინააღმდეგი**“.  
ვინაიდან თვითონ გამარჯვებული გერმანია დაუინებით მოითხოვდა  
საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, მუშურ—გლეხური  
მთავრობისათვის, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა ეროვნული  
თვითგამორკვევის პრინციპი სრულ გამოყოფამდე, უხერხული იყო  
ეპასუხა გერმანიისათვის: „**არა, ძმობილო, მიირთვით და ღმერთმა  
შეგარგოთ ჩემს მიერ კანონიერი მემკვიდრეობით მიღებული საქ-  
ართველო**“.  
ამიტომაც გამოდიოდა ასეთი ორაზროვანი რედაქცია:  
„**რუსეთი არ არის გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის  
ცნობის წინააღმდეგი**“. სხვანაირი განმარტება სინამდვილეს არ  
შეესაბამება. მართლაც, მაშინ ჯერ კიდევ ყოვლისშემძლე გერმანიას  
არც სჭირდებოდა სუსტი, დამარცხებული რუსეთის ნებართვა ამა თუ  
იმ იმპერიალისტური ნაბიჯის გადადგმაში. და ბოლოს, საბჭოთა  
ხელისუფლება, გერმანიასთან დადებული ხელშეკრულების ძალით,  
ფორმალურად საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რომ  
თვლიდა, ჩანს როგორც გერმანიისათვის გაგზავნილი ცალკეული  
ნოტებიდან, ასევე შემდეგი გარემოებიდან. როცა მოსკოვში  
გავემგზავრე, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ [მაღალ] წრეებში  
აშკარად საუბრობდნენ თბილისში საბჭოთა ხელისუფლების

სრულყოფილებიანი წარმომადგენლობის გავზავნის აუცილებლობის შესახებ და ნამდვილად შერჩეულიც იყო ჩემთვის კარგად ცნობილი პიროვნება.

მაგრამ უკვე იგრძნობოდა წმინდა რომის იმპერიის მემკვიდრეთა (ე.ი. გერმანიის — ჯ.გ.) ფეხქვეშ ნიადაგის მერყეობა და საბჭოთა ხელისუფლება სულ უფრო და უფრო თავისუფლდებოდა გერმანული იმპერიალიზმის მძიმე სუნთქვისაგან. მთელი სულით და გულით მივესალმები რა ამ თავისუფლებას, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ იგი გამოიყენება არა მარტო გერმანიის იმპერიალიზმის, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგაც. მოსკოვში ჩამოსვლისთანავე მოქალაქე ჩიჩერინთან სასწრაფოდ გავვზავნე ჩემი მდივანი ს.რ.წუნუნავა წერილით, რომელშიც ვთხოვდი მას დაენიშნა დღე და საათი, როცა იგი შეძლებდა ჩემს მიღებას. მოქალაქე ჩიჩერინმა თავისი მდივნის მეშვეობით აცნობა ს.რ.წუნუნავას: „მოქალაქე ხუნდაძე ამ წერილის პასუხს ნუ დაელოდება“.

რა თქმა უნდა, არ შემეძლო არ მეთქვა ჩემი მეგობარი კომუნისტებისათვის იმის შესახებ, თუ როგორი მაღალი კულტურა და დახვეწილი დიპლომატიურობა გამოავლინა საგარეო საქმეთა კომისარიატმა ჩვენს მიმართ; და აი, აქედან რამდენიმე დღის შემდეგ მოქალაქე კარახანმა ჩვენი ერთი საერთო ნაცნობის მეშვეობით შემომითვალა, რომ მე მივსულიყავი მასთან.

ჩვენ არ ვცნობთ არც თქვენს დამოუკიდებლობას, არც თქვენს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, არც თქვენს მთავრობას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ განიხილება როგორც ამბოხებული მთავრობა,<sup>56</sup> — განმიცხადა შეხვედრისას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ. ამასთანავე მოქალაქე კარახანმა განმარტა, რომ რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეებთან ერთად ექვემდებარებიან საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტს.

მაგრამ, საგარეო საქმეთა კომისარიატის ჩვენდამი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მუშაობა არ შეგვიწყვეტია და არც შეგვეძლო შეგვეწყვიტა მთელ რიგ მოსაზრებათა გამო.

ამ დროისათვის ჩვენი მუშაობა სავსებით აენყო და საკმარისად კონკრეტული ხასიათიც მიიღო. როგორც რუსული დემოკრატიის, ისე რუსული საზოგადოების შეგნებაში რალაცნაირად დაფიქსირდა ჩვენი



საელჩო, რომელიც არის ცოცხალი მონმე პატარა საქართველოს ცხოველუნარიანობისა, რომელმაც ოცსაუკუნოვანი არსებობის შემდეგ თავის თავში იპოვა ძალა, შექმნას რევოლუციურ—დემოკრატიულ საწყისებზე ახალი მოქალაქეობრიობა.

უპირველეს ყოვლისა, როგორც კი გაიღო წარმომადგენლობის კარები, ჩვენს წინაშე დადგა ჩვენი სამხედრო ტყვეების შენახვისა და ევაკუაციის საკითხი. მართალია, საბჭოთა რუსეთში ისინი გაცილებით ცოტანი იყვნენ, ვიდრე უკრაინაში, მაგრამ სამხედრო ტყვეთა იმ რაოდენობამ, რომელიც აქ აღმოჩნდა, მოითხოვა მნიშვნელოვანი თანხები, დრო და შრომა. სასურსათო კრიზისმა, რომელმაც აპოგეას მიაღწია რუსეთში, და ტყვეთა მიმოსვლის სრულმა პარალიზებამ ერთ დროს ისე დაგვაშინა, რომ ვთხოვეთ ა.ი.ჩხენკელს მიეღო ყველა მასზე დამოკიდებული ზომა, რათა გერმანელ ხელისუფალთ ჩვენი სამხედრო ტყვეები გაეგზავნათ სამშობლოში საბჭოთა რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით. ამას უნდა დაემატოს ჩვენი საელჩოს საქველმოქმედო საქმიანობა, რომელიც ვერ შეწყდებოდა იმის გამო, რომ საგარეო საქმეთა კომისარიატი ასეთად არ ცნობს ჩვენს საელჩოს.

მერე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ცნობის ან არცნობის მიუხედავად, მას ხომ ყავს თავისი მთავრობა, თავისი მმართველობა, აქვს თავისი კანონები, ერთი სიტყვით, თავისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და, ცხადია, უნდა ჩაგვეტარებინა ჩვენი მოქალაქეების რეგისტრაცია, მოგვემარაგებინა ისინი შეუვალობის სიგელებით და სამშობლოში გამგზავრების შემთხვევაში გაგვეცა საშვი.

დიდი ყურადღება უნდა მიგვექცია აგრეთვე ქართველი ხალხის ცხოვრებისა და მისი მთავრობის მოღვაწეობის შესახებ რუსული საზოგადოებისა და დემოკრატიის ინფორმირების საკითხისთვისაც. მართალია, რუსეთში მოხდა რევოლუცია არა მარტო სოციალურ და სახელმწიფოს იურიდიული ბუნების სფეროში, არამედ მარქსისტული აზროვნების სფეროშიც. „პროლეტარული დემოკრატიზმი“, ბურჟუაზიულისაგან განსხვავებით, თურმე ახდენს შუასაუკუნეობრივი საწყისების რესტავრაციას, მხოლოდ გაბატონებულ ეკლესიას აძლევს რა აქსიოსის და ალილოუიას<sup>57</sup> გალობის უფლებას, მაგრამ რაც უფრო ძნელი იყო სწორი ინფორმაციის გაცემა, მით უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო გზის ძიება. სამწუხაროდ, ბიულეტენების გამო-

საცემად პრესბიუროს შექმნის განზრახვის შესრულება ვერ შევძელით. უპირველეს ყოვლისა, ინფორმაცია საქართველოდან მოდიოდა გაჭირვებით, შემდეგ კი ჩვენს თანხებთან შედარებით ძალიან გაიზარდა სასტამბო ხარჯები ქალაქისა და სხვათა ნაკლებობის გამო.

შემდეგ, თავისთავად ცხადია, რომ ერთ—ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მუშაობაში უნდა დაეკავებინა ჩვენს მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. ეს საკითხი იმსახურებს იმას, რომ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

ოქტომბრის რევოლუციამ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების და საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მხარის ისეთი ნგრევა მოახდინა, რომ საუბარიც კი ზედმეტია ძველ და ახლად აღმოცენებულ სამართალს შორის რაიმე მემკვიდრეობითობის შესახებ. ამისთანა დროს შეუძლებელია საუბარი არა მარტო აულიარებელი საელჩოს მიერ აულიარებელი სახელმწიფოს, არამედ ნამდვილი საელჩოების მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოების მოქალაქეთა სწორ დაცვაზე. სურათის სისრულისათვის დაუმატეთ ამას გამოუცდელობა, ადგილობრივ ხელისუფალთა უმეცრება, თავნებობა, ამ უკანასკნელთა თვითნებობისაგან რამენაირი გარანტიის უქონლობა.

მაგრამ, მიუხედავად ამდენი ბედის უკუღმართობისა, განსახილველ სფეროში ჩვენი ამოცანა არც ისე უიმედო აღმოჩნდა. თანამედროვე რუსეთი არ ჰგავს მემატრიანის რუსეთს. რუსეთი ამჟამად არაა დიდი, არაა მდიდარი,<sup>56</sup> მაგრამ წესებია იქ, რამდენიც გნებავთ.

პრინციპს — „ხელისუფლება ადგილებზე“ და საბჭოთა რესპუბლიკის წყობის ფედერაციულობას ჩვენთვის საინტერესო სფეროში ის შედეგები მოჰყვა, რომ ბევრ ადგილას ჩვენს მოწმობებს და შეუვალობის სიგელებს გარკვეული ძალა ჰქონდათ. საბჭოთა დაწესებულებები ბევრ ადგილას ჩვენს კითხვებზე, შეკითხვებზე პასუხობდნენ უაღრესად კორექტულად და ლოიალურად და თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ასრულებდნენ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს. ბევრი მათგანი თვითონ ლებულობდა ჩვენს დახმარებას. შესაძლოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ეს ხდებოდა ადგილობრივი ძალების გამოუცდელობის გამო, მაგრამ, ჩვეულებრივ, საგარეო საქმეთა კომისარიატთან ასეთი შეუთანხმებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ ადგილებზე ხელისუფალნი ხედავდნენ წინააღმდეგობას ჩვენი დამოუკიდებლობის უარმყოფელ საბჭოთა პოლიტიკასა და საბჭოთა



კონსტიტუციას (იხ. შენიშვნა 42 — ჯ.გ.) შორის, რომელმაც გამოაცხადა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი სრულ გამოყოფამდე. ამ საკითხის გადაჭრაში განსხვავებას ჰქონდა ადგილი არა მარტო მოსკოვსა და, ვთქვათ, გლუხოვს,<sup>59</sup> არამედ მოსკოვსა და პეტროგრადს შორისაც კი.

სინდისის მოვალეობად მიმაჩნია ითქვას, რომ პეტროგრადის კომუნისტური ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვენი მოქალაქეებისადმი და ჩვენი დაწესებულებებისადმი სულ ბოლო დრომდე გაცილებით უფრო ლოიალური ხასიათისა იყო, ვიდრე მოსკოვშია.

გასული წლის ოქტომბერში, ჩემი უფლებამოსილების თანახმად, პეტროგრადში დავნიშნე კონსული ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩერქეზოვი.<sup>60</sup> კონსულის დანიშვნის შესახებ პირადად ვაცნობე ჩრდილოეთის კომუნის<sup>61</sup> ხელმძღვანელს ზინოვიევს<sup>62</sup> და საგარეო განყოფილების გამგეს ზორინს. ხელისუფალთა კორექტულობისა და ადვილი ხელმისაწვდომობის წყალობით, ბოლო დრომდე ჩვენი კონსულის მუშაობა ადგილობრივი ეროვნული საბჭოს ენერგიული დახმარებით მიმდინარეობდა ძალიან წარმატებულად.

არ მოვყვებით ვრცლად საუბარს ამ სფეროში, ვინაიდან შეუძლებელია გადმოცემა ჩვენი წარმომადგენლობისადმი და მისი ამოცანებისადმი საბჭოთა დაწესებულებების დამოკიდებულების მთელი მრავალფეროვნებისა. მაგრამ ერთი უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი რუსეთისაგან გამოყოფილი ოლქებისა მაშინაც კი, როდესაც ცნობდნენ ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობას, არაფრით არ იყო უკეთესი, ვიდრე ჩვენი მოქალაქეებისადმი დამოკიდებულება. გამოცდილებით დავრწმუნდით ამაში.

უკრაინისა და რუსეთის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განყვეტის გამო გასული წლის შემოდგომაზე დირექტორიამ<sup>63</sup> მე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს, გადმომაბარა რუსეთში მცხოვრები უკრაინის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა. ამის გამო მოსკოვში და პეტროგრადში შეეკმენით საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის განყოფილებები უკრაინის მოქალაქეთა უფლებების დაცვის საკითხებში. პრაქტიკამ ამ სფეროში მოგვცა იგივე სურათი, რაც საქართველოს საელჩოს პრაქტიკამ თავის ძირითად სფეროში იმ

განსხვავებით, რომ დამოკიდებულება ჩვენი მოქალაქეებისადმი ზოგადად უკეთესი იყო, ვიდრე უკრაინის მოქალაქეებისადმი. განსახილველ სფეროში ჩვენი მუშაობა, რომელიც ისედაც არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო უარეს პირობებში აღმოჩნდა.

1918 წლის 24 დეკემბერს „სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იზვესტიაში“ გამოქვეყნდა მოქალაქე კარახანის მიერ ხელმოწერილი ორი ცირკულიარი. ერთ—ერთ მათგანში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, მეორეთი კი ცხადდებოდა, რომ ბრესტის ხელშეკრულების გაუქმების<sup>64</sup> გამო, საბჭოთა ხელისუფლება არ თვლის უკრაინას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ამიტომაც უნდა შეწყვიტოს საქმიანობა ყველა პირმა და დაწესებულებამ, რომლებმაც თავის თავზე აიღეს უკრაინის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა. ჩვენ გვეხებოდა როგორც პირველი, ისე მეორე ცირკულიარი, ვინაიდან ჩვენი საელჩო იყო ის დაწესებულება, რომელმაც თავის თავზე აიღო უკრაინის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა. ცირკულიარმა უკრაინის შესახებ გამოიწვია დიდი გაოცება საბჭოთა წრეებშიაც კი. ხომ რამდენჯერმე საზეიმოდ გამოაცხადეს უკრაინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის შესახებ.

როგორც ჩანს, [მაღალმა] წრეებმა უხერხულად და უტაქტოდ მიიჩნიეს ეს ცირკულიარი და ორი დღის შემდეგ, ე.ი. 26 დეკემბერს, იმავე მოქალაქე კარახანის მეშვეობით გააუქმეს.

საჭიროდ მიგვაჩნია ამ ორ ცირკულიარზე მოკლედ შეჩერება. საქართველოს შესახებ ცირკულიარს თან მოჰყვა ჩვენი მოქალაქეების მასობრივი დაპატიმრება მოსკოვში. სამი დღის განმავლობაში, 23, 24 და 25 დეკემბერს დააპატიმრეს 400 მეტი ადამიანი. ვისი განკარგულებით წარმოებდა დაპატიმრებები, ვერ შევიტყვეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვეძლო არ ჩავრეულიყავით, მართალია, არა ნოტებით, ან რომელიღაც სხვა დიპლომატიური „ჭურჭებით“, არამედ ამა თუ იმ პასუხისმგებელი თანამდებობის პირებთან კერძო მოლაპარაკების წესით. ჩვენი მონდომება წარმატებით დაგვირგვინდა, დაპატიმრებულთა უმრავლესობა მალე გაანთავისუფლეს, მაგრამ ყურადღებას იმსახურებს დაპატიმრებათა მოტივები.

გადმომცეს, რომ აღნიშნულ დღეებში ქართველთა მასობრივი



დაპატიმრებების შესახებ შეიტყო ლენინმა და მან თითქოს თქვა: „თუ დაპატიმრებები ატარებენ გარკვეული ეროვნების წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათს, მაშინ ის არ დააყოვნებს დაპატიმრებების ინიციატორთა წინააღმდეგ ზომების მიღებას“. არასოდეს გვეპარებოდა ეჭვი, რომ თვითონ ლენინი ყოველთვის გულწრფელად იბრძოდა ეროვნული შოვინიზმის წინააღმდეგ,<sup>66</sup> მაგრამ დაპატიმრებათა მთელი ვითარება ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ დაპატიმრებები ატარებდნენ „გარკვეული ეროვნების წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათს“. თანამდებობის პირები ამბობდნენ, რომ აპატიმრებდნენ არა ქართველებს, არამედ სავაჭრო სანარმოთა მფლობელებს სპეკულიაციისათვის. ჩვენ ყოველთვის ვებრძოდით იმ თანამემამულეებს, რომლებმაც ისარგებლეს ომით და რევოლუციით და გამოიყენეს სპეკულაცია; მაგრამ დაპატიმრებები განა მარტო სპეკულიანტებს შორის წარმოება და შემდეგ, განა მხოლოდ ქართველები არიან სპეკულიაციით დაკავებულები. იმ დღეებში კი უმთავრესად ქართველებს იჭერდნენ. დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ იმ დროს, რომელზეცაა საუბარი, ყველა სავაჭრო სანარმო დაკეტილი იყო და უმკაცრესი განკარგულება ცაიდა ფირნიშების ჩამოხსნის შესახებ. შემდეგ, სპეკულიანტებს თუ აპატიმრებდნენ, მაშინ რატომ არ ჩატარდა არა მარტო გამოძიება, არამედ უბრალო მოკვლევაც კი; დაპატიმრებულთაგან რატომ არც ერთს არ წაუყენეს გარკვეული კონკრეტული ბრალდება. და ბოლოს, განა ნიშანდობლივი არ არის მასობრივი დაპატიმრებების დამთხვევა დროში ცირკულიარის გამოქვეყნებასთან. თითქოს ჩვენი მოქალაქეები ელოდნენ ამ ცირკულიარს, რათა აღენიშნათ იგი სასპეკულიაციო დემონსტრაციის მოწყობით.

ცირკულიარს უკრაინის შესახებ არ შეეცებოდით, მით უმეტეს გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ იგი გაუქმდა, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც თუმცა მეხება მე პირადად, მაგრამ არ არის მოკლებული საზოგადოებრივ ინტერესს. გადმომცეს, რომ მოქალაქე კარახანს ტელეფონით გაუგზავნეს შეკითხვა (სამწუხაროდ, არა წერილობით) ცირკულიარის გამოცემის მოტივების შესახებ და კარახანმა უპასუხა, რომ ცირკულიარი გამოიცა საქართველოს ელჩის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, რომელიც კონტრრევოლუციონერებს აძლევს საშვს უკრაინაში. მიმაჩნია, რომ ჩემს ღირსებას არ ეკადრება ამ უღირს ცილისწამებაზე ვრცლად საუბარი. ვიტყვი მხოლოდ, რომ

ყოველი რამდენადმე წიგნიერი ადამიანისათვის ცნობილია, რომ, თუმცა ჩვენი ნებართვის გარეშე არავის შეეძლო საბჭოთა რუსეთიდან უკრაინაში გამგზავრება, მაგრამ სანამ მოხვდები ამ უკანასკნელის ფარგლებში, საჭიროა დატოვოთ საბჭოთა რუსეთის ფარგლები. ამისათვის კი აუცილებელია საგარეო საქმეთა კომისარიატის ნებართვა. მთელი ჩვენი მუშაობა ამ მიმართებით მდგომარეობდა იმაში, რომ ვიზირებას ვუკეთებდით საშვს და საზღვარგარეთის პასპორტებს, რომლებსაც ამა თუ იმ პირზე გასცემდა საგარეო საქმეთა კომისარიატი. ჩემთვის უცნობია, იყვნენ თუ არა იმ პირებს შორის კონტრრევოლუციონერები, რომლებმაც კომისარიატისაგან საშვი და საზღვარგარეთის პასპორტები მიიღეს. მაგრამ თუ კომისარიატისათვის იყო ეს ცნობილი, მაშინ მან უნდა გააკეთოს შესაბამისი დასკვნა. მაგრამ მთელს ამ ისტორიაში ყურადღებას იმსახურებს არა ცილისწამება „საქართველოს ცრუ ელჩის“ მისამართით, არამედ ფართო, უსაზღვრო, შეუზღუდავი თავისი სტიქიური გაქანებით ლამაზი ქარაფშუტობა! მართლაც, ჩემს წინააღმდეგ ბრძოლის გამო ნადგურდება უდიდესი, 40 000 000 მოსახლეობის მქონე უკრაინის დამოუკიდებლობა. მერწმუნეთ, პატივმოყვარე ადამიანი რომ ვყოფილიყავი, მაშინ საგარეო საქმეთა კომისარიატის მაღლიერი ვიქნებოდი სამარადისოდ. არ ვიცი, როგორ შეხედავს უკრაინის ისტორიკოსი, მაგრამ კომისარიატმა ყველაფერი იღონა, რაც მასზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ მე უკრაინის დამოუკიდებლობის ისტორიაში დავიკავო გარკვეული ადგილი.

რომ ვისაუბროთ ჩვენი საელჩოს მუშაობაზე, რომელმაც გვაიძულა დავრჩენილიყავით პოსტზე, მოკლედ შევჩერდები იურიდიული და სავაჭრო—საფინანსო განყოფილების საქმიანობაზე.

იურიდიული განყოფილების სათავეში იდგა საელჩოს იურისკონსულტი გრიგოლ ალექსანდრეს ძე ჟღენტი, სავაჭრო—საფინანსოს სათავეში კი — წარმომადგენლობის საქმეთა მმართველი შალვა სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე. წარმომადგენლობის იურიდიულ განყოფილებას მიმართავდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეები, განურჩევლად ეროვნებისა, არა მხოლოდ დაპატიმრებულთა საქმეებზე, ან პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვაზე, არამედ რიგი სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად.

რაც შეეხება სავაჭრო—საფინანსო განყოფილებას, თავისთავად



ცხადია, რომ რუსეთში შექმნილი უთვალავი ფრონტისა და საზღვრის პირობებში, მას არ შეეძლო თავისი მოღვაწეობის გაშლა. ამასთანავე მთელი რიგი პირები, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული, მიმართავენ საფინანსო—სავაჭრო განყოფილებას წინადადებით საქართველოში ამა თუ იმ საფინანსო—სავაჭრო ღონისძიებების შესახებ. ერთ—ერთი ჩვენი საფინანსო მრჩეველის გ.გ.ბერიძის შუამავლობით განყოფილებამ დაამყარა საქმიანი ურთიერთობები ინგლისურ კომპანიასთან „მარტენსი და კომპანია.“ ამ დღეებში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ბერიძე მიემგზავრება პარიზში და ლონდონში. ჩვენი პეტროგრაძელი იურისკონსულტის მიხედვით რომანის ძე ჩოჩიას მეშვეობით განყოფილებამ მიიღო ინჟინერ გაევსკის პროექტი შავი ზღვისპირეთის საქართველოს ნაწილის მელიორაციის შესახებ. იმ გარემოებათა შორის, რომლებმაც გვაიძულეს, საგარეო საქმეთა კომისარიატის ჩვენდამი მთლიანად უარყოფითი და მძაფრად მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, გაგვეგრძელებინა მუშაობა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემდეგს:

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საქმეთა კომისარი როგორც კერძო საუბარში ჩემთან, ისე თავის 1918წ. 24 დეკემბრის ცირკულიარში საზეიმოდ აცხადებდა, რომ **საბჭოთა ხელისუფლება არ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას**, ჩემთვის დანამდვილებით იყო ცნობილი, რომ არც სახალხო კომისართა საბჭოს, არც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, არც მმართველ კომუნისტურ პარტიას არც ერთხელ არა თუ არ გადაუწყვეტიათ ეს საკითხი, არამედ არც კი განუხილავთ. მქონდა თუ არა მე უფლება ასეთ ვითარებაში შემეგროვებინა ჩემი ბარგი—ბარხანა და გავმგზავრებულიყავი სამშობლოში როგორც განაწყენებული დიპლომატი?

უფრო სწორად მიგვაჩნდა თავის პოსტზე დარჩენა და ჩვენი მაღალი მისიის განხორციელებისათვის ყველა საშუალების ამოწურვა. არ გვაინტერესებდა და არც გვაინტერესებს საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური აღიარება. თანამედროვე ეპოქაში, როცა ზანზარებენ უდიდესი სახელმწიფოები, რა მნიშვნელობა ექნებოდა ფორმალურ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს.

მისიის მთავარ დანიშნულებას ვხედავდით არა ჩვენი დამოუკიდებლობის ფორმალურ აღიარებაში, არამედ იმაში, რომ მიგვეღწია

საბჭოთა ხელისუფლებისაგან, ხელი აეღო შეხედულებაზე საქართველოს მიმართ, როგორც კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულ პროვინციაზე, რომელიც უნდა დაისაჯოს; ხელი აეღო ხიშტის მეშვეობით ქართველი ხალხისათვის მართვის საკუთარი სისტემის თავს მოხვევის განზრახვისაგან; ერთი სიტყვით, შეგვეზადებინა ნიადაგი ორივე ხალხის მიერ ურთიერთობათა ყველა საკითხის მშვიდობიანად მოგვარებისათვის. რა თქმა უნდა, თუ გავიზიარებთ, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ბურჟუაზიულ წრეებში ძალიან გავრცელებულ შეხედულებას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისევე ადვილად დაეცემა, როგორც გაჩნდა, მაშინ შეგვეკითხებიან:

„ღირდა დავიდარაბის ატეხა?“ მაგრამ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ეს შეხედულება გამომდინარეობს არა მოვლენათა ობიექტური მსვლელობიდან, არამედ დაინტერესებული წრეების აზრთა სუბიექტური მსვლელობიდან.

ვინ დადგება თავდებად, რომ ხვალ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს საზღვრები არ მოვლენ ერთმანეთთან შეხებაში. სამწუხაროდ, ორივე მხარე უყურებს ერთმანეთს წარსულის ფაქტებიდან გამომდინარე და საჭიროა ყველაფერი ვილონოთ, რათა მეზობლები უყურებდნენ ერთმანეთს ამჟამინდელი ფაქტებიდან გამომდინარე.

რუსული და ვარიაგული<sup>66</sup> კონტრრევოლუცია სასიკვდილო საფრთხით ემუქრება არა მხოლოდ ბოლშევიკებს, არამედ მთელ რევოლუციურ დემოკრაციას.

დასახული მიზნისათვის ინფორმაციის გარეშეც გადავდგით გარკვეული ნაბიჯები. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დაველაპარაკეთ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ბევრ პასუხისმგებელ ხელმძღვანელს. მოლაპარაკებები წარმოებდა ნაწილობრივ უშუალოდ, ნაწილობრივ—მეგობრებისა და ახლობლების მეშვეობით. ჩრდილოეთის კომუნის ხელმძღვანელთან ზინოვიევთან, მუშათა და გლეხთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარესთან კამენევთან<sup>67</sup>, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან რიკოვთან<sup>68</sup> ვისაუბრე პირადად. რაც შეეხება ლენინს, ჩემი სახელით მასთან დალაპარაკებაზე თავაზიანად დათანხმდა კამენევი, ხოლო რადეკთან — ძალაუფლების გარეშეც საკმაოდ პოპულარული მწერალი, ამჟამად პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, ფინელი ენოტავესკი.



ზინოვიევმა, რომელიც გაცეხებული იყო ზოგიერთი ფაქტით, რომელთა შესახებ სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა, მომისმინა რა ყურადღებით, დამპირდა, რომ ყველაფერს ჩემს ნათქვამს გაითვალისწინებდა, როცა ის ლენინთან გაარჩევდა ამ საკითხს. გამომშვიდობებისას მან გონებამახვილურად მკითხა, ხომ არ იქნებოდა საქართველოს კომპრომენტირება ინგლისელთა თვალში საბჭოთა ხელისუფლების მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარება. ვუპასუხე, რომ 1918 წ. 26 მაისის შემდეგ საქართველომ თვითონ იკისრა საკუთარ თავზე ზრუნვა.

კამენევს, რომელიც თავაზიანად დაეთანხმა ლენინთან დალაპარაკებას, ვთხოვე გაეგორა პირობებში ჩათვლიდა ლენინი შესაძლებლად საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. კამენევის შეკითხვაზე ჩვენი პირობების შესახებ ვუპასუხე, რომ ასეთი პირობა უნდა იყოს მმართველი პარტიის მიერ არაერთხელ გამოცხადებული პრინციპი ეროვნული თვითგამორკვევისა გამოყოფამდე. შემდეგში ჩვენს შორის გაიმართა ასეთი დიალოგი:

— თანახმაა თუ არა საქართველო შევიდეს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში?

— არ ვიცი, რას ფიქრობს ამის შესახებ ქართველი ხალხი და მისი მთავრობა, მაგრამ უეჭველია, რომ საქართველო საბჭოთა ხელისუფლების მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარებისა და საშინაო საქმეებში შეიარაღებულ ჩარევაზე ხელისაღების შემთხვევაში უარს არ იტყვის რუსეთთან ყველაზე მჭიდრო პოლიტიკურ კავშირზე.

— შეუძლია თუ არა საბჭოთა რუსეთს ჰქონდეს საქართველოს მხრიდან სამხედრო დახმარების იმედი?

— სამხედრო დახმარების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია, ვინაიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები მთლიანად უნდება ურიცხვი მტრისაგან თავდაცვას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გულწრფელი აღიარების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია სტრატეგიული და ტაქტიკური კონტაქტი საბჭოთა და ქართულ სამხედრო შტაბებს შორის რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ.

— დაეთანხმება თუ არა საქართველოს მთავრობა თავისი რესპუბლიკის ფარგლებში დაუშვას ბოლშევიკების თავისუფალი აგიტაცია?

— ერთი პირობით, თუ ბოლშევიკები უარს იტყვიან შეიარაღებულ

აჯანყებაზე და მათთვის დასახმარებლად საქართველოს ფარგლებში უცხო ჯარის მოწვევაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ კამენევმა მაცნობა, რომ ამ პირობებში ლენინს გაგონებაც არ უნდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

მინდოდა სპეციალურად ვწვეოდი რიკოვს, მაგრამ შევხვდი მას ქუჩაში და დიდხანს ვისაუბრეთ.

რიკოვმა გარკვევით განაცხადა, რომ საქართველოს კონტრრევოლუციური მთავრობის შეიარაღებული განადგურების მომხრეა და ყველა ზომას მიმართავს, რათა სახალხო კომისართა საბჭოში არ განიხილონ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი.

რადეკი აპირებდა ბერლინში გამგზავრებას, მე კი გადაუდებელი საქმის გამო პეტროგრადში უნდა გავმგზავრებულიყავი და ვთხოვე ფინელ ენოტაევსკის დალაპარაკებოდა მას.

არ წყვეტდა რა წინასწარ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების საკითხს, რადეკს სავსებით შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნდა ჩვენს წარმომადგენლობასთან და მისი მეშვეობით საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობების დაწყება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მთელი რიგი მოსაზრებების გამო, რომელთა შესახებაც აქ საუბარი არ მიმაჩნია შესაძლებლად, იყო საუკეთესო გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

რადეკის გავლენა ძალზე ძლიერი იყო, რომ მისთვის ანგარიში არ გაენია საგარეო საქმეთა კომისარიატს, მაგრამ, სამწუხაროდ, რადეკი ბერლინიდან აღარ დაბრუნდა. აქ კი კვლავ შეიქმნა ვითარება, რომელმაც ძალიან გაახარა მტრულად განწყობილი კომუნისტები და გულის დამამძიმებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს მეგობრებზე და ახლობლებზე. მე ვლაპარაკობ ქართველი სოციალ—დემოკრატების წერილზე საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

ამ წერილის მნიშვნელობის შესახებ ვილაპარაკებთ ჩვენს მთავრობასთან, აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მან ძალიან გაამხნევა თავის ქმედებებში ჩვენს წინააღმდეგ საგარეო საქმეთა კომისარიატის ხელმძღვანელები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წლისთავის დღეს<sup>69</sup> მონყობილ ბანკეტზე ჩემთან მოვიდა მოქალაქე კარახანი და მითხრა, რომ საქართველოს მთავრობას გაეგზავნა სატელეგრაფო მოთხოვნა



დაპატიმრებული ბოლშევიკების დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ. თუ მოთხოვნა არ შესრულდა, მაშინ ჩემს წინააღმდეგ, როგორც საქართველოს წარმომადგენლისა, მიღებული იქნება რეპრესიული ზომები.<sup>70</sup>

მეფის რუსეთის 22 ციხეში ჯდომის პატივი მქონდა და 23—ეც საბჭოთა რუსეთის განკარგულებაშია, მაგრამ აქ ყურადღებას იმსახურებს სულ სხვა რამ.

ჩვეულებრივ პირობებში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები არ მცნობენ საქართველოს წარმომადგენლად, მაგრამ როცა უნდათ შური იძიონ საქართველოს მთავრობაზე, მაშინათვე იმად ვხდები.


ამაზეც მადლობა.

ცხადია, რომ საგარეო საქმეთა კომისარიატს, უხეშად რომ ვთქვათ, ეს ნომერი არ გამოუვიდა, მაგრამ მალე მიეცა შემთხვევა ჩვენს პოზიციაში უფრო ფართოდ წვდომისათვის.

ახლანან სახალხო კომისართა საბჭომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგ ზავნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი<sup>71</sup>. გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ საბჭოთა რუსეთთან დე—ფაქტო ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმდენად ლოიალურად და კორექტულად შეხვდა მას, რომ ამერიკის კონტრრევოლუციური წრეები გულისწყრომით კითხულობდნენ: ხომ არ აღიარა მთავრობამ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება. ვფიქრობ, ამერიკის კონტრრევოლუციონერებმა რომ იცოდნენ საგარეო საქმეთა კომისარიატის დამოკიდებულება საქართველოს წარმომადგენლობისადმი, რომელიც არა მარტო არ ომობს საბჭოთა რუსეთთან, არამედ გულისწყრომით უარყო იმპერიალისტთა შესაბამისი წინადადება, მიუხედავად საუკეთესო პირობებისა, მაშინ ისინი უსათუოდ მოსთხოვდნენ საკუთარ მთავრობას (ტიქსტშია „წარმომადგენლობას“ — ჯ.გ.) გაეტარებინა იგივე კურსი საბჭოთა ელჩის მიმართ.

აღბათ, რალაც საბაბით, მოსკოვის საგანგებო კომისიამ ჩვენს შესახებ შეკითხვა გაუგ ზავნა საგარეო საქმეთა ეკომისარიატს და ამ უკანასკნელის ეკონომიკურ—სამართლებრივი განყოფილების გამგემ მოსკოვის საგანგებო კომისიას გაუგ ზავნა შემდეგი შინაარსის ქალაქი:

„ეკონომიკურ—სამართლებრივი განყოფილება



მოსკოვის საგანგებო კომისიის განყოფილებას

ამა წლის 11 თებერვლის №1977 მიწერილობის პასუხად ეკონომიკურ—სამართლებრივი განყოფილება მიმოწერის დაბრუნებით გაცნობებთ: საბჭოთა მთავრობა არასოდეს ცნობდა საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლად, შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობის ყოველგვარი შემდგომი მოღვაწეობა არის უკანონო, ხოლო თავად მისი არსებობა—თვითნებური და დაუშვებელი.

ეკონომიკურ—სამართლებრივი განყოფილების გამგე (ხელმოწერა).

მდივანი (ხელმოწერა) ბეჭედი.“

ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტია. ნებისმიერი მიხედება, თუ რისი მიღწევა სურს საგარეო საქმეთა კომისარიატს მოსკოვის საგანგებო კომისიისაგან.

დღემდე პეტროგრადის საბჭო თვითონ ნიშნავდა ჩრდილოეთის კომუნის საგარეო განყოფილების გამგეს, მაგრამ მარტის დასაწყისში ცენტრალურმა ხელისუფლებამ პეტროგრადში დანიშნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი შკლოვსკი.<sup>72</sup> პეტროგრადში მოსკოვის კურსის შემოღებით ჩვენი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მოქალაქე შკლოვსკიმ მოახდინა როგორც ჩვენი საკონსულოს, ისე ჩვენი წარმომადგენლობის უკრაინის განყოფილების ლიკვიდაცია. შექმნილი ვითარების გამო ჩვენი კონსული ა.ი.ჩერქეზოვი გადადგა და იძულებული ვიყავი იგი (გადადგომა – ჯ.გ.) მიმეღო. ამჟამად პეტროგრადში ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დაცვა დავავალე პეტროგრადის ქართულ ეროვნულ კომიტეტს და მის თავმჯდომარეს, გამოჩენილ პედაგოგს გიორგი პეტრეს ძე გეგელაშვილს.

ასე შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მის წარმომადგენლობას საბჭოთა ხელისუფლება, ის ხელისუფლება, რომელიც ამჟამად, რომ იგია ერთადერთი ხელისუფლება მსოფლიოში, რომელიც ცდილობს სიამტკბილობით იცხოვროს ყველა ხალხთან, რომ მხოლოდ იგია სავსე გულწრფელი სურვილით მხარი დაუჭიროს ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს.

სადაა მიზეზი ამგვარი აშკარა წინააღმდეგობისა საბჭოთა ხელისუფლების სიტყვასა და საქმეს შორის.



ჩვენი დამოუკიდებლობისადმი საბჭოთა ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულების ახსნა შეუძლებელია იმით, რომ ჩვენთან არ არის საბჭოთა რესპუბლიკა. ბოლშევიკები ხომ ცნობენ პოლონეთს და ფინეთს.<sup>73</sup> ხოლო პოლონეთსა და ფინეთში კი ხელისუფლების სათავეში არ ჩანან კომუნისტური მრჩევლები. ამკარაა, რომ ამ წინააღმდეგობის მიზეზი სხვა სფეროში უნდა ვეძიოთ. უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ყველა საკითხს ნყვეტს ძალით, თავისთავად ცხადია, რომ არ შეიძლება თაყვანს არ სცემდეს მას.

საქართველოს რომ ჰყოლოდა შთამბეჭდავი სამხედრო ძალა და თანაც ემუქრებოდა საბჭოთა რუსეთს, ო, მაშინ აღიარება უზრუნველყოფილი იქნებოდა. შემდეგ, განმეორდა ჩვეულებრივი ისტორია: ერთია — იყო ოპოზიციამი, მეორეა — იყო ხელისუფლებაში. ვის არ ახსოვს დროებითი მთავრობის ხანაში რა ძალით იცავდნენ ბოლშევიკები არა მხოლოდ პოლონეთის, ფინეთის და უკრაინის, არამედ კრონშტადტის დამოუკიდებლობასაც კი. მაგრამ, როცა თვითონ გამოჩნდნენ ხელისუფლებაში, მაშინ მათში უცებ ათამაშდა დიდმპყრობელური თავმოყვარეობა. ამ სფეროში, საწყენად არ ვამბობ, ბოლშევიკები არა მარტო ორიგინალურები არ არიან, არამედ ზუსტად იმეორებენ ბურჟუაზიული პარტიების ტაქტიკას — მიესალმონ ხალხთა თვითგამორკვევას უცხო სახელმწიფოებში და ძალით ჩაახშონ მსგავსი მოძრაობა საკუთარ სახელმწიფოში. ბოლშევიკები ქება—დიდებას ასხამენ ირლანდიის მოქმედებას, რომელიც ცდილობს ინგლისისაგან გამოყოფას<sup>74</sup>, მიესალმებიან ავღანეთის თვითგამორკვევას ამანულ—ხანის მეთაურობით<sup>75</sup>, აკურთხებდნენ კორეელთა გზას ასეთივე მოძრაობისაკენ<sup>76</sup> და იმავდროულად აგერ უკვე თითქმის ორი წელიწადია ამუშავებენ რუს ხალხს რევოლუციური საქართველოს გასანადგურებლად

და ბოლოს, ყველაზე მთავარი. საბჭოთა ხელისუფლება საკუთარი არსებობის ინტერესებისათვის ცდილობს ფორმალურად მაინც შეინარჩუნოს უფლება განაპირა მხარეებზე. კავკასია, ციმბირი, ყირიმი, შუა აზია და ა.შ. — არის ფონდი, საიდანაც საბჭოთა დიპლომატიამ უნდა ამოხაპოს თანხები, რათა თავი გამოისყიდოს აბეზარი იმპერიალისტებისაგან. ასე იყო ბრესტის ხელშეკრულების დროს, ასე იყო პრინციის კუნძულებზე კონფერენციის შესახებ მოლაპარაკებების,

უფრო სწორედ ლაპარაკის დროს. ასე იცხება ქმედგომშიაც, სახამ  
ძალთა თანაფარდობა საბჭოურ სახელმწიფოებრიობასა და საგარეო  
ფაქტორებს შორის არ შეიცვლება პირველის სასარგებლოდ.

ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს საბჭოთა ხელისუ-  
ფლება დიდსულოვნად აძლევს თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ  
მხოლოდ საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით და ამასთანავე აუც-  
ილებლად რუსეთის ფედერაციის ჩარჩოებში.<sup>77</sup>

ამა თუ იმ ხალხის დამოუკიდებლობის ცნობა კი ნიშნავს დაუპატი-  
ყებელი სტუმრებისათვის განკუთვნილი „ფეშქემის“ მნიშვნელოვან  
შესუსტებას. აი, ის მოსაზრებები, რომლებითაც ხელმძღვანელობ-  
დნენ ბოლშევიკები, ყოველ შემთხვევაში, სულ ბოლო დრომდე, როდ-  
ესაც მათ წინაშე დადგა საკითხი რუსეთის იმპერიაში ადრე შემავალი  
ხალხების დამოუკიდებლობის შესახებ. მაშინაც კი, როცა ზოგიერთი  
მათგანი ჩვენი საკითხის დადებითად გადანყვეტისაკენ იხრებოდა, ეს  
აზრები, როგორც ახლა დავინახავთ, არ ტოვებდნენ მათ.

როგორც კი რუსეთში დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის  
საკითხი, ბოლშევიკებს შორის წარმოიშვა მიმდინარეობა საქართველ-  
ოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. მაგრამ ამ მიმდინარეობის  
შატარებლები იცავდნენ ჩვენს დამოუკიდებლობას არა პრიბციპული  
მოსაზრებების, არამედ ტაქტიკური მოსაზრებების გამო. საბჭოთა  
ხელისუფლება, აღიარებს რა საქართველოს დამოუკიდებლობას,  
თავისთავად ცხადია, გაგზავნის იქ თავის სრულუფლებიან წარმომ-  
ადგენელს. საბჭოთა ელჩის მემშვეობით ჩვენი „მეგობრები“  
ვარაუდობდნენ ქართველ გლეხებს და მუშებს შორის დიდი აგი-  
ტაციის გაძლას. ფართოდ დაყვებულ აგიტაციას უხდა ჰქოხოდა ორი  
ამოცანა: გამოენვია ადგილობრივი სახალხო მოძრაობა „კონტრ-  
რევოლუციური“ საქართველოს მთავრობის დასამხობად და რუსული  
წითელი არმიის მოსანვევად მართლმადიდებელი კოშხისტური  
საბჭოთა ეკლესიის წიაღში საქართველოს საზეიმოდ შესვლისათვის.

ასე როცა ვამბობ, სრულებითაც არ ვმტრობ სახელმწიფო ხელის-  
უფლების საბჭოთა სისტემით მოხყობის თავად პრიბციპის ხიხააღ-  
მდეგ. თუ საქართველოში დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება თვით  
ქართველი ხალხის ხელით, მაშინ მზად ვარ ერთგულად ვემსახურო  
მას, მაგრამ წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია ბრძოლა ყველა იმათ წინა-  
აღმდეგ, ვინც, სარგებლობს რა უხეში ფიზიკური ძალით, ცდილობს



თავს შოახვიოს ხალხს მისთვის უცხო მართვის სისტემა.

ამ მიმდინარეობამ ერთ დროს მოიპოვა ერთგვარი პოპულარობა, მაგრამ ოდესის, სევასტოპოლის, იალტის და ა.შ. მოპოვებისთანავე<sup>78</sup> უქმად ჩაიარა „სამხედრო“ პარტიის<sup>79</sup> გამარჯვების მარშის ჰანგების ქვეშ. არ ვიციტ შემდგომში როგორ განვითარდება საზოგადოებრივი მოვლენები; ყოველ შემთხვევაში საჭიროა უდიდესი სიფხიზლე, ვინაიდან გარდუვალთა უკეთილშობილესი და მაღალიდეური (ტექსტშია „მაღალიდეალური“ - ჯ.გ.) დროშებით ჩვენი შეიარაღებული განადგურების მცდელობა. ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შეტევის იდეოლოგიებისათვის უცხოობი არ არის, რომ საქართველოზე ხითელი არმიის შემოტევის შემთხვევაში მთელი თეთრი გვარდია გადაიღებება ყველაზე ნითელ ფერად, რათა თავის საშინაო მტრებთან ერთად გაანადგუროს... დამოუკიდებელი საქართველო.

ვამთავრებ რა ამ წიგნს, უნდა ვთქვა, რომ თუმცა საქართველოს საელჩო ვერ დაიტრახებებს, რომ მან შეასრულა თავისი მაღალი მისია, დაეძყარებინა ძმვიდობა და ძეგობრობა რუს და ქართველ ხალხებს შორის, მაგრამ თავად საქართველომ თავისი მისია შეასრულა.

ვერ მოასწრო მან თვითგამორკვევა, რომ მიიღო გადაწყვეტილება არ გაეხყვიტა სულიერი კავიირი შოძმე რუს ხალხთახ და ამ მი'ხხით გაგზავნა მასთან თავისი წარმომადგენელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ჩემს მიერ წარმოდგეხილი ხალხის ამ ლაშაზი და კეთილშობილური ხაბიჯის მიშართ მეტყველებს არა მის რევოლუციურობაზე, არამედ იმაზე, რომ მას არა აქვს არც ძალა, ხოლო მისი მუშაკების უმრავლესობას სურვილი გახახორციელოხ ცხოვრებაში ის დიადი პრიხციპები, რომლებსაც თვითონ აცხადებს და რომლებსაც ამ სტრიქონების ავტორმა თავისი მოკრძალებული ცხოვრების საუკეთესო ნაწილი შეალია.

ვაპრიელ ხუნდაძე

თავისი ყუჩეყაგზე



1. თბილისში ჩამოსული გ. ხუნდაძე 1918 წლის 3 სექტემბერს ესაუბრა ნოე ჟორდანიას, რათა, წესისამებრ, მთავრობისაგან (და არა ეროვნული საბჭოსაგან, რომელიც არ იყო ხალხის მიერ არჩეული ორგანო) მიეღო რუსეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის უფლებამოსილება.

2. პლიუშკინი — რუსი მწერლის ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლის (1809—1852 წწ.) რომან—პოემის „მკვდარი სულები“ — ს პერსონაჟი.

3. ბოლშევიკები — მიმდინარეობა რუსეთის სოციალ—დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, რომელიც ჩამოყალიბდა 1903 წელს II ყრილობაზე ვ. იულიანოვ—ლენინის მეთაურობით; ბოლშევიკებმა 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება რუსეთში და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება; იგივე კომუნისტური პარტია, რომელიც ბატონობდა საბჭოთა კავშირში 1991 წლამდე, საქართველოში — 1921—1990 წწ.

4. ასე ნათლავდა საბჭოთა ხელისუფლება არაბოლშევიკური, დემოკრატიულ—ლიბერალური მიმართულების მემარცხენე პარტიებს — მენშევიკებს, სოციალისტ—რევოლუციონერებს (ესერებს) და სხვებს.

5. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები (ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი და სხვა) — ანტანტა, რაც ფრანგულად ნიშნავს „გულითად თანხმობას“. ანტანტის ქვეყნები — იგივე თანხმობის ანუ შეთანხმების სახელმწიფოები.

6. ნოე რამიშვილი (1881—1930 წწ.) — სოციალ—დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ—ერთი ლიდერი საქართველოში და რუსეთის იმპერიაში; 1918 წლის 26 აპრილს იგი დაინიშნა ამიერკავკასიის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრად; 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც გამოაცხადა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ნ. რამიშვილი დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველ თავმჯდომარედ (ეს პოსტი მალე ნოე ჟორდანიამ დაიკავა) და შინაგან საქმეთა მინისტრად, 1918 წლის ნოემბრამდე ერთდროულად ასრულებდა



საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციასაც. 1919 წლის მარტიდან შეთავსებით ეკავა განათლებისა და სამხედრო საქმეთა მინისტრის პოსტებიც. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ცხოვრობდა ემიგრაციაში.

7. 1917 წლის 5 დეკემბერს, თურქეთის მთავრობასა და ამიერკავკასიის კომისარიატს შორის მოხდა დაზავება კავკასიის ფრონტზე, რასაც მოჰყვა საომარი მოქმედებების შეწყვეტა და რუსული ჯარის თვითდემობილიზაცია.

8. ხელი მოაწერეს ბოლშევიკურმა რუსეთმა და გერმანიამ 1918 წლის 3 მარტს. ბრესტის ზავის თანახმად, რუსეთი ტოვებდა უკრაინას, ფინეთს, შვიზლუდა მისი ყოფნა შავ ზღვაზე; არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქის მოსახლეობას კი თავად უნდა გადაეწყვიტა საკუთარი ბედი მეზობლებთან, განსაკუთრებით თურქეთთან შეთანხმებით; საჭირო იყო რეფერენდუმის ჩატარება, მაგრამ თურქეთმა დაარღვია ზავის პირობები, მოახდინა აღნიშნული ოლქების ოკუპაცია და მისი ჯარი დაიძრა თბილისისაკენ. 1918 წლის 20 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატმა გამოაცხადა, რომ ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების კუთვნილების საკითხი რჩებოდა ღიად (იხ. *Документы внешней политики СССР*, ტ.1, М., 1957, გვ.491). 1918 წლის 13 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გააუქმა ბრესტის ზავი, გამოიყენა რა საბაბად გერმანიის რევოლუცია.

9. პერეფრაზი რუსული ანდაზისა — „Лучше синица в руках, чем журавль в небе“ („უმჯობესია ნივნივა გყავდეს ხელში, ვიდრე წერო — ცაში“); მისი ქართული შესატყვისია: „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ჯობიაო“.

10. ავტორს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ინგლისელთა შუამავლობით 1918 წლის 31 დეკემბერს შეწყდა სომხეთის მთავრობის მიერ (ინგლისის დახმარების იმედიით) საქართველოს წინააღმდეგ იმავე წლის 9 დეკემბერს ვერაგულად დაწყებული ომი. უფრო ადრე, 1918 წლის 18 ოქტომბერს ბორჩალოს მაზრაში სომხეთის მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაციები წყალს ასხამდა ინგლისის ნისქვილზე, ვინაიდან მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მისი მთავარი მტრის — გერმანიის წინააღმდეგ. ინგლისელთა ფაქტობრივი მხარდაჭერა სომხეთისადმი გამოვლინდა 1919 წლის 9 და 17 იანვრის საზავო მოლაპარაკებებზე, რომელთა შედეგად ბორჩალოს მაზრა გამოცხადდა

ნეიტრალურ ტერიტორიად; სადავო ტერიტორიად იქნა მიჩნეული ახალქალაქიც (რ. ცუხიშვილი. ინგლის—საქართველოს ურთიერთობა 1918—1921 წწ. თბ., 1995, გვ. 24—28). შემდგომშიც, პარიზის კონფერენციაზე ინგლისი და ამერიკა ცდილობდნენ დიდი და ძლიერი სომხეთის სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც ექნებოდა გასასვლელი შავ ზღვაზე. ალბათ, ამ ფაქტებს გულისხმობს გ. ხუნდაძე.

11. აკაკი ჩხენკელი (1874—1959 წწ.) — საქართველოს და რუსეთის სოციალ—დემოკრატიის ერთ—ერთი ლიდერი, IV სახელმწიფო სათათბიროს (1912—1917 წწ.) წევრი, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; 1918 წლის 26 მაისს იგი დაუსწრებლად დაამტკიცეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად; 1918 წლის 28 მაისს ა. ჩხენკელმა და გერმანიის წარმომადგენელმა გენერალმა ფონ ლოსოვმა ფოთში ხელი მოაწერეს გერმანია—საქართველოს დროებით შეთანხმებას. ამის შემდეგ ა. ჩხენკელი, ასევე ზ. ავალიშვილი და ნ. ნიკოლაძე ფონ ლოსოვთან ერთად მიემგზავრებიან გერმანიაში. ა. ჩხენკელი დარჩა იქ 1918 წლის ნოემბრამდე და აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიის მთავრობასთან საქართველოს დე—იურე აღიარების, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე. 1918 წლის ნოემბერში ა. ჩხენკელი მიემგზავრება ინგლისში იმავე საკითხების მოსაგვარებლად.

12. გრაფი მირბახი (1871—1918 წწ.) მოსკოვში მოკლეს მემარცხენე ესერებმა (კერძოდ, ი. ბლიუმკინმა) 1918 წლის 6 ივლისს; მკვლელობის მიზანი იყო რუსეთისათვის დამამცირებელი ბრესტის ზავის გაუქმება.

13. საბჭოთა რუსეთში და საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე სამინისტროს ეწოდებოდა სახალხო კომისარიატი, მინისტრს—კომისარი; ამ შემთხვევაში საუბარია რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატზე.

14. როგორც ჩანს, გ. ხუნდაძემ არ იცოდა იმის შესახებ, რომ 1918 წლის 28 მაისს ფოთში ხელმოწერილი „დროებითი შეთანხმება გერმანიასა და საქართველოს შორის წინასწარ ურთიერთგანწყობილების დამყარების შესახებ“ ითვალისწინებდა ერთმანეთთან საკონსულო და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. ეს უკვე რეალურად ნიშნავდა გერმანიის მიერ საქართველოს დე—ფაქტო აღიარებას.

15. ევგენი გეგუჭკორი (1881—1954 წწ.) — საქართველოს და რუსეთის სოციალ—დემოკრატიის ერთ—ერთი ლიდერი, III სახელმწიფო



სათათბიროს (1907—1912 წწ) წევრი, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისარი; 1918 წლის 26 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად, შეცვალა რა ამ პოსტზე ა.ჩხენკელი, რომელიც იმყოფებოდა ევროპაში და რომლის მოვალეობას დროებით ითავსებდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ.რამიშვილი; საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ცხოვრობდა ემიგრაციაში.

ირაკლი წერეთელი (1882—1959 წწ) — საქართველოს და რუსეთის სოციალ—დემოკრატიის ერთ—ერთი ლიდერი, II სახელმწიფო სათათბიროს (1907წ.) წევრი; 1917 წელს რუსეთის დროებითი მთავრობის წევრია (ჯერ ფოსტა—ტელეგრაფის, ხოლო 1917 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ—შინაგან საქმეთა მინისტრი); საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, წარმომადგენელი პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ცხოვრობდა ემიგრაციაში.

16. ავტორს, ალბათ, მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება: სამ ნაწილად დაყოფილი პოლონელები პირველ მსოფლიო ომში მხარს უჭერდნენ შესაბამისად რუსეთს, გერმანიასა და ავსტრია—უნგრეთს. 1915 წლის ზაფხულში გერმანიამ და ავსტრია—უნგრეთმა მოახდინეს პოლონეთის რუსული ნაწილის ოკუპაცია, 1916 წლის ნოემბერში კი ჩამოაყალიბეს ფორმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ სატელიტური პოლონური სახელმწიფო.

17. ოფიციალური გერმანიის პოზიცია საქართველოს მიმართ, მისი საზღვრების შესახებ ფონ—ლოსოვმა ჩამოაყალიბა 1918 წ. 28 მაისს ჩვენი ქვეყნის მთავრობისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში. საქართველოს შემადგენლობაში შედიოდნენ თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ასევე სოხუმის ოლქი. აჭარა კი, ბრესტის ზავის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ რჩებოდა, მაგრამ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებზე თურქეთის პრეტენზიას გერმანია არ ცნობდა. სოხუმის ოლქი გაგრის ჩათვლით უნდა შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ, გერმანიის აზრით, კავკასიის კონფედერაციის შექმნისა და მის შემადგენლობაში საქართველოს შესვლის შემთხვევაში სოხუმის მცხოვრებთ თავად უნდა გადაეწყვიტად საკუთარი ბედი — დარჩებოდნენ საქართველოსთან, შევიდოდნენ მთიელთა კავშირში, ან ოლქს, როგორც ცალკე სახელმწიფო—კანტონს, მონაწილეობა მიეღო კავკასიის კონფედერაციაში (იხ. ზ.ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა

1918—1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1929, გვ. 60).

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ჟენევაში შექმნილი და მალე გერმანიაში გადასული „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი“ (პეტრე სურგულაძე - თავმჯდომარე, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვ.) დასაშვებად მიიჩნევადა გერმანიის მფარველობით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში გერმანელი პრინცის იოაჰიმ ჰოჰენცოლერნის ბაგრატიონთა ნატახტარზე დასმას. ამის შესახებ წერდა კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც იმ პერიოდში გერმანიაში იმყოფებოდა და აქტიურად თანამშრომლობდა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულ კომიტეტთან“ (კონსტანტინე გამსახურდია. რვატომეული. ტ.7. თბ., 1965, გვ.248).

18. საუბარია პირველი მსოფლიო ომის ფრონტებიდან დემობილიზებულ, ასევე გერმანელთა ტყვეობაში ჩავარდნილ და შემდეგ განთავისუფლებულ ქართველებზე. გერმანიაში მოქმედმა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა“ დიდი მუშაობა გასწია ქართველ ტყვეთა სამშობლოში დასაბრუნებლად. ა.ჩხენკელის დავალებით, ამ საქმეს ხელმძღვანელობდა გ.მაჩაბელი, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდა კ.გამსახურდია. ტყვეებთან მუშაობა წარმოებდა იმ მიზნით, რომ ისინი დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩამდგარიყვნენ. გერმანიიდან ტყვეების დაბრუნება დაიწყო 1918 წლის ივლისში.

19. 1918—1919 წლებში ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებს ლეჩუმის, გორის, ზუგდიდის, სენაკის, დუშეთის მაზრებში, ფოთში, გურიაში, სიღნაღში და სხვაგან, რომლებიც ძირითადად ბოლშევიკების მიერ იყო პროვოცირებული. ამ პარტიის უმძიმეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ანტისახელმწიფოებრივი, სეპარატისტული გამოსვლების მოწყობა აფხაზეთში და შიდა ქართლის ოსურ მოსახელობაში. ი.სტალინი 1918 წლის 26 და 27 მარტს გაზეთ „პრავდაში“ წერდა გლეხთა „რევოლუციურ“ გამოსვლებზე და „აჯანყებებზე“ საქართველოში, რომლებსაც ბანდიტურს და ყაჩაღურს უწოდებენო (თხზ., ტ. 4, გვ. 55—71); იმავე წლის 23 მაისს გაზეთ „პრავდაში“ ი.სტალინი ეხება აფხაზეთის მოვლენებს. რუსი ბოლშევიკების მიერ მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად იგი უწოდებს აჯანყებას „თბილისის „მთავრობის“ შავი ბანდების წინააღმდეგ“, აღნიშნავს, რომ სოხუმის ბედი



წინასწარ გადაწყვეტილია (თხზ., ტ.4, გვ. 104—105).

სერგო ორჯონიკიძეც არაიშვიათად წერდა იმის შესახებ, თუ როგორ „ებრძოდა“ საქართველოს მთავრობა საკუთარ ხალხს (ს. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები. ტ.1, თბ., 1957, გვ. 53—54).

ეს ცილისწამებები (საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ვითომ ბრძოლა, „აჯანყებები“ და ა.შ.) მიზნად ისახავდნენ პირობების შემზადებას დამოუკიდებელი საქართველოს დასამხობად. მსგავს მეთოდებს მიმართავდნენ რუსეთის აგენტები მოგვიანებითაც — 1991 წელს, როდესაც ემზადებოდნენ საქართველოს ეროვნული მთავრობის დასამხობად.

20. აფეთქება მოხდა 1918 წლის 1 ოქტომბერს, რისთვისაც ვინმე შმაგაილოვს მიესაჯა დახვრეტა, მაგრამ ინგლისელთა ჩარევით იგი ციხიდან გაანთავისუფლეს.

21. ოჩამჩირის რაიონში თურქეთის დესანტის გადმოსხმა მოხდა 1918 წლის ივნისში ა. შერვაშიძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით. ქართულმა საჯარისო ნაწილებმა 1918 წლის აგვისტომდე გაანადგურეს დესანტი, რომლის საერთო რაოდენობა თავიდანვე შეადგენდა დაახლოებით 1000 კაცს (იხ. გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათუმი, 1990, გვ. 70—72; ჯ. გამახარია. ქართულ—აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 64—68).

22. თურქებმა ბაქო დაიკავეს 1918 წლის 15 სექტემბერს. კომუნისტური პრესა ავრცელებდა ჭორებს, თითქოს ნოე ჟორდანიამ და ისიდორე რამიშვილმა აზერბაიჯანის წარმომადგენელს მიულოცეს ოსმალეთის ჯარების მიერ ბაქოს აღება. ამასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ გააკეთა განცხადება: „ჩვენ მოწინააღმდეგე პარტიების პრესაში იბეჭდება იმდენი ყალბი და ცრუ ცნობები, რომ მათი უარისყოფისათვის არც საშუალება მაქვს და არც სურვილი... არც მე, არც ი. ვ. რამიშვილს და არც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ბაქოს აღების გამო არავისთვის არაფერი მიგვილოცნია“ (ერთობა, 1918, 23 ოქტომბერი).

23. გაზეთებში „ერთობა“ და „ბორბა“ თურქების მიერ ბაქოს აღებასთან დაკავშირებით რამდენიმე კორესპონდენცია და წერილი გამოქვეყნდა (ბორბა, 1918, 18 სექტემბერი, 22 სექტემბერი; ერთობა 1918, 3 ოქტომბერი, 23 ოქტომბერი, 25 ოქტომბერი და ა.შ.). გაზ. „ერთობის“ ერთ—ერთ წერილში ლაპარაკია თურქეთზე, რომელმაც „დაიპყრო თითქმის მთელი ამიერკავკასია, გარდა საქართველოს ნაწილისა, ხოლო ბაქოს აღებით მას საშუალება მიეცა შეიჭრას ჩრდილოეთ კავკასიაში და

იქ ინგუშებისა და ლეკების აჯანყება მოაწყოს, რაც დღევანდელ პირობებში საშუალებას მისცემს აჭარა—ახალციხის მსგავსად ამ ადგილების ოკუპაცია მოახდინოს. ბათუმ—ბაქოს ხაზის გამოსწორებით ოსმალეთმა ფაქტიურად ხელში ჩაიგდო მთელი მხარის მაცოცხლებელი წერვი და რკალით შემოერთცა ჩვენს პატარა რესპუბლიკას". გაზეთს შიანია, რომ მხოლოდ ქართულ ჯარს „შეუძლია ჩვენი ხსნა აოხრებისაგან და ისტორიული მტრების—ოსმალეთის ქუსლებისაგან“ (ერთობა, 1918, 3 ოქტომბერი).

აქვე მოტანილია „ბორბას“ შეხედულება პირველი მსოფლიო ომიდან ბულგარეთის გამოსვლასთან დაკავშირებით, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა თურქეთს, ვინაიდან „ბულგარეთი ხსნის გზებს დარდანელ—კონსტანტინოპოლისაკენ მოკავშირეთათვის... ასეთი მდგომარეობა, თუ ოსმალეთში კიდევ დარჩა სახელმწიფოებრივი გონება, მას აიძულებს უკუაგდოს პანთურქული ოცნება საზღვრების გადიდებისა კავკასიონის ქედს იქეთ, დასტოვოს ოცნება კავკასიაში გადამწყვეტ როლის თამაშისა და მთელი თავისი ძალა მოახმაროს ახალი საშიშროების თავიდან აშორებას“ (გადმობეჭდილია გაზეთში „ერთობა“, 1918, 3 ოქტომბერი). უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ პუბლიკაციებმა გამოიწვიეს თურქეთის უკმაყოფილება, რის შესახებაც წერს გ.ხუნდაძე. ანტანტასთან დამარცხებული თურქეთი, მუდროსის ზავის.თანახმად, იძულებული გახდა გაეყვანა თავისი ჯარები კავკასიიდან 1918 წ. დეკემბერში.

24. ისიდორე რამიშვილი (1859—1937 წწ.) — თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ—დემოკრატი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს (1906 წ.) წევრი; რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი (1917 წ.), საქართველოს დამფუძნებელი კრების და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი 1919—1921 წწ.

25. სპარტაკის ჯგუფი — მემარცხენე მიმდინარეობა გერმანიის სოციალ—დემოკრატიაში (კ.ლიბკნეხტი, რ.ლუქსემბურგი, ფ.მერინგი და სხვა). 1918 წ. ნოემბერში მის ბაზაზე შეიქმნა „სპარტაკის კავშირი“. 1918 წ. ბოლომდე იგი შედიოდა გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ—დემოკრატიულ პარტიაში. სწორედ ამ ორგანიზაციებს გულისხმობს გ.ხუნდაძე.

26. გერმანიაში რევოლუცია მოხდა 1918 წ. ნოემბერში.

27. იგულისხმება 1917 წლის 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში.



28. ამიერკავკასიის კომისარიატი შეიქმნა 1917 წლის 15 ნოემბერს ე.გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

29. შეიქმნა 1917 წლის მარტში.

30. მალაქია ტოროშელიძე (1880—1937 წწ.)—ცნობილი ბოლშევიკი, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობები.

31. სტეფანე შაუმიანი (1878—1918 წწ.) — ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1917 წლიდან. 1917 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ ვ.ლენინის თავმჯდომარეობით, მოისმინა ი.სტალინის მოხსენება კავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ და ს.შაუმიანი დანიშნა კავკასიის საგანგებო კომისარად; თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1918 წ. 22 იანვარს. ამასთან დაკავშირებით 24 იანვარს გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა, რომელზეც ე.გეგეჭკორმა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ბოლშევიკები აპირებენ რუსულ სამხედრო ემელონებზე დაყრდნობით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. 25 იანვარს კომისარიატი ხელახლა შეიკრიბა და ს.შაუმიანს ულტიმატუმის წესით მოსთხოვა 24 საათში ამიერკავკასიის დატოვება. იგი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. 1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ე.წ. ბაქოს კომუნის თავმჯდომარეა, რომლის დაცემის შემდეგ სხვა კომუნარებთან ერთად დახვრიტეს კრასნოვოდსკში 1918 წლის 20 სექტემბერს.

32. აღწერილი მოვლენები მოხდა 1918 წლის იანვრის პირველ დეკადაში. ი.სტალინი (და სხვა ბოლშევიკებიც) ამიერკავკასიის კომისარიატს ადანაშაულებდნენ ფრონტიდან ვითომ შინ მიმავალი რუსი ჯარისკაცების დახვრეტაში (ი.სტალინი, თბზ., ტ. 4, გვ. 55—71). ბრალდება, როგორც გ.ხუნდაძე ასაბუთებს, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ საკითხზე დიდ ყურადღებას ამახვილებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაც.

33. მილიუკოვი პ.ნ. (1859—1943 წწ.) — რუსი პოლიტიკური მოღვაწე, კონსტიტუციური—დემოკრატიული პარტიის (კადეტების) ლიდერი, რუსული შოვინიზმისა და დაპყრობითი პოლიტიკის ერთ—ერთი მთავარი იდეოლოგი, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის წლებში; 1917 წელს რუსეთის პირველ დროებით მთავრობაში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, მაგრამ იმავე წლის აპრილში იძულებით გადადგა.

34. საქართველო არასოდეს შეერთებია რუსეთს; 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ითვალისწინებდა რუსეთის მფარველობას

საქართველოზე. რუსეთთან საქართველოს მიერთება 1801 წელს მოხდა ამ ტრაქტატის დარღვევით, ძალადობის, ანექსიის გზით.

35. შავრაზმელებს ეძახდნენ შავ ფორმაში გამოწყობილ სპეციალურ რაზმებს, რომლებიც უსწორდებოდნენ ანტისამთავრობო გამოსვლებს; გადატანითი მნიშვნელობით შავრაზმელებს უწოდებდნენ აგრეთვე ცარიზმის მომხრე ყველაზე რეაქციულ პოლიტიკურ ძალებს და ცალკეულ პიროვნებებს.

პორაჟენელობა (დამარცხების მომხრე) წარმოადგენდა ისეთ პოლიტიკურ მიმდინარეობას (ძირითადად, ბოლშევიკ-ლენინელები) პირველი მსოფლიო ომის წლებში, რომელიც საკუთარი მთავრობის დამარცხებას ისახავდა მიზნად.

36. ვციკ - Всероссийский Центральный Исполнительный Комитет (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) - საბჭოთა რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც ირჩევდა საბჭოების ყრილობა; უშვებდა გაზეთ „იზვესტია“ -ს (მოამბე), რომელიც დღემდე გამოდის.

37. პეტროგრადის საბჭოს №1 ბრძანება მიღებულია 1917 წლის 1(14) მარტს მუშათა და ჯარისკაცთა სექციების გაერთიანებულ სხდომაზე; იგი აკანონებდა ჯარში თვითნებურად შექმნილ კომიტეტებს და საბჭოებს. ბრძანების თანახმად, პოლიტიკური გამოსვლების დროს ჯარი ექვემდებარებოდა მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს და არჩეულ საჯარისო კომიტეტებს; ბრძანება ითვალისწინებდა ჯარის დემოკრატიზაციას.

38. რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის წერილზე 1918 წლის 24 მაისს ვ.ლენინმა წააწერა რეზოლუცია: „შექმნილი ვითარების გამო... დაუყოვნებლივ განადგურდეს შავი ზღვის ფლოტი“ (В.И. Ленин. Полн. собр. соч., ტ.50, გვ. 81). იგივე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ 28 მაისს, ხოლო 1918 წლის 18 ივნისს იგი სისრულეში იქნა მოყვანილი. საბჭოთა მთავრობამ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ შავი ზღვის ფლოტი არ ჩავარდნილიყო გერმანელების ხელში. ბრესტის ზავის მიხედვით, რუსეთი ისედაც ვალდებული იყო ომის დამთავრებამდე ფლოტი განეღობინა პორტებზე ან მოეხდინა მისი განიარაღება.

39. იგულისხმება პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც შეუდგა მუშაობას 1919 წლის იანვარში. საქართველოს რესპუბლიკის



დელეგაცია, როგორც ჩამოყალიბებული დაწესებულება, პარიზში მუშაობდა 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დამლევამდე (ზ.ავალიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 61) ზ.ავალიშვილის, დ.ლამბაშიძის, კ.ჩხეიძის და კ.წერეთლის შემადგენლობით.

40. ასეთი დამამცირებელი ეპითეტებით ამკობდნენ ბოლშევიკები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. ერთხელ ი.სტალინმა ცუნოდა მათ „გაკოტრებული ქართველი სოციალ—მედუქნეები“ (თხზ., ტ.4, გვ. 447). ბოლშევიკების აზრით, ამ იარლიყით ხაზი ესმებოდა საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენილობას და მისი ხელმძღვანელების წვრილბურჟუაზიულ, არაპროლეტარულ ბუნებას; ინგლისისათვის საქართველოს „მიყიდვაში“ ბოლშევიკები გულისხმობდნენ 1918 წ. დეკემბრიდან 1919 წ. აგვისტომდე ქვეყანაში ინგლისის ჯარების ყოფნას.

41. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864—1926 წწ.) — ქართული და რუსული სოციალ—დემოკრატიის ერთ—ერთი ლიდერი; III (1907—1912 წწ.) და IV (1912—1917 წწ.) სახელმწიფო სათათბიროს წევრი; 1917 წ. თებერვალ—აგვისტოში მუშათა და ჯარისკაცთა პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე; პირველი მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე; 1917 წ. ოქტომბრიდან საქართველოშია; 1918 წლის თებერვალში ირჩევენ ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარედ; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეა 1919—1921 წწ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაშია.

42. ბოლშევიკები 1917 წლის აპრილიდან, როდესაც მათ ჩაატარეს თავიანთი VII კონფერენცია, სიტყვით აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე. საბჭოთა ხელისუფლებამ ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია (დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის 2(15) ნოემბერს), მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია (მიიღო რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების III ყრილობამ 1918 წლის 10—18 (23—31) იანვარს), რომელიც ცალკე თავად შევიდა საბჭოთა რუსეთის პირველ კონსტიტუციაში (მიიღო საბჭოების V ყრილობამ 1918 წლის 10 ივლისს), დაადასტურა გამოყოფის უფლება. ამავე დროს, ბოლშევიკები მუდამ ამახვილებდნენ ყურადღებას გამოყოფის მიზანშეწონი-

ლობაზე თუ მიზანშეუწონლობაზე და ამით ფაქტობრივად უარყოფდნენ დეკლარირებულ უფლებას.

43. გერმანიის ტახტზე იჯდა ვილჰელმ II გოგენცოლერნი (იხ. შენიშვნა 55); ავსტრია—უნგრეთის ტახტი ეკავა ჰაბსბურგების დინასტიის ბოლო წარმომადგენელს კარლ I—ს. იგი მეფობდა 1916—1918 წწ. ტახტიდან გადადგა 1918 წლის 11 ნოემბერს.

44. სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში გახვეული ბოლშევიკები დათანხმდნენ წასულიყვნენ არა მარტო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, არამედ 1919 წლის 4 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზადაა მონაწილეობა მიიღოს, თანაც მიწვევის გარეშე, ანტანტის ქვეყნებისა და ამერიკის მიერ 1919 წლის 22 იანვარს იმავე წლის 15 თებერვლისათვის პრინციპ კუნძულებზე (მარმარილოს ზღვაში) დანიშნული კონფერენციის მუშაობაში (კონფერენცია არ შედგა). ეს ფაქტი აქვს მხედველობაში გ. ხუნდაძეს.

45. როგორც გ. ხუნდაძე თავად წერს, ასეთი ცირკულიარი გამოქვეყნდა 1919 წ. 24 დეკემბერს.

46. ნოე ჟორდანი (1868—1953 წწ.)— საქართველოს და რუსეთის სოციალ—დემოკრატიის ერთ—ერთი ლიდერი; თავმჯდომარე ქართული ეროვნული საბჭოსი (შეიქმნა 1917 წ. ნოემბერში პირველ ეროვნულ ყრილობაზე), რომელმაც 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; 1918—1921 წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; გასაბჭოების შემდეგ იმყოფებოდა ემიგრაციაში.

47. რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეზე, ბოლშევიკური პარტიის ლიდერზე — ვ. ი. ლენინზე (1870—1924 წწ.) თავდასხმა მოხდა 1918 წლის 30 აგვისტოს, როდესაც იგი მძიმედ დაჭრა სოციალისტ—რევოლუციონერთა (ესერების) პარტიის წევრმა ფანი კაპლანმა.

48. გ. ვ. ჩიჩერინი (1872—1936 წწ.) — 1918 წლის მარტიდან საბჭოთა რუსეთის, ხოლო 1922—1930 წწ. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

49. კ. ბ. რადეკი (1885—1939 წწ.)—რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწე, დიპლომატი; 1920 წლიდან მუშაობდა კომუნისტური ინტერნაციონალის მდივნად. რეპრესირებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

50. იგულისხმება რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II —



ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვი (1868—1918 წწ.), რომელიც იძულებით გადადგა ტახტიდან 1917 წ. 8(21) მარტს.

51. შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 7(20) დეკემბრის დადგენილებით, როგორც სახელმწიფო უშიშროების დაცვის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წინამორბედი) სპეციალური ორგანო (თავ—რეფ. ძერჟინსკი). დაუნდობლობით და გაუგონარი სისასტიკით იგი შიშის ზარს სცემდა ადამიანებს.

52. ლ. მ. კარახანი (1889—1937 წწ.) — საბჭოთა დიპლომატი. 1920 წლის 7 მაისს გ. ურატაძესთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას.

53. დალაი—ლამა—ტიბეტის ლამაისტური ეკლესიის ხელმძღვანელი.

54. ასეა ჩანერილი რუსეთ—გერმანიის დამატებით ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო ბერლინში 1918 წლის 27 აგვისტოს (იხ. **Документы внешней политики СССР**, т. 1, М., 1957, გვ. 443). ფოთის 1918 წლის 28 მაისის შეთანხმებასთან ერთად ეს ნიშნავდა გერმანიის მიერ საქართველოს დე-ფაქტო აღიარებას. დე-იურე აღიარება მოხდა მოგვიანებით — 1920 წლის 24 სექტემბერს.

55. ვილჰელმ II გოგენცოლერნი (1859—1941 წწ.), გერმანიის მეფე 1888—1918 წწ. დიდი როლი ითამაშა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში. დაამხო გერმანიის რევოლუციამ (1918წ. 9 ნოემბერი); 1918 წ. 28 ნოემბერს უარი თქვა ტახტზე.

ფ. შეიდემანი (1865—1939 წწ.); სოციალ—დემოკრატი. 1918 წლის ოქტომბრიდან გერმანიის მთავრობის წევრი; 9 ნოემბერს — მონარქიის დამხობის დღეს გამოაცხადა რესპუბლიკა (ვაიმარის რესპუბლიკა). 1919 წლის თებერვალ—ივნისში ვაიმარის რესპუბლიკის პირველი მთავრობის ხელმძღვანელია. ვილჰელმ II — ს მონაფეს, ალბათ, იმიტომ უწოდებს ავტორი, რომ შეიდემანი პირველი მსოფლიო ომის წლებში მხარს უჭერდა გერმანიის მთავრობას.

56. რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 1918 წლის 10 ოქტომბრის ნოტაში თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი საუბარია „თბილისში გამაგრებულ“ ამბოხებულებზე (იხ. **Документы внешней политики СССР**, т. 1, გვ. 514). ამბოხებულებში კი საქართველოს მაშინდელი მთავრობა იგულისხმება.

57. აქსიოს — ღირსეული; წარმოთქვამენ დიაკვნიდან დანყებული ყველა საეკლესიო იერარქის კურთხევისას (**Словарь церковно-**

სლავიანსკოგო რუსსკოგო იაზუკა, ტ. 1, სპბ, 1847);

ალილოია — „ჰალლელოია“ — „აქებდე ღმერთსა“ (ბერძნ.); მისამღერო ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში.

58. ამ შემთხვევაში ავტორი იყენებს რუსულ მეტყველებაში გავრცელებულ პოეტურ ფორმას ნ. ა. ნეკრასოვის (1821—1877 წწ.) პოემიდან „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“:

შენ ხარ ლატაკი,  
შენ ხარ მდიდარიც;  
შენ ხარ ძლიერი,  
შენ ხარ უძლურიც,  
დედა — რუსეთო!

59. რეალურად არსებული ქალაქი უკრაინაში, რომლის სახელწოდებას ავტორი ხმარობს გადატანითი მნიშვნელობით; გ. ხუნდაძეს უნდა თქვას, რომ განსხვავებას ჰქონდა ადგილი არა მარტო მოსკოვსა და მიყრუებულ (გლუხოი) პროვინციას, არამედ ორ მთავარ პოლიტიკურ ცენტრს შორისაც კი.

60. ა. ნ. ჩერქეზიშვილი — პეტროგრადის ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე.

61. რუსეთის ჩრდილოეთის ოლქების (პეტროგრადის, ნოვგოროდის, ფსკოვის, ოლონეცკის, არხანგელსკის და ვოლოგოდსკის გუბერნიების) კავშირი 1918 წლის აპრილიდან 1919 წლის თებერვლამდე.

62. გ. ვ. ზინოვიევი (1883—1936 წწ.). ნამდვილი გვარი — რადომისლსკი. ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი და საბჭოთა რუსეთის ერთ — ერთი ხელმძღვანელი; რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი; კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი თავმჯდომარე. ი. სტალინთან დაპირისპირების გამო მოიხსნა თანამდებობიდან, შემდგომში რეპრესირებულ იქნა.

63. უკრაინის მთავრობა, რომელიც შეიქმნა 1918 წლის 14 ნოემბერს.

64. იხ. შენიშვნა 8.

65. ვ. ი. ლენინის და მისი მიმდევრების მიზანი იყო ერების „ნებაყოფლობით“ შერწყმა, მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკის შექმნა. ამ უაზრო იდეის განხორციელების მცდელობას შეენირა ათეულ მილიონობით ადამიანი, მრავალი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ამიტომ ზედმეტია საუბარიც კი ვ. ლენინის გულწრფელ ბრძოლაზე შოვინიზმის წინააღმდეგ.



66. ვარიანტები — სკანდინავიელები, რომლებმაც, ძველი რუსული წყაროების მიხედვით, ჩამოაყალიბეს კიევის რუსეთის სახელმწიფო; ბიზანტიის ჯარში მომსახურე ნორმანები. რუსულში იხმარება ასევე გადატანითი მნიშვნელობით, როგორც უცხო, საზღვარგარეთული; ე.ი. ავტორს მხედველობაში აქვს რუსული (საშინაო) და უცხოური (ვარიანტული) კონტრრევოლუცია.

67. ლ.ბ.კამენევი (1883—1936 წწ.); ნამდვილი გვარი — როზენფელდი; ვ.ი.ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა რუსეთის ერთ—ერთი ხელმძღვანელი, რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის (ვ.ი.ლენინის) მოადგილე; ი.სტალინთან დაპირისპირების გამო მოიხსნა თანამდებობიდან, შემდგომში რეპრესირებული იქნა.

68. ა.ი.რიკოვი (1881—1938 წწ.)—საბჭოთა რუსეთის პირველი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ვ.ი.ლენინის გარდაცვალების შემდეგ—თავმჯდომარე 1930 წლამდე; ი.სტალინთან დაპირისპირების გამო მოიხსნა თანამდებობიდან; შემდგომში რეპრესირებული იქნა.

69. ნლისთავი ემთხვევა 1918 წლის 14 დეკემბერს.

70. ავტორი მაშინ გადაურჩა რეპრესიებს, მაგრამ 1920 წ. ნოემბერში რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე ქართველ დიპლომატებთან ერთად დააპატიმრეს გ.ხუნდაძეც; „ბრალდებად“ წაუყენეს კომუნისტების, განსაკუთრებით მ.ცხაკაიას დაპატიმრება საქართველოში (ლ.თოიძე, ინტერვენცია, ოკუპაცია... თბ., 1991, გვ. 243).

71. ეს იყო ლ.კ.მარტენსი; დაინიშნა 1919 წლის იანვარში. 1922 წლამდე ამერიკა რუსეთის ელჩად აღიარებდა არა საბჭოთა ელჩს, არამედ ადრე დანიშნულ ბახმეტიევს.

72. გ.ლ.შკლოვსკი (1875—1937 წწ.) — 1918 წლიდან 1925 წლამდე იმყოფებოდა დიპლომატიურ სამუშაოზე.

73. პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობასაც, როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენეს, რუსეთი აღიარებდა დროებით, ფორმალურად. 1920 წელს ბოლშევიკები შეეცადნენ პოლონეთის ძალით გასაბჭოებას, მაგრამ უშედეგოდ; კრახით დამთავრდა ფინეთის შემოერთების მცდელობაც 30-იანი წლების ბოლოს.

74. 1918 წელს ირლანდიაში დაწყებული ეროვნულ—გამანთავისუფლებელი მოძრაობა 1919 წლიდან ინგლისთან ომში გადაიზარდა,

რომელიც 1921 წლის ზავით და ირლანდიის (ჩრდილოეთი ნაწილის გარდა) დომინიონად აღიარებით დასრულდა.

75. 1919 წლის 28 თებერვალს ქვეყნის ახალმა ხელისუფალმა ამახულ ხანმა ავღანეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელსაც მოჰყვა ომი ინგლისთან. საბჭოთა რუსეთმა უკვე მარტში აღიარა ავღანეთის დამოუკიდებლობა და დიდი დახმარება გაუწია მას ინგლისის წინააღმდეგ ომში. 1919 წლის აგვისტოში ომი დასრულდა ინგლისის მიერ ავღანეთის დამოუკიდებლობის ფორმალური აღიარებით.

76. 1919 წლის მარტ—აპრილში კორეაში მოხდა საერთო ეროვნული აჯანყება იაპონელთა ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებლობის მიღწევას; იგი მხოლოდ კოლონიალური მმართველობის ფორმის ლიბერალიზაციით დასრულდა.

